საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
26 იანვარი - 1 თებერვალი, 2022
№2 (614)

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru

## ამერიკული ბიოლაბორატორიები პოსტსაბჭოთა სივრცეში 15



## დასავლეთში ბევრი ძალაა დაინტერესებული აშშ-სა და რუსეთს შორის დიალოგის ჩაშლით 2

### უკრაინაში ომის დაწყება რუსეთის მონაწილეობით ამის გაკეთების ყველაზე კარგი საშუალებაა



ზელენსკის ოფისში შოკირებულნი არიან ბაიდენისა და მისი ადმინისტრაციის ცინიზმითა და ორპირობით 2



თამარ კიკნაძე:

## დასავლეთს სურს რუსეთსა და უკრაინას შორის ვითარების გამძაფრება და მოუგვარებელ პრობლემად მისი წარმოჩენა 3




14 საქართველო მოსალოდნელ კონფლიქტში უნდა იყოს ნეიტრალური და არა რომელიმე მხარე



ალექსანდრე ჭაჭია:

## მოსყიდულთა სიაში ნათელაშვილი ბოლო არ არის, მანამდეც იყვნენ და მის შემდეგაც იქნებიან. არამი ფულის მსურველი, სამწუხაროდ, ბევრია 5

## შუაღამემდე ასი წამი დარჩა!




6-7



გურამ ნიკოლაიშვილი:

## სანამ ჩვენთან ძირფესვიანად არ შეიცვლება ვითარება, მნიშვნელოვან გარღვევას რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირების მიმართულებით არ უნდა ველოდოთ 9



აშშ-ის პრეზიდენტმა «ჯაველინები», პრაქტიკულად, უვარგისად გამოაცხადა, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო კი ახალ პარტიას ყიდულობს 26 მლნ დოლარად 4

## პური კიდევ გაძვირდება



10

## ვითარება უკრაინაში

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უკრაინის ხელისუფლება უარს აცხადებს შეთანხმების პოლიტიკური ნაწილის შესრულებაზე და მოითხოვს მის შეცვლას. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა კი თავისი განცხადებებით კიევს, ფაქტობრივად, ურჩია, შეცვალოს პოზიცია. სწორედ ამის შემდეგ გაჩნდა ზელენსკის მიმართვა, რომლიდანაც ჩანს, რომ მან არ შეისმინა ბლინკენის რჩევა, ხოლო დასავლეთის განცხადებებს შეჭრის თაობაზე აღიქვამს, როგორც მცდელობას, კიევი შეაშინონ ომით, დაასუსტონ ეკონომიკურად (პანიკის გამო ინვესტორებს ქვეყნიდან ფული გააქვთ და ეცემა გრივნის კურსი) და აიძულონ, წავიდეს დათმობებზე.**



# ზელენსკის ოფისში შოკირებულნი არიან ბაიდენისა და მისი ადმინისტრაციის ცინიზმითა და ორპირობით

**მთავარი დღის წესრიგი, რომლის თავზე მოხვევასაც ცდილობს ბაიდენის ადმინისტრაცია უკრაინის ხელისუფლებისთვის, არის მინსკის შეთანხმების პოლიტიკური ნაწილისა და საშინაო პოლიტიკაში რიგი მოთხოვნების შესრულება დეესკალაციის აუცილებლობის საბაბით, მაგრამ ზელენსკის ოფისში მყარდება მოსაზრება, რომ უკრაინაზე რუსეთის თავდასხმის შესახებ დასავლეთის მასმედიაში ატეხილი ისტერიკით ამერიკელებს სურთ, უკრაინა აიძულონ, დათანხმდეს ზემოაღწერილ ნაბიჯებზე, რათა შეასრულონ კრემლთან თავიანთი დიდი მოლაპარაკებების პირობები.**

მეორდება 2015 წლის თებერვალში შექმნილი ვითარება, როცა დასავლეთმა აიძულა პოროშენკო, წასულიყო მინსკის შეთანხმების გაფორმებაზე და მას შანტაჟი მოუწყო საერთაშორისო სავალუტო ფრონტის კრედიტით, რადგან გრივნა ეცემოდა და უკრაინული ვალუტის ჩამოშლის შეჩერების სხვა გზა არ არსებობდა.

ამ გზით წასვლა არც ზელენსკის სურს. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად უკრაინაში ეკონომიური ვითარება მძიმეა, ისეთი არ არის, როგორც 2015 წლის თებერვალში იყო, მაგრამ ომის დაწყების შემდეგ დასავლურ მასმედიაში გამოქვეყნებული სტატიების წყალობით ვითარება სწრაფად უარესდება — უცხოელებს მასობრივად გააქვთ ფული, უარს ამბობენ უკრაინის სახელმწიფო ობლიგაციებზე, შედეგად გრივნა ეცემა.

ამიტომ **უკრაინაში სულო უფრო მეტ ადამიანს სჯერა ვერსიის, რომ დასავლურ მედიასაშუალებებში გამოქვეყნებული წერილების მიზანია, ეკონომიკურად ბოლო მოუღოს უკრაინას და აიძულოს, გააკეთოს ის, რასაც მოითხოვენ ამერიკელები. ზელენსკის ოფისში ამბობენ, რომ შოკში არიან ბაიდენისა და მისი ადმინისტრაციის ცინიზმითა და ორპირობით.**

რაც შეეხება რუსეთთან ომს, უკრაინის ხელისუფლებას არ სჯერა რუსეთის ფართომასშტაბიანი შეჭრის, ხოლო დონბასში შესაძლო ესკალაციას სულაც არ მიიჩნევენ ისეთ დიდ პრობლემად, რომლის გამოც აშშ-ს უნდა დაუთმონ სარგებლის გარეშე. სხვა საქმეა, თუკი ეს ყველაფერი იმოქმედებს გრივნაზე და მის კრახს გამოიწვევს. ასეთ შემთხვევაში ქვეყანა მართლაც მძიმე ვითარებაში აღმოჩნდება. ასე რომ, ჯერ კიდევ გაურკვეველია, რა გადაწყვეტილებას მიიღებს უკრაინის პოლიტიკური ხელმძღვანელობა.

**strana.ua-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

**უკრაინაში სულო უფრო მეტ ადამიანს სჯერა ვერსიის, რომ დასავლურ მედიასაშუალებებში გამოქვეყნებული წერილების მიზანია, ეკონომიკურად ბოლო მოუღოს უკრაინას და აიძულოს, გააკეთოს ის, რასაც მოითხოვენ ამერიკელები. ზელენსკის ოფისში ამბობენ, რომ შოკში არიან ბაიდენისა და მისი ადმინისტრაციის ცინიზმითა და ორპირობით**

# დასავლეთში ბევრი ძალაა დაინტერესებული აშშ-სა და რუსეთს შორის დიალოგის ჩაშლით და უკრაინაში ომის დაწყება რუსეთის მონაწილეობით ამის გაკეთების ყველაზე კარგი საშუალებაა

**დასავლური მასმედიის მიერ მუქ ფერებში დახატული ვითარება „უკრაინაში რუსეთის შეჭრის შესახებ“ სულ უფრო მღვრიე ხდება. უკრაინის პრეზიდენტმა ვლადიმერ ზელენსკიმ განაცხადა, რომ ეს პანიკა შექმნილია უკრაინის ხელისუფლებაზე ზემოქმედების მიზნით, რათა ის აიძულონ, დათმობებზე წავიდეს.**



ზელენსკის არ დაუზუსტებია, ვინ ზემოქმედებს და რა დათმობებზეა საუბარი, მაგრამ ეს ისედაც გასაგებია.

უკრაინაში რუსეთის შეჭრის შესახებ განცხადებებს ავრცელებს მხოლოდ დასავლეთი (რუსეთი ასეთ განზრახვას უარყოფს). რაც შეეხება დათმობებს, მათზე ილაპარაკა ენტონი ბლინკენმა 19 იანვარს კიევში ვიზიტისას. ეს არის მინსკის შეთანხმების შესრულება.

**მინსკის შეთანხმებაზე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ორი საკვანძო განცხადება გააკეთა: პირველი — შეთანხმების გადახედვა საჭირო არ არის და ეს დონბასში ვითარების რეგულირების ერთადერთი გზაა; მეორე — უკრაინაში ახლა „წყვეტენ“, როგორ იმოქმედონ შეთანხმების იმ ნაწილიდან გამომდინარე, რომელიც კიევს ჯერ კიდევ არ შეუსრულებია. ამის ქვეშ უნდა ვივარაუდოთ მინსკის შეთანხმების პოლიტიკური ნაწილი (არჩევნები საზღვარზე კონტროლის გადაცემამდე, ამნისტია, განსაკუთრებული სტატუსი და მისი ასახვა კონსტიტუციაში).**

აღსანიშნავია, რომ უკრაინის ხელისუფლება ოფიციალურად აცხადებს უარს შეთანხმების პოლიტიკური ნაწილის შესრულებაზე და მოითხოვს მის შეცვლას.

**აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა თავისი განცხადებებით, კიევს, ფაქტობრივად, ურჩია, შეცვალოს პოზიცია. სწორედ ამის შემდეგ გაჩნდა ზელენსკის მიმართვა, რომლიდანაც ჩანს, რომ მან არ შეისმინა ბლინკენის რჩევა, ხოლო დასავლეთის განცხადებებს შეჭრის თაობაზე აღიქვამს, როგორც მცდელობას, კიევი შეაშინონ ომით, დაასუსტონ ეკონომიკურად (პანიკის გამო ინვესტორებს ქვეყნიდან ფული გააქვთ და ეცემა გრივნის კურსი) და აიძულონ, წავიდეს დათმობებზე.**

აქ, რა თქმა უნდა, ბევრი რამ დამოკიდებულია ზემოქმედების ხარისხზე, რომელსაც აშშ განახორციელებს ზელენსკიზე, რათა მან გადაიფიქროს და პოზიცია შეიცვალოს (ანუ, დასავლურ გაზეთებში გამოქვეყნებული „რუსეთის შეჭრის რუკების“ გარდა, განახორციელებს თუ არა ვაშინგტონი კიდევ სხვა ზემოქმედებას), მაგრამ ობიექტურობა მოითხოვს, ითქვას: **შანსი იმისა, რომ ზელენსკი და მისი ხელისუფლება შეიძლება დათანხმდნენ მინსკის შეთანხმების რეალიზაციას, თითქმის ნულის ტოლია. ეს კი ნიშნავს, რომ მინსკის შეთანხმების შესრულება და დონბასში ომის დამთავრება ხელისუფლების შეცვლის საკითხია.**

არის კი მზად აშშ, ჩაერთოს ამ საკითხის მოგვარებაში თუ ყველაფერი, როგორც აქამდე ხდებოდა, დასრულდება მხოლოდ საყვედურებით, უახლოეს რამდენიმე თვეში გამოჩნდება.

რაც შეეხება **დიდ ომს,** რომლითაც შიშს თესავს დასავლური მასმედია:

სინამდვილეში პასუხი კითხვაზე — დაიწყება თუ არა დიდი ომი, ირიბად არის დაკავშირებული რუსეთსა და აშშ-ს შორის მოლაპარაკებებზე უსაფრთხოების საკითხების შესახებ და დასავლეთის რეაქციაზე რუსეთის მოთხოვნაზე, შეჩერდეს აღმოსავლეთით ნატოს გაფართოება. **რუსეთი, მოლაპარაკებებიც რომ ჩაიშალოს, ალბათ, მაინც არ წავა ტანკებით უკრაინის წინააღმდეგ. ამის მიზეზი ბევრია, მაგრამ მთავარი ორია: შემდეგ რა უნდა უყონ კონტროლს დაქვემდებარებულ უკრაინას, რომელიც კმაყოფაზე უნდა აიყვანონ, ყველაფრით უზრუნველყონ. და, რაც მთავარია — რისთვის? 2022 წლის თებერვალი (დასავლურ მასმედიაში „პროგნოზისტების“ უმრავლესობა უკრაინაში რუსეთის შეჭრას თებერვალში წინასწარმეტყველებს) — ეს არის პეკინის ზამთრის ოლიმპიური თამაშების თვე. ჩინეთისთვის ეს ოლიმპიადა ძალიან მნიშვნელოვანია საიმიჯო თვალსაზრისით, რათა ჩააცხროს დასავლეთში აგორებული ანტიჩინური ტალღა და რთული სავარაუდოა, რომ რუსეთი არად ჩააგდებს თავისი უახლოესი მოკავშირის ინტერესებს, ომს დაიწყებს უკრაინაში და დაჩრდილავს ოლიმპიადას.**

ნიშნავს თუ არა რუსეთის მხრიდან ომის დაწყების მცირე ალბათობა იმას, რომ ომი საერთოდ არ დაიწყება?

სამწუხაროდ, არა.

ომის ინიციატორები შეიძლება იყვნენ სხვა მხარეს. **დასავლეთში (ლაპარაკი აღარ არის უკრაინაზე) ბევრი ძალაა, რომლებიც ძალიან არიან დაინტერესებულნი რუსეთსა და აშშ-ს შორის მოლაპარაკებების ჩაშლითა და მათი ურთიერთობის მასშტაბურ კონფრონტაციაში გადაყვანით, პარალელურად, ოლიმპიადის ჩატარების საკითხში ჩინეთის საიმიჯო ძალისხმევის განულებით. ამის გასაკეთებლად ყველაზე კარგი საშუალება უკრაინაში ომის დაწყებაა რუსეთის აშკარა მონაწილეობით. საბაბი შეიძლება იყოს უკრაინის შეტევა დონბასზე, მაგრამ რუსეთი მხოლოდ მაშინ ჩაერევა, თუ უკრაინის ოფიციალური ძალოვანი სტრუქტურები ღიად დაიწყებენ შეტევას.**

არის თუ არა ამისთვის მზად ზელენსკი? უკრაინის სახელმწიფო აპარატი ამჟამად მძიმე მდგომარეობაშია (ამაში ზელენსკი არაერთხელ დარწმუნდა) და სამხედრო ავანტიურა პირადად ზელენსკის მძიმე შედეგებით დასრულდება.

ამიტომ **იმის ალბათობა, რომ ზელენსკი ომის დაწყებას გაბედავს, ძალიან მცირეა. ამაზე მეტყველებს მისი ბოლოდროინდელი რიტორიკაც.**

მაგრამ უკრაინაში ზოგიერთ ძალოვან სტრუქტურას ზელენსკი ვერ აკონტროლებს. ეს არის ეროვნული გვარდიის პოლკი „აზოვი“, რომელიც კვლავ რჩება **ანდრეი ბილეცკის** (უკრაინელი პოლიტიკოსი, „მემარჯვენე სექტორში“ შემავალი რასისტული და ნეონაციონალური ორგანიზაციების — „უკრაინის პატრიოტი“ და სოციალ-ნაციონალური ასამბლეის ხელმძღვანელი) გავლენის ქვეშ. თვითონ ბილეცკი კი ორიენტირებულია ზელენსკის მოწინააღმდეგეებზე — **არსენ ავაკოვსა** და **ალექსანდრე ტურჩინოვზე.**

„აზოვი“ — ეს არის ოფიციალური ძალოვანი სტრუქტურა მძიმე შეიარაღებით. ამას გარდა, ახლა ქვეყანაში ყალიბდება ტერიტორიული თავდაცვის ქვედანაყოფები, რომლებსაც თავდაცვის სამინისტრო უკვე დაჰპირდა იარაღის დარიგებას. რა ხალხია ამ ქვედანაყოფებში და ვინ აკონტროლებს მათ? — ამ კითხვაზე პასუხის სხვადასხვა ვარიანტია...

**ატმოსფერო დაძაბულია და მის ასაფეთქებლად საკმარისი იქნება „აგრესორის წინააღმდეგ ერთი ბატალიონის შეტევაზე გადასვლა“ კამერების თანხლებით, აფრიალებული დროშებითა და „პატრიოტულ“ მედიაში გაშუქებით. ასეთი პროვოკაციებია ახლა ომის დაწყების მთავარი საფრთხე.**

**vz.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძე**

„ნორმანდიული ფორმატის მონაწილეთა შეხვედრაზე რამე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება შეიძლება არ მიიღონ. რუსეთი უკან არ დაიხევს, ის აუცილებლად მოითხოვს ცვლილებებს მსოფლიო წესრიგში. ვფიქრობ, ამ შეხვედრების, ამ დაძაბულობისა და მოლაპარაკებების ფონზე აუცილებლად შეიცვლება ბევრი რამ და რუსეთის როლიც შეიცვლება. რუსეთი ძლიერი სახელმწიფოა, ის არ დათმობს იმას, რაზეც ახლა პრეტენზია აქვს“.

გეოპოლიტიკა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**თამარ კიკნაძე:**

# დასავლეთს სურს რუსეთსა და უკრაინას შორის ვითარების გამძაფრება და მოუგვარებელ პრობლემად მისი წარმოჩენა

**დასავლურმა მედიამ გაავრცელა სიყალბე, თითქოს ჩინეთის პრეზიდენტმა სი ძინპინმა პუტინს სთხოვა, თებერვალში არ შეიჭრას უკრაინაში და სამხედრო კონფლიქტით არ გადაფაროს მსოფლიო სპორტული ზეიმი, რომელსაც ჩინეთი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თავისი იმიჯისთვის. ეს ამბავი მალევე უარყვეს რუსეთმაც და ჩინეთმაც. როგორც ჩანს, უკრაინაში რუსეთის შეჭრა დასავლეთის სურვილია, რუსეთს კი უკრაინაზე თავდასხმა არაფერში არ სჭირდება და არც აპირებს.**
**ძაბავს თუ არა ვითარებას ხელოვნურად დასავლეთი რუსეთსა და უკრაინას შორის? რას მოილაპარაკებენ ე.წ. ნორმანდიული ფორმატის ფარგლებში გერმანია, რუსეთი, უკრაინა და საფრანგეთი? დათმობს თუ არა პოზიციებს რუსეთი? ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თამარ კიკნაძე გვესაუბრება.**

— დასავლეთი და რუსეთის პრეზიდენტი **ვლადიმერ პუტინი** საკითხს სხვადასხვანაირად უყურებენ. რუსეთის პრეზიდენტი საკითხს გლობალურად უდგება, მსოფლიოს ახალ წესრიგზე აკეთებს აქცენტს და ამ ახალ წესრიგში რუსეთის ფედერაციის როლზე საუბრობს; დასავლეთი კი ამ ყველაფერს განიხილავს, როგორც უკრაინის პრობლემას და რუსეთის იქ შეჭრის სურვილს. ვლადიმერ პუტინი ძალიან ხისტად აყენებს საკითხს და საუბრობს რუსეთის როლზე. ის წერილობით პასუხს, დასტურს ელოდება თავის წინადადებებზე, რომ ნატო აღარ გაფართოვდება აღმოსავლეთით. დასავლეთი კი, როგორც ყოველთვის, ჩვეული წესებით თამაშობს — დროს აჭიანურებს და ახალ-ახალ საკითხებს აყენებს.

დღეს ძალიან დაძაბულია ვითარება, ატომური იარაღის მქონე სახელმწიფოები ესაუბრებიან ერთმანეთს და საკმაოდ დაძაბულად, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ რაღაცაზე აუცილებლად შეთანხმდებიან.

**— რა იქნება ეს რაღაც? ფაქტია, რომ რუსეთსა და უკრაინას შორის დაძაბულობა პროვოცირებულია და ეს ვიღაცას ხელს აძლევს. ხელოვნურად იძაბება ვითარება, რადგან უკვე ითქვა, რომ რუსეთი არსად შეჭრას არ აპირებს...**

— დიახ, დასავლეთს სურს რუსეთსა და უკრაინას შორის ვითარების გამძაფრება და მისი წარმოჩენა, როგორც მოუგვარებელი პრობლემა.

რუსეთი და დასავლეთი ძალების დემონსტრირებას ახდენენ. რუსეთის საჯარისო ნაწილები სამხედრო ოპერაციებისთვის მზად არიან, ამის საპირწონედ კი დასავლეთის მასმედია გაჰყვირის, რომ შესაძლოა, დაიწყოს საომარი მოქმედებები, რომლებსაც უკრაინის ოკუპაცია მოჰყვება. ჩატარდა რუსეთის, ირანისა და ჩინეთის ერთობლივი წვრთვნები, ეს ისევ და ისევ ძალის დემონსტრირებას ნიშნავს. რამდენიმე დღის წინათ კი უპრეცენდენტო რამ მოხდა — ირანის პრეზიდენტი ჩავიდა მოსკოვში და მას სახელმწიფო სათათბიროში სიტყვით გამოსვლის საშუალება მისცეს, რაც უდიდეს მხარდაჭერას ნიშნავს. ძალების კონცენტრაცია ხდება ორივე მხარეს. ასევე ხვდებიან ერთმანეთს პუტინი, სი ძინპინი, ინდოეთის პრემიერი, ამერიკის პრეზიდენტი და ა.შ.

დღეს ყველანი მომსწრენი ვართ ისეთი მტკივნეული პროცესისა, როგორიც არის ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირება. **მართალია, ამერიკელები ამბობენ, რომ 21-ე საუკუნეში ისინი არ შეეგუებიან გავლენის სფეროების შეცვლას, მაგრამ შეუვალია რუსეთის პრეზიდენტიც და აცხადებს, რომ უკრაინა, საქართველო და პოსტსაბჭოთა სივრცე ის წითელი ხაზებია, რომელთა გადაკვეთასაც არ დაუშვებს; უფრო მეტიც, პუტინი მოითხოვს, რომ ყველაფერი დაბრუნდეს ისე, როგორც იყო 1997 წელს.**

**— ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა კიევი და ბერლინი მოიარა და მერე ჟენევაში ლავროვთან გამართა შეხვედრა. მისი ძირითადი სალაპარაკო თემა მინსკის შეთანხმების შესრულება იყო. ორმაგ თამაშს ხომ არ თამაშობენ ამერიკელები და დასავლეთი?**

— **ენტონი ბლინკენი** მოითხოვს მინსკის ხელშეკრულების პოლიტიკური ნაწილის შესრულებას, რომელიც ითვალისწინებს სადავო ტერიტორიების ავტონომიას უკრაინის შემადგენლობაში, მაგრამ რუსები უფრო შორს წავიდნენ და არა მხოლოდ მინსკის შეთანხმების შესრულებას მოითხოვენ უკრაინისგან, არამედ წინადადებაზე პასუხს, თანაც წერილობით, რომ ნატო არ გაფართოვდება აღმოსავლეთით; ასევე მოითხოვენ პასუხს რუსეთის როლზე საერთაშორისო დღის წესრიგში და გავლენის სფეროებს. ამ გავლენის სფეროებში რუსები გულისხმობენ პოსტსაბჭოთა და პოსტსოციალისტურ სივრცესაც...

**— თებერვალში პეკინში ზამთრის ოლიმპიური თამაშები უნდა გაიმართოს. დასავლეთში ზოგი ფიქრობს, რომ სწორედ ამ ოლიმპიადის მიმდინარეობისას დაიწყება ომი, ზოგი — პირიქით ფიქრობს... ვარაუდი ბევრია, ზოგის აზრით, შესაძლოა, უკრაინამაც კი დაიწყოს ომი, სწორედ ისე, როგორც 2008 წლის აგვისტოში მოხდა საქართველოში...**

— პირიქით... ვლადიმერ პუტინი ჩინეთში ჩადის და იქ იქნება იმის საშუალება, რომ რუსეთის პრეზიდენტმა გამართოს შეხვედრები და მთელი რიგი საკითხები განიხილოს.

**— უკვე რამდენიმე თვეა, მსოფლიოს ყურადღება მიპყრობილია რუსეთისა და უკრაინისკენ. გამუდმებით ვისმენთ ინფორმაციებს, რომ ომი წუთი-წუთზე დაიწყება, მაგრამ, საბედნიეროდ, არ დაიწყო... წარმოდგენა რჩება ისეთი, თითქოს ვითარებას ვიღაც ხელოვნურად ამწვავებს...**

— მართალია, რუსეთსა და უკრაინას შორის ძალიან დაძაბული ვითარებაა და თანაც მობილიზებულია ორივე ქვეყნის საჯარისო ფორმირებები, მაგრამ ამ არეულობაში სულ სხვა თემაა დასავლეთის რიტორიკა მოსალოდნელი საფრთხის შესახებ, რომელიც მართლაც ჰგავს წაქეზებას. დასავლეთი არ საუბრობს ძირითად თემაზე და ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ უკრაინაზე, ძირითადი თემა კი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, არის რუსეთის პრეზიდენტის მოთხოვნა, რომ არ შეეხონ პოსტსაბჭოთა სივრცეს.

**— ამ მოლაპარაკებებში ვის მხარეს არის უპირატესობა?**

— სამხედრო ძლიერება რუსეთის მხარესაა. თუკი გავითვალისწინებთ თანამედროვე სამხედრო ტექნოლოგიებს, რუსეთს ბადალი არ ჰყავს, თანაც რუსეთი ტყუილად არ ილაპარაკებს, თუ თავის შესაძლებლობებში დარწმუნებული არ არის.

**— შეიარაღების თვალსაზრისით გასაგებია რუსეთის სიძლიერე, მაგრამ სიმართლე ვის მხარეზეა?**

— უფრო რუსეთისკენ, აქამდე ყოველთვის მშვიდი იყო და დასავლეთს პარტნიორს უწოდებდა, მაგრამ დასავლეთი ხშირად იგნორირებას უკეთებდა. ახლა ვითარება შეიცვალა. ასე რომ, უპირატესობა ყოველმხრივ რუსეთისკენაა, მაგრამ მე მაინც იმედს ვიტოვებ, რომ რაღაცაზე შეთანხმდებიან და საქმე ომამდე არ მივა.

**— ფიქრობთ, რომ ასეთი დაძაბული ვითარება მოლაპარაკებებით ჩაცხრება? ამერიკის პრეზიდენტი უკრაინაში რუსეთის „მცირე შეჭრაზე“ საუბრობდა...**

— ბაიდენის „მცირე შეჭრის“ თემაზე საუბარმა ძალიან დიდი გაღიზიანება გამოიწვია და თეთრ სახლს ამ საკითხის ახსნა-განმარტება მოუწია.

იმედს ვიტოვებ, რომ ბირთვული იარაღის პირობებში მოლაპარაკებები, რომლებიც ქვეყნებს შორის მიმდინარეობს, შემაკავებელი ფაქტორია და რაღაც კომპრომისამდე აუცილებლად მივლენ.

ვლადიმერ პუტინს ხელს არ აძლევს უკრაინაში შეჭრა. ჩვენ ვნახეთ, რა გააკეთეს რუსებმა საქართველოს შემთხვევაში — დაიკავეს მხოლოდ ის სტრატეგიული მიდამოები, რომლებიც მათ მისცემდა ბაზების განლაგების საშუალებას, რათა გაეკონტროლებინათ ზღვა და საზღვრები. უკრაინა დიდი ქვეყანაა, მისი ოკუპაცია და უკრაინის მოსახლეობის რჩენა არ არის მომგებიანი რუსეთისთვის, ისინი პრაგმატულად იქცევიან, თუკი რამე მოხდა, იქნება მხოლოდ იმისთვის, რომ ტერიტორიები გააკონტროლონ, სრულ ოკუპაციას არ შეეცდებიან. ყირიმის შეერთებაც იყო პრაგმატული ნაბიჯი, იქ მათი ბაზებია, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ტერიტორიაა. სევასტოპოლში რუსეთის ფლოტია, მათ ის არენდით ჰქონდათ აღებული და სულ გაუგებრობები იყო, ამიტომ საკითხი ასე გადაწყდა.

**— მოკლედ, მთელი ეს ქაოსური მდგომარეობა მოლაპარაკებებით ჩაცხრება?**

— მთლად ისე, რომ არაფერი მოხდეს, არა. რუსეთი თავის კატეგორიულ მოთხოვნას არ წაიღებს უკან. გავიხსენოთ ე.წ. კარიბის კრიზისი, იმხანად ბოლო წუთს ყველა მხარემ პასუხისმგებლობა გამოიჩინა და რაღაცაზე მოილაპარაკეს. ვფიქრობ, ამჯერადაც ასე მოხდება.

**— ვიცით, რომ ე.წ. ნორმანდიული ფორმატის მონაწილეების — რუსეთის, გერმანიის, საფრანგეთისა და უკრაინის წარმომადგენელთა შეხვედრა 26 იანვარს პარიზშია დაგეგმილი. რა შედეგით დასრულდება ეს შეხვედრა, უკრაინა უკან დაიხევს?**

— ნორმანდიული ფორმატის მონაწილეთა შეხვედრაზე რაიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება შეიძლება არ მიიღონ. რუსეთი უკან არ დაიხევს, ის აუცილებლად მოითხოვს ცვლილებებს მსოფლიო წესრიგში. ვფიქრობ, ამ შეხვედრების, ამ დაძაბულობისა და მოლაპარაკებების ფონზე აუცილებლად შეიცვლება ბევრი რამ, მათ შორის რუსეთის როლიც. რუსეთი ძლიერი სახელმწიფოა, ის არ დათმობს იმას, რაზეც ახლა პრეტენზია აქვს და რაზეც თავშივე ვისაუბრეთ. პროცესი, შესაძლოა, ცოტა გაჭიანურდეს, მაგრამ ბევრი რამ აუცილებლად შეიცვლება...

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**«მართალია, ამერიკელები ამბობენ, რომ 21-ე საუკუნეში ისინი არ შეეგუებიან გავლენის სფეროების შეცვლას, მაგრამ შეუვალია რუსეთის პრეზიდენტიც და აცხადებს, რომ უკრაინა, საქართველო და პოსტსაბჭოთა სივრცე ის წითელი ხაზებია, რომელთა გადაკვეთასაც არ დაუშვებს, უფრო მეტიც, პუტინი მოითხოვს, რომ ყველაფერი დაბრუნდეს ისე, როგორც იყო 1997 წელს»**

**«რუსეთის პრეზიდენტი საკითხს გლობალურად უდგება, მსოფლიოს ახალ წესრიგზე აკეთებს აქცენტს და ამ ახალ წესრიგში რუსეთის ფედერაციის როლზე საუბრობს. დასავლეთი კი ამ ყველაფერს განიხილავს, როგორც უკრაინის პრობლემას და რუსეთის იქ შეჭრის სურვილს. ვლადიმერ პუტინი ძალიან ხისტად აყენებს საკითხს და საუბრობს რუსეთის როლზე. ის წერილობით პასუხს, დასტურს ელოდება თავის წინადადებებზე, რომ ნატო აღარ გაფართოვდება აღმოსავლეთით. დასავლეთი კი, როგორც ყოველთვის, ჩვეული წესებით თამაშობს — დროს აჭიანურებს და ახალ-ახალ საკითხებს აყენებს»**

საგარეო ვექტორი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჯაველინები“ თანამედროვე ომისთვის კარგიც რომ იყოს, ისმის ლეგიტიმური კითხვა — რისთვის გვჭირდება? რაღაც არ გაგვიგია, რომ ვინმესთან ომს ვაპირებთ და შეიარაღებულ კონფლიქტში უნდა ჩავერთოთ. მაშინ რისთვის? ახლა ვიღაც იტყვის, რუსეთისგან თავის დასაცავადო და, ცოტა არ იყოს, სასაცილო მდგომარეობაა. რუსეთი ყოველწლიურად 26 მლნ-ის „პარტიანკას“ ურიგებს თავის ჯარისკაცებს და რა „ჯაველინები“ და თავდაცვის გაძლიერება? არაფერი მსგავსი — უბრალოდ, ამერიკამ არ იცოდა, სად წაეღო იარაღი, რომელსაც ვერასდროს გამოიყენებდა და მშვიდად მოგვყიდა, თანაც დაგვაყვედრა, იაფად გაძლევთ და დააფასეთო.**

# აშშ-ის პრეზიდენტმა «ჯაველინები», პრაქტიკულად, უვარგისად გამოაცხადა, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო კი ახალ პარტიას ყიდულობს 26 მლნ დოლარად

**ბევრმა შეიძლება არ იცის, რომ 2008 წელს, აგვისტოს ომის შემდეგ საქართველომ ამერიკისგან სხვადასხვა პროდუქტთან ერთად გაყინული თევზიც მიიღო. ამერიკული თევზი ოკეანის იქნებაო, — ატყდა აქ ამბავი, დადასტურდა, რომ ოკეანის იყო და ჰუმანიტარული დახმარების სახით შემოსული თევზი დახლებზე გაჩნდა, მაგრამ იმის გამო, რომ მოხარშვის თუ შეწვის შემდეგ თევზი, უბრალოდ, ქვიშასავით იშლებოდა, ციხეებსა და ჯარში შეიტანეს, ოღონდ უფასოდ კი არა, ტენდერი გამოაცხადეს, ამერიკისგან ნაბოძები „ნაგავი“ ტენდერში „გამარჯვებულს“ შეასყიდვინეს და მილიონები გაათეთრეს. ეს იყო ერთ-ერთი ნათელი მაგალითი იმისა, როგორ ჩავუთვალეთ ამერიკის ხელისუფლებას ჰუმანიტარულ დახმარებად პროდუქტი, რომელიც რეალურად უნდა გაენადგურებინათ და მისი განადგურება რამდენიმე მილიონი დაუჯდებოდათ, რადგან ეკოლოგიური ნორმები იყო დასაცავი.**

„ჯაველინების“ პირველი პარტიის შეძენიდან, სულ რაღაც, ორ კვირაში ამერიკის პრეზიდენტმა ერთ-ერთ გამოსვლაში განაცხადა, რომ „ჯაველინების“ დრო წავიდა და მისი გამოყენება თანამედროვე ომში მიზანშეწონილი არ იყო. **აშშ-ის პრეზიდენტმა ეს იარაღი, პრაქტიკულად, უვარგისად გამოაცხადა. რაღა უნდა გვექნა, უვარგისი იარაღი „ვარგის“ 75 მილიონ ლარად გვქონდა შეძენილი და თავდაცვის იმჟამინდელი მინისტრი ლევან იზორია გვიმტკიცებდა, — ასეთი შენაძენი, დიდი ხანია, არ გაგვიკეთებიაო. ჰოდა, ახლა ირკვევა, რომ თავდაცვის სამინისტრო „ჯაველინების“ ახალ პარტიას ყიდულობს ისევ ამერიკისგან და 26 მილიონ დოლარსაც იხდის.**

ნებისმიერი ქვეყნის თავდაცვის უწყება ასეთ ოპერაციებს ასაიდუმლოებს, ჩვენმა თავდაცვის სამინისტრომ კი შეერთებული შტატებიდან ტანკსაწინააღმდეგო სისტემების შეძენის შესახებ ყველა ინფორმაცია შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე ატვირთა, ანუ დაახლოებით ისე, ჯარისთვის კარტოფილსა და კომბოსტოს რომ ყიდულობენ. ახლა არ დავიწყებთ იმის მოყოლას, რაოდენ სახიფათოა ეს ყველაფერი, უბრალოდ, საქართველოს ხელისუფლებას ამერიკის პრეზიდენტის განცხადებას შევახსენებთ: **„ჯაველინები“ თანამედროვე ომის პირობებში უსარგებლოა“.** გამოდის, უსარგებლო იარაღში 150 მილიონ ლარზე მეტი გვაქვს გადახდილი (ეს რაც ვიცით), და ეს მაშინ, როცა იგივე ამერიკა 15-20 მილიონს გვაყვედრის ხოლმე, ჰუმანიტარული დახმარების სახით გაძლევთ და, ჩვენს მითითებებს თუ არ დაექვემდებარებით, ამასაც ვერ მიიღებთო. ჰოდა, **საქართველოსთვის მოცემული სამმაგად უკან მიაქვს შტატებს: ხან — უვარგისი თევზის შემოსაღებით, ხანაც — უსარგებლო იარაღის გასხვისებით.** ისე, ცოდვა გამხელილი სჯობს და ჩვენ გარდა, ამერიკამ „ჯაველინები“ უკრაინასაც „უსახსოვრა“, თანაც უფრო დიდი რაოდენობით და, რაც მთავარია, გაცილებით მეტი ღირებულების...

გასულ კვირას ევროპარლამენტის სამმა წევრმა თბილისში ვიზიტი და პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრა გადაწყვიტა, მაგრამ, როგორც გაირკვა, **შალვა პაპუაშვილს** დრო არ ჰქონდა და მათ ვერ შეხვდებოდა. ევროპარლამენტარებმა საპროტესტო წერილი გამოფინეს და განაცხადეს, რომ საქართველოს ხელისუფლების ამგვარი ქმედება სახიფათოა... სანამ ამ თემას ბოლომდე გავყვებით, ამერიკელი სენატორის, აწ გარდაცვლილი **ჯონ მაკეინის** ნაამბობი გავიხსენოთ:

„ერთხელ აზერბაიჯანში მივფრინავდი და ვერტმფრენის დაშვება საქართველოში მოვითხოვე. რატომ? იმიტომ, რომ იქ საუცხოო მასპინძლობა იციან, იქ ყოველთვის უხარიათ ჩემი ნახვა და არც შევმცდარვარ — საოცარი საღამო მომიწყვეს საოცარი კერძებით...“ ანუ **ამერიკელი სენატორი, საკმაოზე მეტად გავლენიანი მაკეინი მიფრინავდა სადღაც (აქ არ მოფრინავდა და დანარჩენი ყველა სადღაც არის) და გადაწყვიტა, დაუგეგმავად დაშვებულიყო თბილისში იმის იმედად, რომ საქართველოს პირველი პირები ყველა საქმეს გადადებდნენ და მისთვის მოიცლიდნენ. მართლაც ასე მოხდა და იმჟამინდელმა ხელისუფლებამ,** ანუ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ **მიხეილ სააკაშვილის** თამადობით გვამცნო, რომ მაკეინი თბილისში ჩვენს მხარდასაჭერად ჩამოვიდა, სინამდვილეში კი კაცმა საქეიფოდ შემოიარა. ზუსტად ასეთი შემოვლები ჰქონდა **მეთიუ ბრაიზას**, რომელიც ჩვენს დედაქალაქში, პრაქტიკულად, დასახლდა, უფრო მეტიც, საქართველოს ბიუჯეტიდან თურქეთში მას ქორწილიც გადავუხადეთ და საპრეზიდენტო ნომერში პირველი ღამეც დავუფინანსეთ. ანუ, ბრაიზას სექსი საქართველოს ბიუჯეტის ხარჯზე ჰქონდა, რაც გასაკვირი არ არის — რამდენი ხანია, წინა თუ მოქმედი ხელისუფლება ქვეყნის ბიუჯეტთან ინტიმურ ურთიერთობაშია.

ზუსტად ასე წარმოედგინათ ევროპარლამენტარებსაც. როგორც კი თავისუფალი დრო გამონახეს, გადაწყვიტეს საქართველოში ჩამოსვლა და ქვეყნის ერთ-ერთ ხელმძღვანელ პირთან დაუგეგმავად შეხვედრა და, როცა უარი მიიღეს, აღშფოთდნენ, როგორ გაბედეთ და შეხვედრაზე უარი გვითხარითო. ეს დასავლეთისთვის უცხოა, **ისინი მიჩვეულნი არიან, რომ თითის ერთ გატკაცუნებაზე, ხელისუფლების ნებისმიერი თანამდებობის პირმა მაშინვე ყველა საქმე უნდა მიატოვოს და მათ შეხვდეს. ასეა განსაკუთრებით ამერიკის ელჩის შემთხვევაში, რაც გასულ კვირასაც დამტკიცდა — კელი დეგნანის პირველივე მოთხოვნის შემდეგ მას ჯერ შალვა პაპუაშვილი შეხვდა, შემდეგ — მმართველი პარტიის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე.** ამის მიუხედავად, სწორედ დღევანდელი ხელისუფლება ხვდება, რომ ევროპელი ელჩებისა და ევროპარლამენტარების დღის წესრიგით არ უნდა იცხოვროს, რომ ნებისმიერი ვიზიტი თუ შეხვედრა შესათანხმებელია წინასწარ, დასაცველია პროტოკოლი და, ელემენტარულად, პატივისცემაა გამოსახატავი. ის, რომ შალვა პაპუაშვილი ევროპარლამენტარებთან შესახვედრად 2-3 საათს მარტივად გამონახავდა, ადვილი მისახვედრია, მაგრამ შეხვედრაზე უარის თქმით ევროპარლამენტარები მიახვედრა, რომ სამყარო მათ გარშემო არ ტრიალებს და ჩვენ არ გვცალია მაშინ, როცა ეს დასავლელ პარტნიორებს სურთ...

ისევ „ჯაველინებს“ დავუბრუნდეთ. ეს იარაღი თანამედროვე ომისთვის კარგიც რომ იყოს, ისმის ლეგიტიმური კითხვა — რისთვის გვჭირდება? **რაღაც, არ გაგვიგია, რომ ვინმესთან ომს ვაპირებთ და შეიარაღებულ კონფლიქტში უნდა ჩავერთოთ. მაშინ რისთვის? ახლა ვიღაც იტყვის, რუსეთისგან თავის დასაცავადო და, ცოტა არ იყოს, სასაცილო მდგომარეობაა. რუსეთი ყოველწლიურად 26 მლნ-ის „პარტიანკას“ ურიგებს თავის ჯარისკაცებს და რა „ჯაველინები“ და თავდაცვის გაძლიერება?** არაფერი მსგავსი — უბრალოდ, ამერიკამ არ იცოდა, სად წაეღო იარაღი, რომელსაც ვერასდროს გამოიყენებდა და მშვიდად მოგვყიდა, თანაც დაგვაყვედრა, იაფად გაძლევთ და დააფასეთო. სამწუხაროდ, უკრაინისთვის იარაღის მიყიდვასა და ჩუქებას ისეთი რეკლამა გაუკეთეს ამერიკელებმა, მსოფლიომ იცის, რა ოდენობის იარაღი ჩაიტანეს და რა ოდენობის ჩატანას აპირებენ. სწორედ ამიტომ ვამბობთ, რომ **ამერიკის გაფრთხილება, რუსეთი უკრაინაში არ შევიდესო, უფრო წაქეზებას ჰგავს და, რაც მთავარია, უკრაინელებსაც ზუსტად ისე უკიჟინებენ, როგორც ჩვენ, 2008 წელს, ახლა ძლიერები ხართ, არაფრის შეგეშინდეთო. გახსოვთ, ალბათ, სააკაშვილმა რომ აღიარა, აგვისტოს ომის წინ, ორიოდე დღით ადრე, თავდაცვის მინისტრი, დავით კეზერაშვილი, დავიბარე და მან დამიდასტურა, ამაზე ძლიერი ჯარი არასდროს მეყოლებაო.** ჰო, ქართული ჯარი იმხანად ამერიკული ამუნიციით იყო აღჭურვილი და ამერიკელები გვარწმუნებდნენ, თქვენი არმია უძლეველიაო. რადგან აგვისტოს ომზე ვსაუბრობთ, საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის, **ნიკოლა სარკოზის,** მიერ ცოტა ხნის წინათ გამოქვეყნებულ ავტობიოგრაფიასაც შევეხოთ, **500-გვერდიან წიგნში აგვისტოს ომს 13 გვერდი ეთმობა და სარკოზი, პრაქტიკულად, შეულამაზებლად ყვება, რა და როგორ მოხდა. მოსკოვიდან თბილისში ჩამოსულ საფრანგეთის პრეზიდენტისთვის სააკაშვილს უთქვამს: გარეთ 150 ათასი ადამიანია შეკრებილი, გადით და სიტყვით მიმართეთ, რუსეთს აგინეთო, სარკოზის კი მედვედევ-პუტინისთვის სიტყვა ჰქონდა ნათქვამი, რომ მათ საწინააღმდეგო განცხადებას არ გააკეთებდა და მოდერატორად ორ მხარეს შორის მხოლოდ ამ შემთხვევაში ჩაითვლებოდა. მიშას კი არაფრის გაგონება არ სურდა, ის კატეგორიულად მოითხოვდა რუსეთის საწინააღმდეგო განცხადების გაკეთებას, რაც სარკოზიმ არ ქნა და ამის გამო სააკაშვილი ფრანგ კოლეგას შემოსწყრა კიდეც.** ანუ, რა გამოდის? მაშინაც კი სააკაშვილი მზად იყო, ბოლომდე გაეწირა ქვეყანა და მხოლოდ საფრანგეთის პრეზიდენტის კეთილგონიერებამ გადაგვარჩინა.



**საქართველოს ხელისუფლებას ამერიკის პრეზიდენტის განცხადებას შევახსენებთ: «ჯაველინები» თანამედროვე ომის პირობებში უსარგებლოა». გამოდის, უსარგებლო იარაღში 150 მილიონ ლარზე მეტი გადავიხადეთ (ეს რაც ვიცით), და ეს მაშინ, როცა იგივე ამერიკა 15-20 მილიონს გვაყვედრის ხოლმე, ჰუმანიტარული დახმარების სახით გაძლევთ და, ჩვენს მითითებებს თუ არ დაექვემდებარებით, ამასაც ვერ მიიღებთო. ჰოდა, საქართველოსთვის მოცემული სამმაგად უკან მიაქვს შტატებს: ხან — უვარგისი თევზის შემოსაღებით, ხანაც — უსარგებლო იარაღის გასხვისებით**

არ ვიცით, ახლა ვისი კეთილგონიერების იმედად უნდა ვიყოთ, მაგრამ **საქართველოს ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, როგორ საგარეო კურსს ირჩევს. ოღონდ ეს არჩევანი არ უნდა იყოს მოკლე ან გრძელვადიანი, ეს უნდა იყოს საბოლოო არჩევანი და ქვეყანა მყარად უნდა წავიდეს მისკენ.** ის, რომ ნატოში ჩვენი ინტეგრაცია უახლოესი ნახევარი საუკუნის განმავლობაში გამორიცხულია, **ჯო ბაიდენის** განცხადებიდანაც გამოჩნდა, ხოლო ევროკავშირში მიღება უკვე სარისკო ჩანს, რადგან წინ საბერძნეთის მაგალითი გვიდევს, უძველესი ცივილიზაციის მქონე ქვეყნის, რომელიც ევროკავშირში შესვლის შემდეგ გაკოტრდა და ახლა, ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით, ნახევარი საუკუნის განმავლობაში, მათხოვარი უნდა იყოს და ევროპელი პარტნიორების კეთილი ნების იმედად ისაზრდოოს.

**ბესო ბარბაქაძე**

„ასეთ უსარგებლო ღონისძიებებზე, როგორც წესი, არ დავდივარ, მაგრამ ორგანიზატორებმა ძალიან მთხოვეს და წავედი. სწორედ იქ ვნახე ნათელაშვილი. თავის სიტყვაში დაბეჯითებით ირწმუნებოდა რუსეთ-საქართველოს დაახლოების საჭიროებას; ამბობდა, როგორ მხურვალედ უყვარს რუსეთი, რომ მასზე უკეთესი მეგობარი რუსეთს საქართველოში არ ჰყავს, რომ მისი ცხოვრების მიზანი ამერიკელების დიქტატისაგან საქართველოს გათავისუფლებაა და ა.შ. ნათელაშვილი ყვებოდა იმას, რაც იქ შეკრებილთ მრავალჯერ ჰქონდათ მოსმენილი სხვადასხვა ქართველი პოლიტიკოსისგან. ყველა მათგანი მოსკოვში ჩადიოდა ერთადერთი მიზნით: რუსეთისგან მიეღოთ ფული“.

პასუხი ცილისწამებაზე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნათელაშვილის ცილისწამების პასუხად

**ახალი წლის შემდეგ შალვა ნათელაშვილმა „ტვ პირველში“ სტუმრობას მოუხშირა და სხვადასხვა გადაცემაში ორჯერ საკმაოდ არაკორექტული ბრალდებებით გამოვიდა ანალიტიკოს ალექსანდრე ჭაჭიას მიმართ — ლეიბორისტთა ლიდერმა ცნობილი ანალიტიკოსი და პოლიტოლოგი, არც მეტი, არც ნაკლები, სახელმწიფოს ღალატსა და იდეოლოგიურ-საინფორმაციო დივერსიაში დაადანაშაულა. პრინციპში, მყვირალა განცხადებები ნათელაშვილის ჩვეული სტილია და აქ გასაკვირი არაფერი იქნებოდა, რომ არა მისი თავდასხმების ადრესატი. ჩვენ შევძელით ბატონ ალექსანდრე ჭაჭიასთან დაკავშირება და მისთვის რამდენიმე კითხვის დასმა.**

## ალექსანდრე ჭაჭია:

## მოსყიდულთა სიაში ნათელაშვილი ბოლო არ არის, მანამდეც იყვნენ და მის შემდეგაც იქნებიან. არამი ფულის მსურველი, სამწუხაროდ, ბევრია



**— ბატონო ალექსანდრე, რამდენიმე დღის წინათ ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა „ტვ პირველის“ ეთერში არცთუ სახარბიელოდ მოგიხსენიათ...**

— საინტერესოა, საიდან გავახსენდი? უკვე 20 წელია, ქართულ პოლიტიკასთან საერთო არაფერი აღარ მაქვს. ქართული პოლიტიკაც, დიდი ხანია, აღარ არსებობს. მაინც რა უნდოდა, რა თქვა ასეთი?

**— ჯერ თქვა, რომ თქვენ „ალტ-ინფოს“ აფინანსებთ...**

— ეს რა არის?

**— ესაა შედარებით ახალი ინტერნეტ-ტელევიზია, რომლის მესვეურებმაც ახლახან პოლიტიკური პარტია დააფუძნეს და ანტილიბერალური და კონსერვატიული პოზიციებიდან გამოდიან.**

— მე ტელევიზორს თითქმის არ ვუყურებ, მით უმეტეს, ქართულ ტელეარხებს. რამდენიმეჯერ ვცადე, მაგრამ სირცხვილის მძაფრი განცდა გამიჩნდა. შემრცხვა პოლიტიკოსების, ჟურნალისტების, ექსპერტების... მაგრამ, თუ ამ ტელევიზიამ ნათელაშვილის უკმაყოფილება გამოიწვია, იქ, ალბათ, ნორმალური ხალხი მუშაობს.

**— სხვა გადაცემაში ნათელაშვილმა შალვა რამიშვილის დამფინანსებლადაც მოგიხსენიათ.**

— შალვა რამიშვილი ვინაა?

**— ტელეჟურნალისტი, ტელეარხ „პოსTV“-ის დამფუძნებელი და წამყვანი.**

— ისეთი ადამიანები მაინც დაასახელოს, პირადად რომ ვიცნობ. ცოტანილა დარჩნენ, მაგრამ მაინც არიან. **ეს ნათელაშვილი, როგორც მახსოვს, ახალგაზრდობაში საზრიანი ბიჭი იყო. დროთა განმავლობაში, ეტყობა, გონება დაუჩლუნგდა.**

**— კიდევ თქვა, რომ რუსეთის საგარეო დაზვერვის რეზიდენტი ხართ.**

— ჰოო, მაგის საქმე მთლად ცუდად ყოფილა. ნათელაშვილმა, საერთოდ, იცის, რა არის რეზიდენტურა და ვინ შეიძლება იყოს რეზიდენტი? ბავშვობაში დეტექტივები მაინც წაეკითხა ან რომანები ჯაშუშებზე. ისე, ახლაც არ არის გვიან, მაგალითად, **იან ფლემინგის** „აგენტ 007“-ით დაიწყოს, მისთვის ურიგო არ იქნება. ისე, **რეზიდენტის ვინაობა მხოლოდ აგენტმა იცის და, თუ მე რეზიდენტი ვარ, ნათელაშვილი ჩემი აგენტი ყოფილა. მაგრამ, მე რომ მზვერავი ვიყო, ნათელაშვილისნაირი ინტელექტის აგენტს არაფრით არ „დავავერბოვკებდი“.**

**— რატომ გამოვიდა ნათელაშვილი თქვენ მიმართ ასეთი აბსურდული ბრალდებებით? მასთან რამე კონფლიქტი ხომ არ გქონიათ?**

— არა, მასთან არასოდეს არანაირი ურთიერთობა არ მქონია. მხოლოდ ერთხელ, 15-16 წლის წინათ მქონდა მოკლე კონტაქტი. მოსკოვში ვიყავი და რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში დამპატიჟეს რაღაც ღონისძიებაზე, რომელიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს ეხებოდა. **ასეთ უსარგებლო ღონისძიებებზე, როგორც წესი, არ დავდივარ, მაგრამ ორგანიზატორებმა ძალიან მთხოვეს და წავედი. სწორედ იქ ვნახე ნათელაშვილი. თავის სიტყვაში დაბეჯითებით ირწმუნებოდა რუსეთ-საქართველოს დაახლოების საჭიროებას, ამბობდა, როგორ მხურვალედ უყვარს რუსეთი, რომ მასზე უკეთესი მეგობარი რუსეთს საქართველოში არ ჰყავს, რომ მისი ცხოვრების მიზანი ამერიკელების დიქტატისაგან საქართველოს გათავისუფლებაა და ა.შ. ნათელაშვილი ყვებოდა იმას, რაც იქ შეკრებილთ მრავალჯერ ჰქონდათ მოსმენილი სხვადასხვა ქართველი პოლიტიკოსისგან. ყველა მათგანი მოსკოვში ჩადიოდა ერთადერთი მიზნით: რუსეთისგან მიეღოთ ფული.** დიდი ხანია, შევამჩნიე: ქართულ პოლიტიკურ წრეებში გაბატონებულია მცდარი აზრი, რომ საკმარისია, მოსკოვში საჭირო ხალხი საკუთარ პრორუსულობაში დაარწმუნო და იქიდან ტომრებით წამოიღებ ფულს. ასე იყო ნათელაშვილის შემთხვევაშიც.

მერე მომიყვნენ, რომ ნათელაშვილის თავიდან მოშორება ძალიან გაუჭირდათ. როცა აუხსნეს, რომ სახელმწიფო სათათბიროში ფულს არ არიგებენ, მოითხოვა, სპეცსამსახურებთან დაეკავშირებინათ. ამაზეც უარი რომ მიიღო, მოითხოვა პრეზიდენტის ადმინისტრაციაზე გაეყვანათ. ერთი თუ ორი დღის შემდეგ მე დამირეკა და შეხვედრა მთხოვა. ვუპასუხე, რომ რამდენიმე დღეში თბილისში ვიქნებოდი და იქ შეიძლებოდა გვენახა ერთმანეთი. მეტი არანაირი კონტაქტი მასთან არ მქონია. **მეცოდება ნათელაშვილი. მას კარგი პოლიტიკური კაპიტალი ჰქონდა, მაგრამ ფულზე გაცვალა.** 2002 წელს ადგილობრივ არჩევნებზე თბილისის საკრებულოში ლეიბორისტებმა ყველაზე მეტი ადგილი მოიპოვეს, ხოლო პარტია „ერთობამ“, რომლის ხელმძღვანელობაშიც იმხანად შევდიოდი, სამი მანდატი მიიღო. როცა საქმე საკრებულოს თავმჯდომარის არჩევაზე მიდგა, დამირეკა **მიშა სააკაშვილმა** და მისი კანდიდატურის მხარდაჭერა მთხოვა. მე ვუპასუხე, რომ ჩვენი სამი დეპუტატი ამინდს ვერ შეუქმნიდა, მას ნათელაშვილთან სჭირდებოდა მოლაპარაკება. „შალიკო უკვე ნაყიდი მყავს!“ — ასეთი იყო სააკაშვილის პასუხი. როგორც ჩანს, მაშინ შალიკომ თავის პოლიტიკურ კაპიტალსა და ამომრჩეველთა ნდობასთან ერთად სინდისიც მიაყიდა და დარჩა ასე მასხარად.

**ცხადია ისიც, რომ ბოლო პერიოდში ჩემთვის გაუგებარ მიზეზთა გამო ვიღაც ცდილობს ჩემს დისკრედიტაციას და ამაში ფულს იხდის. ასე რომ, მოსყიდულთა სიაში ნათელაშვილი ბოლო არ არის, მანამდეც იყვნენ და მის შემდეგაც იქნებიან. არამი ფულის მსურველი, სამწუხაროდ, ბევრია.**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**«მეცოდება ნათელაშვილი. მას კარგი პოლიტიკური კაპიტალი ჰქონდა, მაგრამ ფულზე გაცვალა. 2002 წელს ადგილობრივ არჩევნებზე თბილისის საკრებულოში ლეიბორისტებმა ყველაზე მეტი ადგილი მოიპოვეს, ხოლო პარტია «ერთობამ», რომლის ხელმძღვანელობაშიც იმხანად შევდიოდი, სამი მანდატი მიიღო. როცა საქმე საკრებულოს თავმჯდომარის არჩევაზე მიდგა, დამირეკა მიშა სააკაშვილმა და მისი კანდიდატურის მხარდაჭერა მთხოვა. მე ვუპასუხე, რომ ჩვენი სამი დეპუტატი ამინდს ვერ შეუქმნიდა, მას ნათელაშვილთან სჭირდებოდა მოლაპარაკება. «შალიკო უკვე ნაყიდი მყავს!» — ასეთი იყო სააკაშვილის პასუხი. როგორც ჩანს, მაშინ შალიკომ თავის პოლიტიკურ კაპიტალსა და ამომრჩეველთა ნდობასთან ერთად სინდისიც მიაყიდა და დარჩა ასე მასხარად»**

**«მერე მომიყვნენ, რომ ნათელაშვილის თავიდან მოშორება ძალიან გაუჭირდათ. როცა აუხსნეს, რომ სახელმწიფო სათათბიროში ფულს არ არიგებენ, მოითხოვა, სპეცსამსახურებთან დაეკავშირებინათ. ამაზეც უარი რომ მიიღო, მოითხოვა პრეზიდენტის ადმინისტრაციაზე გაეყვანათ. ერთი თუ ორი დღის შემდეგ მე დამირეკა და შეხვედრა მთხოვა. ვუპასუხე, რომ რამდენიმე დღეში თბილისში ვიქნებოდი და იქ შეიძლებოდა გვენახა ერთმანეთი. მეტი არანაირი კონტაქტი მასთან არ მქონია»**

«მარტოკაც უნდა ვიომო»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„დემოკრატია გადაიქცა ცარიელ სიტყვად, რომელსაც დასავლეთის ამა თუ იმ პოლიტიკური მიზნის შესანიღბავად იყენებენ“, — აღმოხდა ზვიად გამსახურდიას, როდესაც მის მიერ მთელი ცხოვრების განმავლობაში ნაფერები და ნალოლიავები დასავლეთის შემზარავად უსამართლო სახე ახლო მანძილიდან იხილა.



# შუაღამემდე ასი წამი დარჩა!

## ბიძინა ივანიშვილმა საქართველოში უნიკალური პოლიტიკური სისტემა შექმნა: აქებ — მისი მომხრე ხარ, აძაგებ — მისი მომხრე ხარ

ვალერი კვარაცხელიას პუბლიცისტური წერილები. საავტორო გვერდი

## მეორე გამოშვება

**ისეთივე დამაბნეველი სათაური გამომივიდა, როგორი დამაბნეველიც ჩვენი ცხოვრებაა. სად ვართ? საით მივდივართ? რას ვაკეთებთ? რა გვინდა? გვაქვს პასუხები ამ შეკითხვებზე? რამდენი შარახვეტია პოლიტიკოსიცაა საქართველოში, ალბათ, იმდენივე მზა პასუხი არსებობს ამ შეკითხვებზე, მაგრამ, არა მგონია, რომ მათ ნააზრევში რამე საინტერესო ერიოს. პოლიტიკოსების გონებრივ შესაძლებლობებზე მსჯელობა სამომავლოდ გადავდოთ და შევეცადოთ, დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებას ერთდროულად შიგნიდანაც შევხედოთ და გარედანაც.**

### ვითარება ქვეყნის შიგნით

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სოციალისტური სისტემა კაპიტალისტური სისტემით შეიცვალა, საქართველოზე კი ამერიკელები გაბატონდნენ. ოცდაათი წელიწადის განმავლობაში ყოველ ადამიანს პირზე ეს სიტყვები აკერია: თავისუფლება; დემოკრატია; დასავლური ღირებულებები; ადამიანის უფლებების დაცვა და სხვა, მაგრამ ეს სიტყვები უშინაარსო, თვითმიზნური და თვალთმაქცური გამოდგა. **„დემოკრატია გადაიქცა ცარიელ სიტყვად, რომელსაც დასავლეთის ამა თუ იმ პოლიტიკური მიზნის შესანიღბავად იყენებენ“, — აღმოხდა ზვიად გამსახურდიას, როდესაც მის მიერ მთელი ცხოვრების განმავლობაში ნაფერები და ნალოლიავები დასავლეთის შემზარავად უსამართლო სახე ახლო მანძილიდან იხილა.**

გამსახურდიას პერიოდში ე.წ. ფერადი რევოლუციის ცნება ჯერ კიდევ არ არსებობდა, მაგრამ ის მღვრიე ტალღა, რომელმაც გამსახურდია (1990 წ.) ხელისუფლებაში მოიყვანა, ფერადი (ამერიკული) რევოლუციის პირველი შემოჭრა იყო საქართველოში. რევოლუციისა, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ეს სახელი დაარქვეს, სულაც არ იყო რევოლუცია, პირიქით, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შეტრიალებული პროცესი, ანუ კონტრრევოლუცია იყო. ეს გახლდათ შედეგი აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ საბჭოთა კავშირის დასაშლელად რესპუბლიკებში წამოწყებული ე.წ. ეროვნული მოძრაობების წახალისებისა და „თავისუფლებისკენ“ (სინამდვილეში კი, დასავლეთისკენ) მათი დაუოკებელი ლტოლვისა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როდესაც ამერიკელებმა ყოფილი საბჭოთა დისიდენტების უმრავლესობა უკვე ჩამოწერეს, გამსახურდიას ხელისუფლებაც დაამხეს (1992 წ.). ესეც ამერიკული რევოლუცია იყო, რაც გამსახურდიამაც დაადასტურა:

**„დასავლეთის მთავრობებს რომელიმე ქვეყანაში თავიანთი გავლენის ან სამხედრო დასწრების გაძლიერება როდესაც სურთ, ისინი ცდილობენ ამ ქვეყნის მთავრობის მოსყიდვას. იმ შემთხვევებში, როდესაც წინააღმდეგობას აწყდებიან, უბრალოდ, ჩამოაგდებენ კანონიერ ხელისუფლებას. დღეს სხვა ქვეყნებისადმი ეს მტაცებლური მიდგომა საბოლოოდ დამკვიდრდა ნატოს წევრ სახელმწიფოებში“,** — ეს არის ამონარიდი ზვიად გამსახურდიას ინტერვიუდან, რომელიც მან საქართველოში განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ რადიოსადგურ „თავისუფლებას“ მისცა. ამავე ინტერვიუში იგი ამბობს: **„ჩვენ არ დავუშვებდით, რომ საქართველო დასავლეთის კოლონიად ქცეულიყო. დასავლეთს კი მხოლოდ ისეთი ხელისუფლება სურს, რომელიც მისი ნება-სურვილის უსიტყვო შემსრულებელია. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი საქართველოში განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალებისა. დასავლეთი იბრძვის ნებისმიერი ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ. მათი მიზანია, საერთოდ გაანადგურონ ერები და შექმნან ერთიანი კონგლომერატი, სათავეში მსოფლიო მთავრობით“.** რიგით მეორე ამ ამერიკულ რევოლუციას, რომელიც საქართველოში განხორციელდა, **შევარდნაძის** მმართველობა მოჰყვა. იგი გაცილებით ხანგრძლივი გამოდგა, ვიდრე გამსახურდიას მმართველობა, მაგრამ, საბოლოოდ, ის ხელისუფლებაც ამერიკულმა რევოლუციამ (2003 წ.) იმსხვერპლა. ამ მესამე რევოლუციის შედეგად ქვეყნის მართვის სადავეები ხელში ჩაიგდო **მიხეილ სააკაშვილმა** („ნაციონალური მოძრაობა“). ცხრა წლის შემდეგ კი (2012 წ.), პირველად ე.წ. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, ხელისუფლება თითქოს რევოლუციის გარეშე, არჩევნების გზით, ანუ კონსტიტუციურად შეიცვალა და ქვეყნის სათავეში **ბიძინა ივანიშვილი** („ქართული ოცნება“) მოვიდა. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო გადატრიალება არ მომხდარა, ამ მოვლენას წინ ისეთი სახალხო მღელვარება უძღოდა, რომ **ესეც „ფერადი რევულუცია“ იყო, ოღონდ მასში სხვა შინაარსი (სხვა ვერაგობა) იყო ჩაქსოვილი, რომელშიც ქართველი ხალხი ჯერაც ვერ გაერკვია. მხედველობაში მაქვს ფორმით ორპარტიული, შინაარსით კი ერთპარტიული მმართველობის დანერგვა. ეს მოდელი საქართველოში ბიძინა ივანიშვილმა დაამკვიდრა, მაგრამ მისი მოგონილი არ გახლავთ. ივანიშვილმა იგი აშშ-იდან გადმონერგა, სადაც, ასევე, ფორმით ორპარტიული, შინაარსით კი ერთპარტიული მმართველობაა.** აშშ-ში მრავალი პარტია არსებობს, მაგრამ ხელისუფლებაში, როგორც წესი, ან რესპუბლიკური, ან დემოკრატიული პარტია მოდის. საქმე ისაა, რომ აშშ-ში მოქმედებს პრინციპი „მოგებულს მიაქვს ყველაფერი“. ეს გულისხმობს იმას, რომ ძლიერსა და გამარჯვებულ პარტიას (პარტიებს) არამხოლოდ მომხრეთა, არამედ მოწინააღმდეგეთა ხმებიც მიაქვს (მიაქვთ). ფრანგი სოციოლოგის, **მორის დიუვერჟეს,** აღმოჩენით, რომელსაც შემდგომ დიუვერჟეს კანონი უწოდეს, ასეთ შემთხვევაში მოქმედებას იწყებს ამომრჩევლის ფსიქოლოგიური განწყობა, რომლის მიხედვით იგი მოტივირებულია, ხმა მისცეს არა იმ პარტიას, რომელიც მის პოლიტიკურ თვალსაზრისს გამოხატავს და შეესაბამება, არამედ მხოლოდ იმ პარტიებს (დიდ ბიუჯეტიანებს, ძლიერებს, ორგანიზებულებს) აძლევს ხმას, რომლებსაც გამარჯვების რეალური შანსი აქვთ, ვინაიდან ყველა საწინააღმდეგო შემთხვევაში ამომრჩევლის ხმა უკვალოდ ქრება და იკარგება. **ამერიკელებმა ამ საარჩევნო მოდელის დამკვიდრებით შექმნეს ერთი (კაპიტალისტურ-ოლიგარქიული) პარტიის ორი ფრაქცია, რომლებსაც ერთმანეთისგან სახელების გარდა არაფერი განასხვავებთ. ამერიკულ ბურჟუაზიას თავი ქუდში აქვს, ვინაიდან ამ ორიდან ნებისმიერი ფრაქციის გამარჯვების შემთხვევაში სისტემას და მის კაპიტალისტურ საფუძველს არაფერი ემუქრება. ეს ის ვითარებაა, როდესაც არჩევნები ტარდება არა პოლიტიკური, არამედ პიროვნული გამარჯვების მისაღწევად. არჩევნების პერიოდში ბობოქრობს ამომრჩეველი, ირყევა სრულიად ამერიკა, მაგრამ ჩამთავრდება პროცესი და აღმოჩნდება, რომ პერსონალიების გარდა არაფერი შეცვლილა.** ეს თაღლითური სქემა (პოლიტიკურ სცენაზე ვითომ ერთმანეთთან დაპირისპირებული ორი ზემდიდარი ძალის გამოყვანა) უზრუნველყოფს პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემისა და, საბოლოო ჯამში, რეალური მმართველების უცვლელობის მყარ გარანტიას, ვინაიდან მათ სხვა პარტიები ვერ შეეჯიბრებიან, პირველ რიგში, ფინანსური შესაძლებლობებით, ამიტომ ამომრჩეველი, ხედავს რა, რომ არჩევნებში აუცილებლად ეს ორი პარტია იმარჯვებს, მორის დიუვერჟეს მიერ აღმოჩენილი ელექტორალურ-ფსიქოლოგიური კანონის შესაბამისად, საარჩევნო ხმათა უმრავლესობა სწორედ ამ ორი პარტიის ყულაბაში იყრის თავს.



ახლა ვნახოთ, რა ვითარება გვაქვს საქართველოში. ბიძინა ივანიშვილმა ჯერ კიდევ 2012 წელს, პოლიტიკაში მოსვლისთანავე გააკეთა ერთი საშინელი განცხადება. ერთ-ერთ ინტერვიუში მან თქვა: **„ძალიან მეშინია შუალედური პოზიციის. ვითომ შუაში მდგომი და სინამდვილეში ორპირი ხალხია ჩემთვის ყველაზე დიდი საფრთხე. შუა უნდა გაიკრიფოს. ხალხს უნდა მივცეთ მკაფიო არჩევანის გზა. ყველამ ზუსტად უნდა გაარკვიოს, მე მიჭერს მხარს თუ სააკაშვილს“.**

ამ ნათქვამმა, მართალია, საზოგადოების ყურადღება მაშინვე მიიპყრო, მაგრამ ბოლომდე არავის გაუცნობიერებია, რა ნაღმი იყო მასში ჩადებული. ნაღმი კი ის იყო, რომ **ივანიშვილმა პოლიტიკური ცხოვრება დასაწყისიდანვე მოკლა და ქვეყანას ერთპარტიული მმართველობა შესთავაზა.** ალბათ, იკითხავთ: ერთპარტიული მმართველობა როგორ იყო, თუკი ორი პარტია ერთმანეთს დღემდე სამკვდრო სასიცოცხლოდ უპირისპირდებაო? ვისაც დაგაინტერესებთ, ყველას შეგიძლიათ, ინტერნეტში მოიძიოთ ბიძინა ივანიშვილის წერილი, რომელიც 2013 წლით არის დათარიღებული. ამ წერილში ივანიშვილი შავით თეთრზე წერს: **„2003 წლის შემდეგ, როდესაც ჩვენს ქვეყანაში ახალი ხელისუფლება მოვიდა, მე მათ კონსულტაციას ვუწევდი მათივე თხოვნით. ჩემი ინიციატივით ვაფინანსებდი იმ ფონდს, რომელიც ორ-ნახევარ წელზე მეტ ხანს მთელ მთავრობასა და პარლამენტს ხელფასებს უხდიდა, რათა ქვეყანა კორუფციის ჭაობიდან ამოსულიყო და ევროპული განვითარების გზას დადგომოდა. რჩევებს ვაძლევდი მერაბიშვილსაც, ვეხმარებოდი პოლიციას პატრულის მანქანების ყიდვაში და არავითარ შემთხვევაში იარაღის შეძენაში. ვეხმარებოდი ჯარს, ვაშენებდ-** ▶

**ივანიშვილმა დანიშნა ხელისუფლებაც და ოპოზიციაც, ოღონდ ეს, რა თქმა უნდა, საზოგადოებისგან დაფარულია. ამიტომაცაა, რომ არც ერთ და არც მეორე მხარეს არავინ კითხულობს, რატომ არიან ისინი ერთმანეთთან დაპირისპირებულნი, რა ნიშნით, რომელი პოლიტიკური მსოფლმხედველობით? თუკი ორივე დასავლეთს შესციცინებს თვალებში, თუკი ორივესთვის მზე ევროპიდან ამოდის და თუკი ორივე ნატოზე ოცნებაში ათენ-აღამებს, რატომ ჰქვია მათ ერთმანეთთან დაპირისპირებული ძალები?**

«მარტოკამ უნდა ვიომო»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „ფერადი რევოლუციების“ შედეგად მოსული მარიონეტი მთავრობის ხელში აღმოჩენილი უკრაინელი ხალხი აშშ-ისა და კოლექტიური დასავლეთის უზნეო პოლიტიკის მსხვერპლია. ამდენად, უკრაინა ნათელი მაგალითიცაა იმისა, რა შეიძლება მოხდეს ნებისმიერ იმ სახელმწიფოში, რომელიც ამერიკელთა ხელში რუსეთის წინააღმდეგ დაგეგმილი პროვოკაციების ინსტრუმენტად იქცევა.

◀ **ით ყაზარმებს, ვყიდულობდით ტანსაცმელს ჯარისკაცებისთვის და იქაც მქონდა პრინციპული პოზიცია, რომ ამ დახმარებით არ ეყიდათ იარაღი“**. დავანებოთ თავი იმას, რომ ივანიშვილი მის რაღაც აკვიატებულ მარაზმს დიდ მიგნებად და უმაღლეს ზნეობად ასაღებს. ჯარს თუ ეხმარები, მისთვის იარაღის შეძენისგან რა მოტივით იკავებ თავს? ჯარს მაშინ ჰქვია ჯარი, თუკი მას შეიარაღება გააჩნია. რისი მაქნისია ყაზარმები და ტანსაცმელი ჯარისთვის, თუკი იგი შეიარაღებული არ არის?! ჯარს ან ჰქმნი, ან არა, მაგრამ, როგორც ვთქვი, ამას თავი დავანებოთ. ჩვენთვის ამჟამად სხვა რამეა საინტერესო. **როგორც ამ წერილიდან ჩანს, ივანიშვილი (მას ეს ტელევიზიითაც ბევრჯერ განუცხადებია) სააკაშვილის ხელისუფლებას თავიდან ბოლომდე (პარლამენტი, მთავრობა, პოლიცია, არმია) აფინანსებდა, ანუ ხელისუფლება, რომელიც ჩვენ სააკაშვილის გვეგონა, სინამდვილეში ივანიშვილის ხელისუფლება იყო. სააკაშვილი კი ისეთივე მარიონეტი გახლდათ, როგორიც დღეს პრეზიდენტი ზურაბიშვილია ან პრემიერმინისტრი ღარიბაშვილი.** ერთი სიტყვით, პარტია „ნაციონალური მოძრაობა“ ივანიშვილის პარტია იყო, რომელიც მან, მმართველობაში ყოფნის ცხრაწლიანი პერიოდის შემდეგ, განზე გასწია და ხელისუფლებაში მოიყვანა მის მიერ დაფუძნებულ-დაფინანსებული ახალი ძალა, რომელსაც „ქართული ოცნება“ ჰქვია. ეს არ ნიშნავდა იმას, რომ ივანიშვილმა „ნაციონალურ მოძრაობაზე“ ხელი აიღო. არც სააკაშვილთან პიროვნული კონფლიქტი იყო იმის წინაპირობა, რომ ივანიშვილი სააკაშვილზე ხელს იღებდა. **ივანიშვილის მთელი პოლიტიკური ხელოვნება არის ის, რომ მასთან კონფლიქტში შესულ ადამიანებზე ხელს კი არ იღებს, არამედ სწორედ ამ კონფლიქტის რეჟიმით მართავს და აიძულებს მათ, რომ კვლავაც მის სამსახურში დარჩნენ (ადამიანს, რომელიც სახელმწიფოს მართავს, მხოლოდ მხარდამჭერები ხომ არ სჭირდება, ოპონენტებიც სჭირდება). იგი არავის კარგავს, მტერსაც და მოყვარესაც ფუნქციას უძებნის და მის ორბიტაზე ატრიალებს** (ადამიანთა იმ კატეგორიას კი, რომლებსაც მის ორბიტაში ვერ აქცევს, იგი ყველანაირად უკეტავს გზას პოლიტიკურ, საზოგადოებრივ ან თუნდაც ბიზნესსარბიელზე). როგორც ჩანს, ასეთია ივანიშვილის ბუნება. მოკლედ რომ ვთქვათ, ივანიშვილი პოლიტიკაში ერთმანეთთან დაპირისპირებული ორი პარტიით შემოვიდა და დღემდე ამ ორი პარტიით ოპერირებს. უფრო ზუსტი კი ის იქნება, თუ ვიტყვით, რომ **ივანიშვილი პოლიტიკაში კაპიტალისტურ-ოლიგარქიული პარტიით შემოვიდა, რომელიც ორი ვითომ ერთმანეთთან დაპირისპირებული ფრაქციით არის წარმოდგენილი — „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“.** ამ ორ ფრაქციას შორის დაპირისპირება არსებობს, მაგრამ ეს დაპირისპირება ხელისუფლებისთვის ბრძოლით იწყება და ამითივე მთავრდება. მეტსაც გეტყვით, **დღეს ბიძინა ივანიშვილი განაგებს იმ პოლიტიკურ ორგანიზაციებსაც, რომლებსაც თავი პარტიებად წარმოუდგენიათ, მაგრამ, სინამდვილეში, სწორედ იმ კაპიტალისტურ-ოლიგარქიული პარტიის ან ერთი ან მეორე ფრაქციის წვრილი შენაკადები არიან.** ბიძინა ივანიშვილმა, როგორც დაგვპირდა, „შუა გაკრიფა“, ანუ ყველა ის პარტია, რომელმაც ასე თუ ისე პოლიტიკურ ავანსცენაზე გამოჩენა მოისურვა, ან ერთი, ან მეორე ფრაქციის წისქვილზე მიუშვა წყლის დასასხმელად. **ივანიშვილმა დანიშნა ხელისუფლებაც და ოპოზიციაც, ოღონდ ეს, რა თქმა უნდა, საზოგადოებისგან დაფარულია. ამიტომაცაა, რომ არც ერთ და არც მეორე მხარეს არავინ კითხულობს, რატომ არიან ისინი ერთმანეთთან დაპირისპირებულნი, რა ნიშნით, რომელი პოლიტიკური მსოფლმხედველობით. თუკი ორივე დასავლეთს შესციცინებს თვალებში, თუკი ორივესთვის მზე ევროპიდან ამოდის და თუკი ორივე ნატოზე ოცნებაში ათენ-აღამებს, რატომ ჰქვიათ მათ ერთმანეთთან დაპირისპირებული ძალები?** მხოლოდ იმიტომ, რომ ორივეს ძალაუფლების წყურვილი კლავს და, პირველი თუ მისი შენარჩუნებითაა გართული, მეორე ცდილობს, რომ პირველს იგი ხელიდან გამოჰგლიჯოს? სასაცილოა, როდესაც ნაციონალების მხარდამჭერები ივანიშვილის წინააღმდეგ მთელი ხმით გაჰყვირიან და აინუნშიც არ მოსდით ის ამბავი, რომ მაგ ხმის ჩახლეჩვამდე ყვირილით სწორედ ივანიშვილს ემსახურებიან ზუსტად იმავე დოზით, რა დოზითაც მხარდამჭერები ემსახურებიან. **ივანიშვილმა საქართველოში უნიკალური პოლიტიკური სისტემა შექმნა: აქებ — მისი მომხრე ხარ, აძაგებ — მისი მომხრე ხარ!**

მთელი ეს პოლიტიკური მასკარადი კი იმას ემსახურება, რომ ქვეყნისა და ხალხის ბედზე მოფიქრალი, რეალური პოლიტიკური ძალა არ გამოჩნდეს, რომელიც ქართველ ხალხს დაახლოებით ამგვარ თეზისებს ჩამოუყალიბებს:

*** ოცდაათი წელიწადია, რაც დასავლეთი სრულ სიცრუეში გვაცხოვრებს;**

* ოცდაათი წელიწადია, რაც დასავლეთი ნატოსა და ევროკავშირის წევრობას გვპირდება, თუმცა წევრად მიღება კი არა, ის ფარატინა ქაღალდიც არ გვაღირსა, ნატოს წევრობის სამოქმედო პროგრამას რომ უწოდებენ. ეს ჩვენი დაცინვა და აბუჩად აგდებაა. ასე მწარედ იმიტომ გვატყუებენ, რომ ჩვენ წინაშე რამე სახის პასუხისმგებლობის აღება არ სურთ. თუმცა, არც ის სურთ, სხვა მიმართულებით გავიხედოთ და სხვა მოკავშირეს დავუწყოთ ძებნა;

*** დასავლეთმა იმდენი ქნა, რომ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი დაგვაკარგვინა. ჩვენმა „სტრატეგიულმა პარტნიორმა“ ეს რეგიონები რუსეთს მიუგდო, რათა გამწარებულ ქართველ ხალხს რუსეთი ოკუპანტად და ისტორიულ მტრად გამოგვეცხადებინა და ჩვენ შორის ხიდი სამუდამოდ ჩატეხილიყო;**

* დასავლეთი მუდმივად გვაყვედრის, — ეკონომიკურად და ფინანსურად გეხმარებითო, ეს მტკნარი სიცრუეა. საქართველოს ეკონომიკა დანგრეულია, ფინანსური „დახმარების“ სავალალო შედეგი კი ისაა, რომ ოც მილიარდზე მეტი საგარეო ვალი გვაქვს, რომელიც ახლო მომავალში საქართველოს ფეხზე წამოდგომისა და წელში გამართვის საშუალებას არ მისცემს;

*** დასავლური პოლიტიკის შედეგად, საქართველოში დაირღვა დემოგრაფიული ბალანსი. ქართველები უკვე უმცირესობაში ვართ და ეს პროცესი ისეთი საგანგაშო ტემპით ვითარდება, რომ საშიშროება ქართველობის მოშლისა სრულიად რეალურია;**

* საარსებო საშუალებას მოკლებული ქართველები ტოვებენ სამშობლოს, საქართველოსკენ კი ცუნამივით დაიძრა ზომიერ კლიმატს, არაჩვეულებრივ ბუნებრივ პირობებს, ნოყიერ მიწას, ულამაზეს ზღვას, ცას, მზეს და საუკეთესო პერსპექტივას დახარბებულთა ქარავანი ჩინეთიდან, არაბეთიდან, ირანიდან, თურქეთიდან, აფრიკის კონტინენტიდანაც კი. სამშობლო თვალსა და ხელს შუა გვეცლება;

*** ყველა ის უბედურება, რომლებიც საქართველოს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თავს დაატყდა, დასავლეთის მიერ ჩვენს მიმართ გატარებული იმ მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგია, რომლის მიხედვითაც მათ აქ სამხედრო ბაზების, ტვირთის გადასაზიდი დერეფნებისა და იაფი მუშახელის გარდა არაფერი სჭირდებათ;**

* დასავლეთი საბჭოთა კავშირის დასაშლელად იმიტომ კი არ იღვწოდა, რომ შემავალი რესპუბლიკები გაეთავისუფლებინა, არამედ იმიტომ, რომ ის რესპუბლიკები საკუთარ კოლონიებად ექცია, რაც განხორციელდა კიდეც.

*** საქართველოს გადარჩენის ერთადერთი გზა რუსეთთან დაპირისპირების რეჟიმიდან გამოსვლა და მასთან საერთო ენის გამონახვაა.**

ამის მთქმელი პოლიტიკური ძალა კი არა, ერთი კონკრეტული პიროვნებაც რომ გამოჩნდეს, ეს ქოც-ნაცური გაერთიანება მშიერი მგლების ხროვასავით დაესევა იმის შიშით, რომ მათ მიერ ამდენი ყაყანისა და ღრიანცელის, ამდენი აურზაურის ფასად მოპოვებული მდგომარეობა არ დაკარგონ, რაც ფორმით ორპარტიულ, მაგრამ შინაარსით ერთპარტიულ მმართველობაში გამოიხატება, და რაც თითოეული მათგანისთვის შეუწყვეტელი პოლიტიკური სალაფავის გარანტიაა. ერთმანეთს უშვერი სიტყვებით გალანძღავენ, თავ-ყბასაც დაალეწავენ, სამშობლოსაც გაწირავენ და, როდესაც გარდაუვალი გახდება, ციხეებშიც ეყრებიან, ოღონდ, ვისთვის მილიონებისა და ვისთვის მილიარდების ღირებულების პოლიტიკური სალაფავი არ მოაკლდეთ.

ასეთია ქვეყნის შიგნით არსებული ვითარება.

## ვითარება ქვეყნის გარეთ

ჩიკაგოს უნივერსიტეტის „ატომის შემსწავლელი მეცნიერების ბიულეტენს“ აქვს საინტერესო პროექტი, რომელსაც ინგლისურად ჰქვია Doomsday Clock, რუსულად — Часы Судного дня, ქართულად კი შეგვიძლია ვუწოდოთ **განკითხვის დღის წამმზომი**. პროექტი 1947 წელს დაიწყო. მას შემდეგ **ჟურნალის ყდაზე პერიოდულად ჩნდება საათის ისრები, რომლებიც უჩვენებს შუაღამემდე დარჩენილ წუთებს. შუაღამე არის ბირთვული კატასტროფის სიმბოლო. შუაღამემდე დარჩენილი წუთები კი გვიჩვენებს, რა ახლოსაა კაცობრიობა იმ საშინელებასთან, რომელიც შეიძლება ბიბლიური განკითხვის დღედ წარმოვიდგინოთ. ისრის ყოველ გადაწევაზე გადაწყვეტილებას ჟურნალის დირექტორთა საბჭო იღებს, რომლის წევრთა შორის თვრამეტი ნობელის პრემიის ლაურეატია. ამ საბედისწერო საათის ისრებს თუ ვერწმუნებით, დღევანდელი მდგომარეობით, შუაღამემდე ასი წამი რჩება.**

ზუსტად ვერავინ იტყვის, რეალური დროის რა მონაკვეთს ნიშნავს ასი სიმბოლური წამი, რომელიც კატასტროფამდე რჩება, მაგრამ, **თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ 1947 წლიდან დღემდე ეს ყველაზე საგანგაშო სიმბოლური მიახლოებაა ქვეყნიერების აღსასრულთან, იგი კარგს არაფერს მოასწავებს.**




**პროექტი 1947 წელს დაიწყო. მას შემდეგ ჟურნალის ყდაზე პერიოდულად ჩნდება საათის ისრები, რომლებიც უჩვენებს შუაღამემდე დარჩენილ წუთებს. შუაღამე არის ბირთვული კატასტროფის სიმბოლო. შუაღამემდე დარჩენილი წუთები კი გვიჩვენებს, რა ახლოსაა კაცობრიობა იმ საშინელებასთან, რომელიც შეიძლება ბიბლიური განკითხვის დღედ წარმოვიდგინოთ. ისრის ყოველ გადაწევაზე გადაწყვეტილებას ჟურნალის დირექტორთა საბჭო იღებს, რომლის წევრთა შორის თვრამეტი ნობელის პრემიის ლაურეატია. ამ საბედისწერო საათის ისრებს თუ ვერწმუნებით, დღევანდელი მდგომარეობით, შუაღამემდე ასი წამი რჩება**

ურთულესი ვითარებაა. ბევრი ფიქრობს, რომ მთავარი პრობლემა რუსეთსა და უკრაინას შორის დაპირისპირებაა. სინამდვილეში კი **უკრაინა არაფერ შუაშია. პრობლემა მსოფლიოს წინააღმდეგ ამხედრებული ის ერთი სახელმწიფოა, რომელიც აშშ-ის სახელითაა ცნობილი. უკრაინა, რომელიც რისკს საკუთარი არსებობით ეწევა, შესაძლებელია, ამერიკისა და რუსეთის საომარი ბატალიების თეატრად იქცეს, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ქვეყანაში ამერიკელებმა ორჯერ (2004 წ. და 2014 წ.) მოაწყვეს „ფერადი რევოლუცია“.**

„ფერადი რევოლუციების“ შედეგად მოსული მარიონეტი მთავრობის ხელში აღმოჩენილი უკრაინელი ხალხი აშშ-ისა და კოლექტიური დასავლეთის უზნეო პოლიტიკის მსხვერპლია. ამდენად, უკრაინა ნათელი მაგალითიცაა იმისა, რა შეიძლება მოხდეს ნებისმიერ იმ სახელმწიფოში, რომელიც ამერიკელთა ხელში რუსეთის წინააღმდეგ დაგეგმილი პროვოკაციების ინსტრუმენტად იქცევა. ეს, რაც შეეხება უკრაინას.

რაც შეეხება საერთო ვითარებას, იგი კარგად აისახება თუნდაც იმ ფაქტში, რომ, **ნაცვლად დაძაბულობის შერბილებისა, დასავლეთის ქვეყნები, აშშ-ის პარალელურად და მისი მიბაძვით, უკვე რამდენიმე დღეა, გამალებული აწვდიან შეიარაღებას უკრაინის მთავრობას. დიდი ბრიტანეთი, პოლონეთი, ჩეხეთი, ნიდერლანდები, ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი — აი არასრული ჩამონათვალი სახელმწიფოებისა, რომლებიც თავიანთ დასაკლავ დანას საკუთარი ხელით იმზადებენ.** მსოფლიოს ახსოვს მასობრივი ევროპული შიზოფრენიის ეპოქები, მაგრამ იმის წარმოდგენა, რაც დღეს ხდება, მაინც ძნელი იყო. **ერთადერთი ევროპული სახელმწიფო, რომელიც ამ სიგიჟეში მონაწილეობაზე უარს აცხადებს, გერმანიაა, რაც, რა თქმა უნდა, სასიხარულოა, მაგრამ ეს ძალიან ცოტაა. ევროპაში საზოგადოებრივი ცნობიერების გათიშვისა და გონების მასობრივი დაბნელების წარმოუდგენელი პროცესი იწყება. როგორც ჩანს, აშშ-ში უფრო მოეგებიან გონს, ვიდრე ევროპაში. პრეზიდენტმა ბაიდენმა ის მაინც თქვა, რომ უკრაინის (იგულისხმება საქართველოც და მოლდოვაც) ახლო მომავალში ნატოში მიღების საკითხი არ დგას.** ეს გონივრული მიდგომაა, რომელმაც შეიძლება სიტუაცია განმუხტოს, რადგან რუსეთი აშშ-ისგან სწორედ ამას მოითხოვს.

განკითხვის დღის წამმზომის ისარი ჯერჯერობით ისევ წინ მიიწევს.

**P.S. საქმე ისე მიდის, რომ პატარა სახელმწიფოების ბედს ამჯერადაც ზესახელმწიფოები გადაწყვეტენ. შექმნილ ვითარებაში საკითხისადმი ეს სრულიად არადემოკრატიული და უსამართლო მიდგომა, ალბათ, ერთადერთი სწორი გამოსავალი იქნება, ვინაიდან, როგორც ვხედავთ, შედარებით სუსტი მოთამაშეები (ევროპის სახელმწიფოები, უკრაინა, საქართველო და სხვ.) ჭკუის ნიშანწყალსა და მისხალ ზნეობასაც ვერ ავლენენ. გაივლის დრო, კაცობრიობა თუ ამ განსაცდელსაც ისევე გადაიტანს, როგორც მრავალი სხვა გადაუტანია და გადარჩება, ამ საკითხზე საქართველოში გაკეთებულ განცხადებებს დიპლომატიის სახელმძღვანელოებში, ალბათ, იმის ნიმუშად შეიტანენ, როგორი არ შეიძლება იყოს რიტორიკა და როგორ არ შეიძლება დაეცეს პასუხისმგებლობის დონე საერთოდ, განსაკუთრებით კი — საერთაშორისო დაძაბულობის ვითარებაში.**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ანგლოსაქსებსა და კოლექტიურ დასავლეთს (აშშ) კი სურთ, რომ ყველა და ყველაფერი ერთ თარგზე მოჭრან. მათ არათუ დაუშვეს, არამედ ხმამაღლა უარყვეს ღმერთი და ამიტომ ჰომოსექსუალიზმით დაწყებული, ინცესტით გაგრძელებული, ყველანაირი გარყვნილების პროპაგანდისტები არიან. იქამდეც კი, რომ ზოგიერთ „განვითარებულ“ ქვეყანაში პედოფილიაც კი დააკანონეს.**

# ღმერთო, დაიფარე საქართველო გამძვინვარებული რუსული დათვის ხახაში თავის შეყოფისაგან!

**ვლადიმერ პუტინი, სამხედრო თვალსაზრისით, მსოფლიოს ზესახელმწიფოთა შორის ყველაზე ძლიერი (ერთ-ერთი კი არა) იმპერიის პრეზიდენტი რომ არის, მხოლოდ ბრიყვთათვის შეიძლება იყოს სადავო. ამასთანავე, ის, ჩემი აზრით, ნომერი პირველი პოლიტიკოსიც არის. მისი იუმორი ხომ საერთოდ... პირდაპირ ეთერში რუსეთის პრეზიდენტის გონებამახვილური, ხშირად „უხეში“ და შოკისმომგვრელი ფრაზები (მაგალითად, ანგელა მერკელს რომ უთხრა, საქორწინო ღამე პატარძლისათვის გარდაუვალი შედეგით მთავრდებაო) დღესაც ღიმილისმომგვრელია, თუმცა წერილის მთავარი თემა ეს ვერ იქნება.**

ამას წინათ გამართულ მორიგ კლოუნადაში ქოც-ნაცებმა რუსეთთან პარალელის გავლებისას კარგა ხნის მივიწყებული პოლიტიკური ტერმინი ახსენეს — „სუვერენული დემოკრატია“. თქვენც პუტინივით სუვერენულ დემოკრატიას ხართ ამოფარებულიო, — დაამუნათეს ნაცებმა ქოცები... რა თემაზეც უნდა იყოს ბრიფინგი (თუნდაც მთვარეზე მანდარინების პლანტაციის გაშენებაზე), აუცილებლად გამოხტება მავანი „ჟურნალისტი“ ე.წ. კოლექტიური დსავლეთიდან, რომელიც ბრიფინგის მთავარ აქტორს, ტრადიციების მიმდევარ მავან პოლიტიკოსს ლგბტ სექტის უფლებების დაცვის შესახებ კითხვას დაუსვამს და ჰგონია, რომ „ჩაჭრის“.

ტერმინი „სუვერენული დემოკრატია“ პირველად სწორედ ვლადიმერ პუტინმა ახსენა რამდენიმე წლის წინათ გამართულ ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე აბეზარი ჟურნალისტის კითხვის პასუხად. დიახ, ვლადიმერ პუტინმა, რომელიც რუსეთის პრეზიდენტის პოსტის მესამე ვადით უეჭველად დასაკავებლად (დიახ, დასაკავებლად და არა ასარჩევად), რადგან უმაღლეს ხელისუფლებაში მოსვლიდან დღემდე და, დიდი ალბათობით, ხვალაც, საბედნიეროდ (თუ, რატომ საბედნიეროდ, ამაზე ქვემოთ) მის პრეზიდენტობას რეალური ალტერნატივა არ გააჩნია...

ლიბერასტი ჟურნალისტის კითხვა კი კოლექტიური დასავლეთის უმთავრეს ღირებულება-ფასეულობიდან გამომდინარეობდა — თუ დემოკრატები ხართ, რატომ არის აკრძალული რუსეთში ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინება?

ამ კითხვას ვლადიმერ პუტინმა შესანიშნავი პასუხი გასცა, რომელიც ამდენი წლის შემდეგაც სიტყვასიტყვით ჩამესმის: — Да вы что, если такими идеями в сибирь, в Татарстан или в Чечне войдём то, нас простые местные жители топорами зарубят! У нас суверенная демократия.

**ვლადიმერ პუტინმა მსოფლიო პოლიტიკაში პირველად ახსენა ეს ერთი შეხედვით უბრალო, მაგრამ, თუ დავაკვირდებით, ერთობ ტევადი და მნიშვნელოვანი შინაარსის ტერმინი — „სუვერენული დემოკრატია“... მნიშვნელოვანი, რადგან ყველა კულტურულ ხალხს, ერებს საკუთარი, ერთმანეთისგან განსხვავებული ცხოვრების წესი და მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები აქვს. თუმცა ერთი მნიშვნელოვანი რამ ყველა სარწმუნოების მიმდევართ აერთიანებთ, რომელსაც საზოგადოებრივი მორალი, ბიბლია, ღმერთის რწმენა ჰქვია...**

ასეა თუ ისე, ოდნავ განათლებულ მკითხველს, რომელსაც შეიძლება გადაბულბულებული არ აქვს **დოსტოევსკის** გენიალური რომანი „ძმები კარამაზოვები“, ის მაინც ეცოდინება, რომ წინამდებარე წერილის სათაურის პირველ ნაწილს ერთ-ერთ კარამაზოვს, **ივანეს,** მიაწერენ. **თუ დავუშვებთ, რომ ღმერთი არ არსებობს, მაშინ ამქვეყნად ყველანაირი ავის ქმნა შეიძლება.**



ანგლოსაქსებსა და კოლექტიურ დასავლეთს (აშშ) კი სურთ, რომ ყველა და ყველაფერი ერთ თარგზე მოჭრან. მათ არათუ დაუშვეს, არამედ ხმამაღლა უარყვეს ღმერთი და ამიტომ ჰომოსექსუალიზმით დაწყებული, ინცესტით გაგრძელებული, ყველანაირი გარყვნილების პროპაგანდისტები არიან. იქამდეც კი, რომ ზოგიერთ „განვითარებულ“ ქვეყანაში პედოფილიაც კი დააკანონეს. ახლა გამოხტებიან ადგილობრივი თუ უცხოელი ლიბერალები და დაგვიწყებენ შეგონებას, რომ დასავლეთში ყველა გარყვნილი არ არის, და რა მოხდა მერე, ჰომოსექსუალიზმი ქეცი კი არ არის, რომ გადაგედოს და ა.შ.

**საქართველოსთვის ერთადერთი ძალა, რომელიც უზნეობის, გარყვნილების ექსპანსიას აღუდგება წინ, მართლმადიდებლობასთან ტანდემში, პუტინის „სუვერენული დემოკრატიაა“. არ იქნება რუსეთი — აღარ იქნება მართლმადიდებელი ეკლესია; არ იქნება მართლმადიდებელი ქრისტიანობა — აღარ იქნება ქართველი ერი.**

ეს არა მხოლოდ ჩვენ, არამედ ჩვენმა ამერიკელმა „მეგობრებმაც“ კარგად იციან, ამიტომაც მოაქციეს ნატოს (აშშ) ალყაში რუსეთი ანგლოსაქსებმა, მაგრამ ჰოი, საკვირველებავ... პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: ალყაში მოქცეული რუსეთი კი არა, შიშისგან ისევ მოალყე იანკები ცახცახებენ, რადგან კარგად ესმით, რომ ბირთვული ომი მსოფლიოს დასასრულია, ხოლო არაბირთვული ომის შემთხვევაში ჰიპერბგერითი რაკეტების მფლობელი ვლადიმერ პუტინის მომრევი არავინაა პლანეტაზე, ამიტომ, მით უმეტეს, ავღანეთში განცდილი სირცხვილის შემდეგ აშშ, რომ იტყვიან, სახის შენარჩუნებას ცდილობს და ამ მცდელობაში, უკაცრავად პასუხია და, ძია სემს უკრაინა ისე სჭირდება, როგორც მიცვალებულს ბროწეულის ოყნა.

ამიტომ აწვდიან გულუხვად ანგლოსაქსები უკრაინას სხვადასხვა სახის შეტევით იარაღს. ეს უკვე აღარ არის კედელზე ჩამოკიდებული **ჩეხოვის** თოფი, რადგან დღეს ისეთი დაძაბული ვითარებაა, როგორიც „ცივი ომის“ შემდეგ არასდროს ყოფილა.

ვინმე სულელს რომ წაუცდეს ხელი უკრაინაში და დონბას-ლუგანსკში, ან, უარეს ვარიანტში, ყირიმის მიმართულებით ერთი ტყვიაც რომ გავარდეს, მაშინ დაინახავს ამერიკა რუსეთის სამხედრო მანქანის ნამდვილ ძალას, ხოლო ბანდერელი ფაშისტები იმას — როგორი მეგობრობა იციან იანკებმა.

რაც შეეხება საქართველოს, არასამთავრობოები და ურაპატრიოტები ხელისუფლებას უკრაინის მხარდამჭერი ოფიციალური განცხადების გაკეთებისკენ მოუწოდებენ...

**ღმერთო, დაიფარე საქართველო გამძვინვარებული რუსული დათვის ხახაში თავის შეყოფისაგან!**

**დავით მხეიძე**

**პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: ალყაში მოქცეული რუსეთი კი არა, შიშისგან ისევ მოალყე იანკები ცახცახებენ. რადგან კარგად ესმით, რომ ბირთვული ომი მსოფლიოს დასასრულია, ხოლო არაბირთვული ომის შემთხვევაში ჰიპერბგერითი რაკეტების მფლობელი ვლადიმერ პუტინის მომრევი არავინაა პლანეტაზე, ამიტომ, მით უმეტეს, ავღანეთში განცდილი სირცხვილის შემდეგ აშშ, რომ იტყვიან, სახის შენარჩუნებას ცდილობს და ამ მცდელობაში, უკაცრავად პასუხია და, ძია სემს უკრაინა ისე სჭირდება, როგორც მიცვალებულს ბროწეულის ოყნა**

# რუსეთის საგარეო უწყება: იმედია, საქართველოს ხელისუფლება წარსულიდან დასკვნებს გამოიტანს და რუსეთის მიმართ უფრო დაბალანსებულ პოლიტიკას განახორციელებს



**რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციაში, რომლითაც უწყებამ უპასუხა მედიასაშუალებების შეკითხვას რუსეთ-საქართველოს შორის ავიამიმოსვლის აღდგენის გეგმის შესახებ, ნათქვამია, რომ რუსეთი ერთგული რჩება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ნორმალიზების, უთანხმოების დაძლევის, ორმხრივი კავშირების აღდგენისა და განვითარებისა. ეს ყველაფერი ორივე ქვეყნის ხალხების ინტერესებშია და პროცესიც ორმხრივი უნდა იყოს.**

„რუსული ავიაკომპანიებისთვის რუსეთის მოქალაქეების საქართველოში გადაყვანაზე დაწესებული აკრძალვა დროებითია. არაერთხელ მივუთითეთ მისი გაუქმების პირობებზე. ისინი კარგადაა ცნობილი ქართული მხარისთვის. საუბარია საქართველოში ვითარების სტაბილიზაციაზე, რუსოფობიური კამპანიის შეჩერებასა და ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე. ასევე, არ შეიძლება უგულებელვყოთ სანიტარული და ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა. რუსეთი იძულებული შეიქნა, მიეღო ზემოაღნიშნული შეზღუდვები ქართველი რადიკალების ცნობილი პროვოკაციის საპასუხოდ. ამასთანავე, ჩვენ ერთგული ვრჩებით რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობების ნორმალიზების, არსებული უთანხმოების დაძლევის, ორმხრივი კავშირების აღდგენისა და განვითარებისა. ეს ყველაფერი ორი ქვეყნის ხალხების ინტერესებშია, მაგრამ პროცესი ორმხრივი უნდა იყოს. ვიმედოვნებთ, საქართველოს ხელისუფლება წარსულიდან დასკვნებს გამოიტანს და რუსეთის მიმართ უფრო დაბალანსებულ პოლიტიკას განახორციელებს“, — აღნიშნულია უწყების პასუხში.

mid.ru

სამხედრო ექსპერტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„რუსეთისა და უკრაინის დაპირისპირება ინსპირირერებულია გარედან, ისევე, როგორც 2008 წელს ჩვენსა და რუსებს შორის იყო. რეალურად, თუ ვინმეს არ უნდა დღეს ომი და მით უფრო არ უნდა უკრაინასთან, ეს რუსეთია. რუსებს გასაყოფი და სამტრო უკრაინელებთან არაფერი აქვთ“.**



# გურამ ნიკოლაიშვილი: სანამ ჩვენთან ძირფესვიანად არ შეიცვლება ვითარება, მნიშვნელოვან გარღვევას რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირების მიმართულებით არ უნდა ველოდოთ

**რუსეთსა და უკრაინას შორის მზარდი დაძაბულობა კვლავ ცენტრალური საკითხია მსოფლიოში. კრიზისი ღრმავდება და მხარეების შეხვედრებს ჯერჯერობით შედეგი ვერ მოაქვს. მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის პოზიციების შეჯერება ვერ ხერხდება, რაც ჟენევაში გამართულმა ბოლო შეხვედრამაც ცხადყო. ოფიციალური მოსკოვის პოზიცია უცვლელია — კრემლი ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების გამორიცხვას ითხოვს. აშშ-ის სახელმწიფო მდივან ენტონი ბლინკენთან შეხვედრაზე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთი ამ პოზიციას არ შეიცვლის და დაასაბუთა, რატომ არის მისთვის ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის დაბრუნება წინანდელ საზღვრებში.**

ის, რომ ალიანსი თავის დროზე საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგოდ შეიქმნა, ხოლო დღეს სამიზნეში რუსეთი ჰყავს ამოღებული, სიახლე არ არის. ამის თაობაზე **სერგეი ლავროვმა** ამერიკის სახელმწიფო მდივანთან შეხვედრის შემდეგაც ღიად ისაუბრა, მაგრამ მის არგუმენტს ვაშინგტონი ისევ „ტრადიციული“ ლოზუნგებით სცემს პასუხს: „ყველა დამოუკიდებელი სახელმწიფო თვითონ წყვეტს, შევა თუ არა ალიანსში“ (მსგავსი არჩევანის უფლება თურმე საქართველოს და უკრაინასაც ჰქონიათ).

საინტერესოა, რომ „არჩევანის უფლება“ საქართველოსაც და უკრაინასაც (განსაკუთრებით საქართველოს) წართმეული აქვს, როცა საქმე ეხება ე.წ. შიდა დემოკრატიას. მაგალითად, ეს უფლება წართმეულია, როცა საუბარია სამართლიანობის აღდგენაზე ან თუნდაც ამა თუ იმ ლიბერალური კანონის მიღება-არმიღებაზე, რომელიც ქართულ კულტურასა და წეს-ჩვეულებებთან აბსოლუტურად შეუსაბამოა. საუბარი აღარ არის იმაზე, რომ ქვეყანას „დემოკრატიული“ დასავლეთისგან წართმეული აქვს ფუნდამენტური უფლება, იმოქმედოს თავისი სტრატეგიული ინტერესების შესაბამისად. ამის ნათელი მაგალითი „3+3“ ფორმატის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ **დავით ზალკალიანის** თავდაპირველ მეტ-ნაკლებად ადეკვატურ პოზიციაზე ამერიკელების დაუფარავი აღშფოთება იყო. მოგეხსენებათ, ზალკალიანს მიუთითეს, რომ ფრაზაში „ოკუპანტთან ერთად რამე ფორმატში მონაწილეობა რთულია“, სიტყვა „რთულიას“ ნაცვლად უნდა ეთქვა სიტყვა „შეუძლებელია“. რაც შეეხება უკრაინას, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა **ჯო ბაიდენმა** ერთწლიანი საქმიანობის შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ უკრაინა ახლო მომავალში ალიანსის წევრი ვერ გახდება. სხვათა შორის, ბაიდენს არც იმის მორიდებია, რომ ერთმანეთისგან გაემიჯნა რუსეთის „მცირე შეჭრა“ უკრაინაში და ფართომასშტაბიანი სამხედრო მოქმედებები. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ „მცირე შეჭრის“ შემთხვევაში დასავლეთის პასუხი გაცილებით მსუბუქი იქნება, რაც უკრაინაში პროტესტით აღიქვეს. უკრაინის პრეზიდენტმა **ვლადიმერ ზელენსკიმ** საპასუხოდ განაცხადა, რომ არ არსებობს დიდი და მცირე შეჭრა ან დიდი და მცირე მსხვერპლი, თუმცა, მიუხედავად ამისა, დასავლეთის პოზიცია უცვლელია — უკრაინისადმი მაქსიმალური მხარდაჭერა რუსეთისთვის სანქციების დაწესება იქნება, ისიც იმ შემთხვევაში, თუ კრემლი „მცირე შეჭრის“ მასშტაბებს დაარღვევს...

**რას მისცემს ზესახელმწიფოსთან ომის ზღვარზე მყოფ უკრაინას რუსეთისთვის თუნდაც უმკაცრესი სანქციების დაწესება, რომლის ალბათობაც თითქმის არ არსებობს, და რას ნიშნავს ნატოს წევრობის მომლოდინე საქართველოსთვის ბაიდენის საჯარო უარი ალიანსში უკრაინის მიღებაზე — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება გენერალ-ლეიტენანტი გურამ ნიკოლაიშვილი.**

**— ბატონო გურამ, რუსეთსა და უკრაინას შორის დაძაბულობა მზარდია, ომის ალბათობა — დიდი. ამის ფონზე აშშ-ის პრეზიდენტი ამბობს, რომ ნატოში უკრაინის მიღების შანსი, პრაქტიკულად, არ არსებობს. ის, აგრეთვე, ხაზს უსვამს რუსეთის მხიდან უკრაინაში „მცირე შეჭრას“, რომლის შემთხვევაშიც, დასავლეთის რეაქცია გაცილებით მსუბუქი იქნება. რას ნიშნავს ეს გზავნილები უკრაინისა და საქართველოსთვის?**

— დავიწყოთ იმით, რომ **რუსეთსა და უკრაინას შორის დაპირისპირება და დაძაბულობა ინსპირირებულია გარედან, ისევე, როგორც 2008 წელს ჩვენსა და რუსებს შორის იყო. რეალურად, თუ ვინმეს არ უნდა დღეს ომი და მით უფრო არ უნდა უკრაინასთან, ეს რუსეთია. რუსებს გასაყოფი და სამტრო უკრაინელებთან არაფერი აქვთ.** რაც შეეხება ბაიდენის განცხადებას, რომ უკრაინა ვერ გახდება ალიანსის წევრი, მინდა, გაგახსენოთ, რომ ჯერ კიდევ 2008 წელს, როცა ბუქარესტის სამიტი მზადდებოდა და იდგა საკითხი, სამიტს უკრაინისა და საქართველოს ნატოში მიღების პერსპექტივა დეკლარაციაში აესახა, თვით ალიანსის წევრ სახელმწიფოებს შორის იყო სერიოზული წინააღმდეგობა. მაგალითად, ცნობილია, რომ გერმანია ამას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა. ასევე ეჭვს იწვევდა საფრანგეთის პოზიციაც.

**«თუ როგორ აისახება ჩვენზე რუსეთ-უკრაინის მოვლენები, გიპასუხებთ, რომ ჩვენ, რა თქმა უნდა, პირდაპირ გვეხება ეს პროცესები, მაგრამ ძალიან ბევრია დამოკიდებული საქართველოზეც. თუ ჩვენ განვაგრძობთ ჩვენთვისვე მავნე პოლიტიკას, რომ რუსეთი ოკუპანტია და თანაც თურმე იშლება, ამიტომ მასთან დიალოგი რა საჭიროა, მაშინ, რა თქმა უნდა, გავიჭყლიტებით. სხვათა შორის, უკრაინის მასშტაბებს თუ გავითვალისწინებთ, ის «მცირე შეჭრა», რომელზეც ბაიდენი მზადაა, თვალი დახუჭოს, საქართველოზე დიდ ტერიტორიას გულისხმობს. ანუ, იმის თქმა მინდა, რომ ჩვენზე ისე დადუმდებიან და ისე მიგვაყოლებენ ხურდაში, რომ ვერც კი გაიგებს დანარჩენი მსოფლიო»**

რატომ ვიხსენებ ამ ყველაფერს: მე საუბარი დავიწყე იმით, რომ უკრაინის მოვლენები თავიდან ბოლომდე გარედანაა ინსპირირებული. სწორედ ეს ბუქარესტის გადაწყვეტილება და მსგავსი ნაბიჯებია ინსპირაციის საშუალება. ამ გზით ახერხებენ ისინი, პირველ რიგში, ცხადია, შეერთებულ შტატებს ვგულისხმობ, რომ რუსეთის გარშემო მუდმივად იყოს ცხელი წერტილები. ამით რას იღებენ? იღებენ იმას, რომ ჯერ ერთი, რუსეთი მუდმივად საომარ ვითარებაშია და მეორე — როდესაც შენ გარშემო მუდმივად არის მტრული გარემო, ეს გართმევს ძალიან დიდ რესურსს, რომ შეინარჩუნო უსაფრთხო რეალობა...

**— მოდი, ასე შევხედოთ ამ ყველაფერს — დასავლელი ლიდერები, მათ შორის ამერიკის პრეზიდენტიც, საჯაროდ გვეუბნებიან, რომ ვერ გავხდებით ნატოს წევრები. რისთვის სჭირდება რუსეთს ამის დეკლარირება ალიანსის მხრიდან, რა პოლიტიკური დატვირთვის მქონე შეიძლება იყოს ეს?**

— სხვათა შორის, ბაიდენის განცხადებაში იყო ასეთი ფორმულირება: ალბათობა, რომ ახლო მომავალში უკრაინა ნატოს წევრი გახდება, მცირეა. მიაქციეთ ყურადღება, აქ საუბარია არა გამორიცხვაზე, არამედ ახლო პერსპექტივაზე. ეს არის რიტორიკა, რომელიც მათ გრძელვადიან პერსპექტივაში გარკვეული ლავირების საშუალებას უტოვებს. რუსეთისთვის, რა თქმა უნდა, ვერ იქნება მსგავსი განცხადებები სიმშვიდის საფუძველი, რუსეთს სჭირდება დეკლარირებული გარანტია, სხვანაირად თავს უსაფრთხოდ ვერ ჩათვლის და ეს აბსოლუტურად სწორი მიდგომაა. რატომ? იმიტომ, რომ ნატოს ბაზების ყოფნა უკრაინაში ან სამხრეთ კავკასიაში ნიშნავს რუსეთის, როგორც ზესახელმწიფოს, გაქრობის შეუქცევად პროცესს. საერთოდ, მე, ცოტა არ იყოს, **მიკვირს იმ ხალხის, რომელიც სერიოზულად სვამს შეკითხვას: კი მაგრამ, რუსეთს რატომ აღიზიანებს ასე ძალიან ნატოს თუნდაც სამხედრო გემების შემოსვლა შავ ზღვაში, მას ხომ ბირთული იარაღი აქვს? მეორე მხრიდან შევხედოთ — რუსეთის სამხედრო გემები რომ შევიდნენ და ბაზები განათავსონ კუბაზე ან ვენესუელაში, იქნება შეერთებული შტატები მშვიდად?** აი, ასე მივუდგეთ საკითხს და გასაგები იქნება, რომ აბსურდია, როცა ვიღაც ამბობს, საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა და თვითონ წყვეტს, თავის ტერიტორიაზე ვის შემოუშვებსო. დამოუკიდებელი ქვეყანაა კუბა, მაგრამ აბა, გადაწყვიტოს და განათავსოს თავის ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზები, ულტიმატუმებს და აგრესიას მერე ნახავთ ვაშინგტონიდან...

**— საქართველოზე როგორ აისახება უკრაინის მოვლენები და რას ნიშნავს ჩვენთვის ის, რომ უკრაინას უარს ეუბნებიან ნატოში მიღებაზე?**

— ყურადღებას გავამახვილებ იმ შეფასებებზე, რომლებიც ქართულ პოლიტიკურ სპექტრში კეთდება მიმდინარე მოვლენების ფონზე. **უცხოეთიდან დაფინანსებული ცხელი თავები ამბობენ, რომ თურმე რუსეთი ჩიხშია, კრიზისშია, დანგრევისა თუ დაშლის პირასაა და უკრაინის მოვლენები მას საბოლოოდ გადაიყოლებს. ამ მავნებლური პროპაგანდის ვაკუუმში მყოფ საზოგადოებას მინდა ვუთხრა, რომ ბოლო წლებში რუსეთმა შექმნა შეიარაღების ისეთი საშუალება, რომელიც ანულებს ყველა სხვა ქვეყნისა თუ სამხედრო ბლოკის არსენალს. საუბარია სტრატეგიული დანიშნულების ტრიადაზე, რომელიც მოიცავს, როგორც ხმელეთს, ისე ზღვასა და საჰაერო სივრცეს.**

— კონკრეტულად?

— **საუბარია რაკეტებზე, რომლებითაც „მიგ 31“-ებს აღჭურვავენ, ასევე წყალქვეშა ნავებსაც. რაც შეეხება კონკრეტულად „ცირკონს“, რომლის გამოცდამაც გასაოცარი შედეგები აჩვენა, ეს არის ჰიპერბგერითი რაკეტა, რომლის სისწრაფეც 9 მახს, ანუ ბგერის სიჩქარეს 9-ჯერ აჭარბებს. ხვდებით, რაზეა საუბარი? „ცირკონს“ ანალოგი არ მოეპოვება და მიდის საუბარი, რომ მოდერნიზების შემდეგ მისი სისწრაფე, შესაძლოა, საათში 27-28 ათას კილომეტრამდეც გაიზარდოს.** აი, ამ შეიარაღებას ფლობს რუსეთი და ჩვენ გვარწმუნებენ, რომ ქვეყანა, რომელსაც აქვს იმდენი ბირთვული ქობინი, რამდენიც დანარჩენ სხვა ქვეყნებს ერთად, თურმე ჩიხშია. არაფერს ვამბობ იმ რადიოლოკაციურ სისტემებზე, რომლებსაც კოსმოსში შეუძლია მოწინააღმდეგის თანამგზავრების განადგურება, რაც კავშირგაბმულობის პარალიზებას გამოიწვევს... შეკითხვას რაც შეეხება, როგორ აისახება ჩვენზე რუსეთ-უკრაინის მოვლენები, გიპასუხებთ, რომ ჩვენ, რა თქმა უნდა, პირდაპირ გვეხება ეს პროცესები, მაგრამ **ძალიან ბევრია დამოკიდებული საქართველოზეც. თუ ჩვენ განვაგრძობთ ჩვენთვისვე მავნე პოლიტიკას, რომ რუსეთი ოკუპანტია და თანაც თურმე იშლება, ამიტომ მასთან დიალოგი რა საჭიროა, მაშინ, რა თქმა უნდა, გავიჭყლიტებით.** სხვათა შორის, უკრაინის მასშტაბებს თუ გავითვალისწინებთ, ის „მცირე შეჭრა“, რომელზეც ბაიდენი მზადაა, თვალი დახუჭოს, საქართველოზე დიდ ტერიტორიას გულისხმობს. ანუ, იმის თქმა მინდა, რომ ჩვენზე ისე დადუმდებიან და ისე მიგვაყოლებენ ხურდაში, რომ ვერც კი გაიგებს დანარჩენი მსოფლიო...

**— აქვს კი დღევანდელ ხელისუფლებას რუსეთთან ურთიერთობის ოდნავ მაინც დარეგულირების რესურსი?**

— დღევანდელ ხელისუფლებაში, შესაძლოა, არიან ცალკეული ადამიანები, პრემიერის, საგარეო საქმეთა მინისტრის სახით, რომლებსაც აქვთ მეტ-ნაკლებად ადეკვატური მიდგომები, მაგრამ ერთია პიროვნულ დონეზე პოზიციის არსებობა და მეორე — დეკლარირებული პოლიტიკური დღის წესრიგი. ეს დღის წესრიგი, სამწუხაროდ, არ იძლევა საშუალებას, რომ საგარეო პრიორიტეტები განისაზღვროს ქვეყნის ეროვნული ინტერესებით; შესაბამისად, **სანამ ეს ვითარება ძირფესვიანად არ შეიცვლება, მნიშვნელოვან გარღვევებს რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირების მიმართულებით არ უნდა ველოდოთ.** აი, ეს არის ჩვენი სამწუხარო რეალობა, რომელსაც ქვეყნისთვის სასიკეთო ვერაფერი მოაქვს და ვერც მომავალში მოგვიტანს...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

პური ჩვენი არსობისა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სახელმწიფო, რომლის იმედად არიან წისქვილკომბინატების ხელმძღვანელები, რუსეთთან ხორბალსა და ფქვილზე საუბარს არ აპირებს და პრობლემის მოგვარებას პურის ფქვილზე ბაჟის დაწესებით შეეცდება, ანუ სახელმწიფო პურის ფქვილის შემოტანას გააძვირებს, რაც ხორბლის შემომტანებს თანაბარ პირობებში ჩააყენებს, მაგრამ ეს აუცილებლად გააძვირებს პურს, რომლის ფასიც, სულ ცოტა, 1,50 ლარი გახდება.**

# პური კიდევ გაძვირდება

## სახელმწიფო მზად არის, ისედაც გაძვალტყავებულ მოსახლეობას ქამარი კიდევ ერთხელ შემოუჭიროს და მთავარი საკვები პროდუქტი გაუძვიროს

**რუსეთიდან პურის ფქვილის იმპორტზე გადასახადი არ არის, ანუ რუსულ მხარეს ნულოვანი ბაჟი აქვს დაწესებული. სამაგიეროდ, პურის ფქვილის საწარმოებლად საჭირო ხორბლის ბაჟი მცურავია და დღეს 97,1 დოლარს შეადგენს. ეს ფასი ყოველთვიურად იცვლება და, ძირითადად, იზრდება, რადგან ხორბალზე მოთხოვნა მსოფლიო ბაზარზე დიდია და რუსეთი, როგორც მთავარი მიმწოდებელი, ფასებს თვითონ კარნახობს მსოფლიოს.**

არაერთხელ დაგვიწერია, რომ ადრე თუ გვიან ხელისუფლებას მოუწევდა კონკრეტულად ამ თემაზე რუსეთთან საუბარი, მაგრამ საქართველოს მთავრობა ნაბიჯის გადადგმისგან დღემდე თავს იკავებს. შედეგად მივიღეთ რამდენიმეჯერ გაძვირებული პური და ათზე მეტი გაჩერებული წისქვილკომბინატი. მათ, უბრალოდ, აღარ ეღირთ ხორბლის შემოტანა, რადგან კონკურენციას ვერ უწევს პურის ფქვილს. **ვიღაც იტყვის, ფქვილი შემოვიტანოთო, მაგრამ პურის ფქვილით გამორიცხულია იმ ორთვიანი მარაგის შექმნა, რომელიც ყველა სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს. გარდა იმისა, რომ ეს გაეროს სტანდარტია, სახელმწიფოს ორთვიანი მარაგი შესაძლებლობას აძლევს, ფორს-მაჟორულ სიტუაციაში მშვიდად იყოს. ფორს-მაჟორი კი შეიძლება, ნებისმიერ მომენტში შეიქმნას, თუნდაც პანდემიის გამო საზღვრების სრულად ჩაკეტვისას, ცუდი მოსავლისა და ფასების არარეალურად მატების შემთხვევაში...**

წისქვილკომბინატების ხელმძღვანელები გასულ კვირას სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებს შეხვდნენ. საუბარი, რა თქმა უნდა, შექმნილი პრობლემის მოგვარებას შეეხო. ლაპარაკი არ არის მხოლოდ ფქვილზე, წისქვილკომბინატების გაჩერებამ ქატოს წარმოება მოსპო და შედეგად ქატოც გაძვირდა. შესაბამისად, ავტომატურად გაძვირდა ღორის, საქონლისა და ქათმის ხორცი, გაძვირდა რძის პროდუქტებიც და მერძევეთა ასოციაციის წარმომადგენლები ამბობენ, რომ, თუ სახელმწიფო ერთ ლიტრ რძეზე 20 თეთრის სუბსიდიას არ განახორციელებს, ეს დარგიც მოკვდება. რადგან რძე ვახსენეთ, ისიც ვთქვათ, რომ გასულ წელს საქართველოში 200 მლნ ლარის რძის ფხვნილი შემოვიდა, ამან ადგილობრივი წარმოება, პრაქტიკულად, მოცელა. **ეს ის რძის ფხვნილია, რომელზეც ადრე ვწერდით და ვამბობდით, რომ მისგან დამზადებული პროდუქცია ჯანმრთელობისთვის საშიშია და, პრაქტიკულად, არც ერთ ქვეყანაში არ იყიდება საქართველოს გარდა.** იმხანად რძის ფხვნილის აკრძალვაზე იყო საუბარი და, როგორ აიკრძალა, კარგად ჩანს.

„აღქმა იმისა, რომ წისქვილების ოპერირების პრობლემა ქვეყანაში სერიოზულად დგას, არის. დიდი სურვილია, მდგომარეობა ისე წარიმართოს, რომ წისქვილების მუშაობა და ხორბლისა და ფქვილის იმპორტი დაბალანსდეს. პურის ფასი დამოკიდებულია საერთაშორისო ფაქტორებზე. აუცილებელია, რომ ინდუსტრიამ იმუშაოს, შენარჩუნდეს ხორბლისა და ფქვილის იმპორტი და პურზე ფასი. ეს სამი გამოწვევაა აქ. კომუნიკაციის შედეგად მივიღეთ ის აღქმები, რომ ამ საკითხზე მუშაობა გაგრძელდება და უახლოეს მომავალში შესაძლებელია გადაწყვეტილება იყოს მიღებული, რომ ეს სამი მიმართულება დაბალანსდეს. კიდევ იქნება შეხვედრა, სავარაუდოდ, მომდევნო კვირის ბოლოს, და გამოიკვეთება კონტურები, რა გადაწყვეტილებას მიიღებს სახელმწიფო", — განაცხადა ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა **ლევან სილაგავამ.**

ჩვენი ინფორმაციით, **სახელმწიფო, რომლის იმედად არიან წისქვილკომბინატების ხელმძღვანელები, რუსეთთან ხორბალსა და ფქვილზე საუბარს არ აპირებს და პრობლემის მოგვარებას პურის ფქვილზე ბაჟის დაწესებით შეეცდება, ანუ სახელმწიფო პურის ფქვილის შემოტანას გააძვირებს, რაც ხორბლის შემომტანებს თანაბარ პირობებში ჩააყენებს, მაგრამ ეს აუცილებლად გააძვირებს პურს, რომლის ფასიც, სულ ცოტა, 1,50 ლარი გახდება. ეს ნიშნავს, სახელმწიფო მზად არის, ისედაც გაძვალტყავებულ მოსახლეობას, ქამარი კიდევ ერთხელ შემოუჭიროს და მთავარი საკვები პროდუქტი გაუძვიროს.**

აღსანიშნავია, რომ სააკაშვილის ხელისუფლება ჯერ კიდევ 2004 წლიდან ცდილობდა, მოენახა ქვეყანა, რომელიც ხორბალს მოგვაწვდიდა, მაგრამ ვერ მოახერხა. ყველას გრძელვადიანი კონტრაქტები ჰქონდა სხვადასხვა სახელმწიფოსთან და საქართველოს გამო თავი არავინ შეიწუხა, მათ შორის არც საფრანგეთმა, რომელსაც საქართველოს ოფიციალური უმაღლესი პირები კონკრეტულად ამ საკითხის მოსაგვარებლად არაერთხელ ეწვივნენ. შემდეგ იყო სანქციები რუსეთისთვის და, იმის მიუხედავად, რომ იმხანად რუსეთის ფედერაციას არნახულად გაუჭირდა, ჩვენთვის ხორბლის მოწოდება არასდროს შეუფერხებია. ჰოდა, სწორედ ამ კრიზისისა და სანქციების დროს გადაწყვიტა რუსეთმა ხორბლის წარმოების გაზრდა და მიწების ათვისება. „ამას მეც ვერ წარმოვიდგენდი. საბჭოთა კავშირის პერიოდშიც კი ვერ ვაწარმოებდით იმდენ ხორბალს, რამდენიც ადგილობრივ მოსახლეობას სრულად დააკმაყოფილებდა. ახლა კი, არათუ ვაწარმოებთ საჭირო რაოდენობას, არამედ ბაზარზე მთავარი მოთამაშეები ვართ. მოსწონს ეს ვინმეს თუ არა, ნაკლებად გვაინტერესებს, ჩვენ ხორბლის წარმოებას კიდევ უფრო გავზრდით", — განაცხადა **ვლადიმერ პუტინმა** და დანარჩენი მსოფლიო მიახვედრა, რომ სანქციებით რუსეთის შეშინება აღარ გამოვა. **როგორ გგონიათ, რუსეთის გარშემო**



**ქართველმა ექსპერტებმა გაიანგარიშეს და თქვეს, რომ საქართველომ მიწების ათვისებისას აქცენტი მხოლოდ ხორბალზე რომ გააკეთოს, საჭირო რაოდენობის მხოლოდ 35-40%-ის მოყვანას შეძლებს, რაც ცოტა ნამდვილად არ არის (დღეის მდგომარეობით ეს მაჩვენებელი 2-3%-ია). ამისთვის სახელმწიფომ უნდა გამოყოს სახსრები (როგორც რუსეთში მოხდა), უნდა ჩამოაყალიბოს კოოპერატივები, შექმნას კოლმეურნეობები და ეს ყველაფერი სახელმწიფო ბალანსზე უნდა იყოს, მაგრამ ეს რომ გაკეთდეს, მაშინვე დაიწყება საუბარი საბჭოთა გადმონაშთზე და იმაზე, რომ თურმე კოლმეურნეობები მხოლოდ სოციალისტური წყობის ნიშანია და დემოკრატიასთან საერთო არაფერი აქვს**

**დღეს ატეხილი აჟიოტაჟის ფონზე, ევროპის წამყვანი ქვეყნები ხორბალსა და ნავთობპროდუქტებზე ესაუბრებიან თუ არა რუსეთს?! რა თქმა უნდა, ესაუბრებიან და, რაც მთავარია, ისინი გრძელვადიან ხელშეკრულებებს აფორმებენ, რათა რუსეთმა მათ ხორბალი შეუფერხებლად მიაწოდოს და მოსახლეობას პრობლემა არ შეექმნას. ამას აკეთებს ყველა, საქართველოს გარდა,** რადგან, საქართველო ხორბალზე სასაუბროდ ამერიკელებსა და ევროპელებს ხომ არ წაიყვანს და მარტო კი დასავლელი პარტნიორები არ გვიშვებენ. **ამიტომ მიიღო საქართველოს ხელისუფლებამ „მარტივი" გადაწყვეტილება და ადგილობრივ მოსახლეობას პური, უბრალოდ, გაუძვირდება, მერე რა, რომ პრობლემის მოგვარება რუსეთთან ერთი შეხვედრითაც შეიძლება, მაგრამ ეს დასავლეთს არ მოეწონება.**

ახლა არ თქვათ, ხალხი ამას ვერ აიტანსო. ავიტანეთ წყლის, დენისა და ბუნებრივი აირის გაძვირება, ავიტანეთ პურის რამდენიმეჯერ გაძვირება და, საზოგადად, საკვები პროდუქტების არნახული სიძვირე, ამიტომ ამასაც იოლად ავიტანთ და, თუ ფული არ გვექნება, ნაკლებს შევჭამთ, ნაკლებს მოვიხმართ, რისი ნიშნებიც უკვე არის. ქსელური მაღაზიების მეპატრონეები არ მალავენ, რომ მუშტარი მოაკლდათ და ამის გამო არაერთმა დიდმა მაღაზიამ მოლარეები დაითხოვა, იმიტომ, რომ, რასაც ადრე ოთხი მოლარე სჭირდებოდა, ახლა იმას ორიც მარტივად ახერხებს. მსოფლიოში, პრაქტიკულად, ყველა ექსპერტი ამბობს, რომ პანდემიის გამო შექმნილი მდგომარეობა მეწარმეებს აიძულებს, პროდუქცია გააძვირონ და ეს, უწინარესად, საკვებს ეხება, მათგან უმთავრესი კი ხორბალია. ამიტომაცაა, დიდმა ქვეყნებმა ხორბლის დათესვა რომ დაიწყეს ისეთ ადგილებში, სადაც აქამდე არ დაუთესავთ და არაერთი კულტურა ჩაანაცვლეს, მაგრამ იმისთვის, რომ რუსეთს გაეჯიბრონ, სულ ცოტა, ხუთი წელიწადი სჭირდებათ, თანაც რუსეთმა თვითონ აღარ უნდა გაზარდოს წარმოება. არადა, ჩვენი მეზობლები აცხადებენ, რომ მომავალშიც მთავარი აქცენტი ხორბალზე გაკეთდება და უახლოესი შვიდი წლის განმავლობაში მიწების ათვისების პრაქტიკა გაგრძელდება, შემდეგ კი გადაწყვეტენ, ეს საკმარისია თუ კიდევ უნდა გაგრძელდეს.

**ცნობისათვის: ქართველმა ექსპერტებმა გაიანგარიშეს და თქვეს, საქართველომ მიწების ათვისებისას აქცენტი მხოლოდ ხორბალზე რომ გააკეთოს, საჭირო რაოდენობის მხოლოდ 35-40%-ის მოყვანას შეძლებს, რაც ცოტა ნამდვილად არ არის (დღეის მდგომარეობით ეს მაჩვენებელი 2-3%-ია). ამისთვის სახელმწიფომ უნდა გამოყოს სახსრები (როგორც რუსეთში მოხდა), უნდა ჩამოაყალიბოს კოოპერატივები, შექმნას კოლმეურნეობები და ეს ყველაფერი სახელმწიფო ბალანსზე უნდა იყოს. მაგრამ ეს რომ გაკეთდეს, მაშინვე დაიწყება საუბარი საბჭოთა გადმონაშთზე და იმაზე, რომ თურმე კოლმეურნეობები მხოლოდ სოციალისტური წყობის ნიშანია და დემოკრატიასთან საერთო არაფერი აქვს. ჰო, ჩვენ სწორედ ამან მიგვიყვანა „მათხოვრობამდე", დემოკრატია კოლმეურნეობების დონემდე რომ დავიყვანეთ და კარგისა და ცუდის გარჩევას გადავეჩვიეთ.**

ხორბლის პრობლემის გადაჭრის გარდა, რუსეთმა დასაქმების პრობლემაც მოაგვარა ნაწილობრივ და აუთვისებელი მიწების ათვისებით სოფლებიც გააცოცხლა, ადამიანები მამა-პაპის კერას დაუბრუნდნენ.

**საქართველოს ხელისუფლება ამას ვერ და არ გააკეთებს. ვერ გააკეთებს იმიტომ, რომ საამისო სახსარი, უბრალოდ, არ არსებობს, და არ გააკეთებს იმიტომ, რომ ჩვენთან მხოლოდ განვითარების გეგმების წერას არიან მიჩვეულნი, განხორციელებაზე არავინ ფიქრობს. მაგალითი გნებავთ? ირაკლი ღარიბაშვილმა პირველი პრემიერობისას წარადგინა განვითარების ათწლიანი გეგმა, შემდეგ იგივე გააკეთა კვირიკაშვილმა, მერე — ბახტაძემ, შემდეგ — გიორგი გახარიამ და ახლა — კვლავ ღარიბაშვილმა. ამასობაში ზუსტად 10 წელი გავიდა და სად არის თქვენი პირველი 10-წლიანი გეგმა, ბატონებო?** როცა ღარიბაშვილი შეიცვლება, ახალი პრემიერი ისევ დაწერს ათწლიან გეგმას და იმას გავყვებით. ასეთი გეგმები ნაციონალებსაც ჰქონდათ და, ახლა რომ ჰკითხოთ, ალბათ, იტყვიან, ხელისუფლებაში 9 წელივიყავით და არ დაგვცალდაო.

ძალლი ყეფს... იმიტომ, რომ შია, პური კიდევ ძვირდება!

**ბესო ბარბაქაძე**

საქართველო ევროპაა! — ვაცხადებთ და ვართ ღამურას როლში. ვერაფრით ამიხსნია, ვის და რისთვის სჭირდება ეს ახირება. შედეგი — ევროპელები არ გვიღებენ და არც მიგვიღებენ, რადგან იციან, რომ ეს აბსურდია. აზიელები დაგვცინიან. არადა, საუკუნეებია, ევროპისა და აზიის საზღვარი ასეა განსაზღვრული: ურალის ქედი, მდინარე ურალი, კასპიის ზღვა, კავკასიონის მთავარი ქედი, შავი ზღვა, ბოსფორის სრუტე, ხმელთაშუა ზღვა, სუეცის არხი, წითელი ზღვა. ნუ ავურევთ გეოგრაფიასა და გეოპოლიტიკას. გეოგრაფია უცვლელია, გეოპოლიტიკა — ცვალებადი.

ფიქრი მომავალზე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ფიქრი ადამიანის მუდმივი თანამგზავრია. წესით, გაფიქრება-გააზრების გარეშე ადამიანმა ნაბიჯი არ უნდა გადადგას. ქართული სიბრძნე-ანდაზაც ამას გვასწავლის: ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერიო. ე.ი., სანამ ასჯერ არ გათვლი მოსალოდნელ შედეგს, ისე არაფერი არ მოიმოქმედოო. ჩვენი დღევანდელი ყოფა რომ გონებით გათვლილ-გააზრებული ქმედების შედეგი არ არის, ეს უდავო ფაქტია. ისიც ფაქტია, რომ, ბოლო 30 წელია, ყოველი მომდევნო დღე, თვე თუ წელი წინაზე უარესია და დაღმავალი სპირალით ვეშვებით ისეთ უფსკრულში, რომლის სიღრმე და ფსკერის რაობა არც ერთ ჩვენგანს გააზრებული არ გვაქვს.**

# გულახდილი საუბარი

## ფიქრები აწმყოზე, წარსულსა და მომავალზე



**დღეს საინფორმაციო საშუალებათა 99% მონოპოლიზებულია მორიგი მმართველი პარტიის, მისი ძირითადი ოპონენტი «ოპოზიციური» პარტიისა და მათი სატელიტების მიერ. დემაგოგიური განცხადებებით ისინი ქმნიან ქვეყანაში დემოკრატიულობის ილუზიას, ფაქტობრივად კი, ერთი პოლიტიკური ძალის მსახურნი არიან. მათი დეზინფორმაციული მოღვაწეობის შედეგია ის, რომ დღეს ერთი ოჯახის წევრებსაც კი (საზოგადოებას კი არა) არ გააჩნიათ საერთო აზრი ერთი შეხედვით ისეთ უმარტივეს კითხვებზეც კი, როგორიცაა: საიდან მოდის ჩვენს თავს დატეხილი უბედურება? ვინ არის მტერი, ვინ მოყვარე? და ა.შ.**

დღეს რეალობა ასეთია: აწმყო გვზარავს, წარსულით ამაყნი ვართ, მომავალი კი ისე გვაშინებს, რომ წინ გახედვაც არ გვინდა. ასე ხედავს რეალობას ერის ის უდიდესი ნაწილი, რომელმაც ქვეყანა დღემდე მოიყვანა და დღესაც მათ მხრებზე დგას. არის კუჭით მოაზროვნე მოხელეთა მცირე ნაწილიც, რომლებიც თავიანთი ყოფით კმაყოფილნი (და არა ბედნიერნი; ბედნიერება ადამიანური განცდაა) არიან. ისინი არ დამეთანხმებიან ჩემს შეფასებაში, მაგრამ, თუ საღად განსჯიან მდგომარეობას, მიხვდებიან, რომ მათი ყოფა-მირაჟი მალე გაქრება.

ყოველთვის, როდესაც აზრის გამოთქმის საშუალება მეძლევა, რაიმე შეხვედრა იქნება თუ საგაზეთო პუბლიკაცია ავტორის თუ რესპონდენტის რანგში, ხაზგასმით გამოვხატავ, რომ ქვეყანაში მიმდინარე უარყოფითი მოვლენების აღწერა და მუქ ფერებში ტირაჟირება ყვითელი პრესის ხელწერაა. იგი ხელს უშლის ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას და იწვევს საზოგადოების დაპირისპირება-გახლეჩვა-დანაწევრებას.

ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის ჩამოსაყალიბებლად ქვეყანაში მიმდინარე პროცესების მიზეზ-შედეგობრივი დაკავშირება-გაანალიზება აუცილებელი პირობაა. მინდა, მივმართო ყველა ავტორსა თუ რესპონდენტს: რაიმე უარყოფითი მოვლენის მიმართ თავიანთი თვალსაზრისის გამოხატვისას აუცილებლად გამოთქვან აზრი ამ მოვლენის გამომწვევ მიზეზებზე. ეს დიდად დაგვეხმარება როგორც საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში, ასევე ავტორისა თუ რესპონდენტის მსოფლმხედველობისა და, საზოგადოდ, ხედვის შეცნობაში.

**დღეს საინფორმაციო საშუალებათა 99% მონოპოლიზებულია მორიგი მმართველი პარტიის, მისი ძირითადი ოპონენტი „ოპოზიციური“ პარტიისა და მათი სატელიტების მიერ. დემაგოგიური განცხადებებით ისინი ქმნიან ქვეყანაში დემოკრატიულობის ილუზიას, ფაქტობრივად, კი ერთი პოლიტიკური ძალის მსახურნი არიან. მათი დეზინფორმაციული მოღვაწეობის შედეგია ის, რომ დღეს ერთი ოჯახის წევრებსაც კი (საზოგადოებას კი არა) არ გააჩნიათ საერთო აზრი ერთი შეხედვით ისეთ უმარტივეს კითხვებზეც კი, როგორიცაა: საიდან მოდის ჩვენს თავს დატეხილი უბედურება? ვინ არის მტერი და ვინ მოყვარე? და ა.შ.** ამ კითხვებზე პასუხის გაუცემლად შეუძლებელია გამოსავლის პოვნა.

ვითარებას ამძიმებს ისიც, რომ ქვეყანაში საკმაოდ არიან ადამიანები, რომლებიც აცხადებენ, რომ საქართველო ამაზე მძიმე მდგომარეობაშიც ყოფილა, მაგრამ მაინც გადავრჩენილვართ. ვერ დავეთანხმები. ადრე მტერი ღიად, ძალით მოდიოდა გაცხადებული მიზნით. ჩვენი წინაპრებიც ღიად, კაცურად ხვდებოდნენ, **ებრძოდნენ** და უმეტესად ამარცხებდნენ. ასე განვვლეთ საუკუნენი. **დღეს კი მტერმა მოყვრის ნიღაბი ჩამოიფარა და მორალურ-ზნეობრივ-სულიერი დამდაბლება-დაცემის გზით აპირებს ჩვენს დამორჩილებას. სავალალოდ, მათ მხარს უჭერენ და აქტიურად ეხმარებიან როგორც ქვეყანაში მოქმედი ე.წ. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები, ასევე სამთავრობო წრეების გავლენიანი წარმომადგენლებიც.**

დღეს ქვეყანაში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვაზე დემაგოგიის პარალელურად ყველაფერი კეთდება, რათა ადამიანი ისე დაეცეს, რომ პროტესტი ყველაფრის მიმართ გაუქრეს. საზოგადოებაში ნიჰილიზმმა დაისადგურა, ადამიანებმა დაკარგეს მომავლის იმედი და რწმენა. უმრავლესისთვის ყოველდღიური პურის საყიდელი ფულის შოვნაა სანატრელი და საოცნებო. უმცირესობას ჯერჯერობით ეს პრობლემა არ აქვს, მაგრამ უმრავლესობის რიგებში რომ არ გადაინაცვლოს, ისიც ფულზე ფიქრობს და ყველაფერს აკეთებს სტატუსის შესანარჩუნებლად. ფაქტობრივად, გვყავს საზოგადოება, რომლის თითქმის ყველა წევრი მარტო ფულზე ფიქრობს. იქ, სადაც უმრავლესობა ფულზე ფიქრობს, იგი ხდება უმთავრესი ღირებულება — კერპი; უფასურდება და იკარგება ყველა ზოგადსაკაცობრიო, ადამიანური ღირებულებები. შედეგად ქრება თვით საზოგადოებაც და მის ადგილს იკავებს საკუთარი მეს ხმას აყოლილ, გადაგვარებულ ინდივიდთა კრებული. ეს საკმაოდ რთული საკითხია და ვფიქრობ, აუცილებლად საჭიროებს ფსიქოლოგთა და სოციოლოგთა კომპენეტნურ კომენტარს. მე ასეთი დასკვნის გამოტანის საშუალებას მაძლევს ჩვენი ქვეყნის ბოლო 30 წლის განვითარების დინამიკა.

პრობლემების ჩამოთვლა უსასრულოდ შეიძლება, მაგრამ ეს პრობლემები ამით არ გადაიჭრება. მათ გადასაჭრელად უპირველესი ნაბიჯია მისი წარმომშობი მიზეზის პოვნა და მათზე საზოგადოების ერთმნიშვნელოვანი აზრის ჩამოყალიბება. ამ მიზნით მინდა, რამდენიმე საკითხი დავსვა, რომლებიც, ჩემი აზრით, დიდწილად განაპირობებს საზოგადოებრივი აზრის დაყოფას, და წარმოგიდგინოთ ჩემი ხედვა ამ საკითხებზე:

*** საქართველო ევროპაა! — ვაცხადებთ და ვართ ღამურას როლში. ვერაფრით ამიხსნია, ვის და რისთვის სჭირდება ეს ახირება. შედეგი — ევროპელები არ გვიღებენ და არც მიგვიღებენ, რადგან იციან, რომ ეს აბსურდია. აზიელები დაგვცინიან (როდის მერე გაგვიხდით ევროპელებიო). არადა, საუკუნეებია, ევროპისა და აზიის საზღვარი ასეა განსაზღვრული: ურალის ქედი, მდინარე ურალი, კასპიის ზღვა, კავკასიონის მთავარი ქედი, შავი ზღვა, ბოსფორის სრუტე, ხმელთაშუა ზღვა, სუეცის არხი, წითელი ზღვა. ნუ ავურევთ გეოგრაფიასა და გეოპოლიტიკას. გეოგრაფია უცვლელია, გეოპოლიტიკა — ცვალებადი.**

*** ნატო.** ეს უკვე კომიკური თემაა კარზე კაკუნითა და მიღება-არ მიღებით. ზოგისთვის სოლიდური ეკონომიური დივიდენდების მომცემია და ამიტომაც დაჟინებით გვმოძღვრავენ ნატოს ქოლგის ქვეშ არსებული სავანის მომხიბვლელობით. საქმის არსში გაურკვეველი უმრავლესობისთვის კი პრესტიჟის და თავმოყვარეობის შელახვის საკითხია — რას მიქვია, სტანდატს ვერ ვაკმაყოფილებთ და ამიტომ არ გვიღებენო. ისინიც აკრძალული ხილის პრინციპით, გაუაზრებლად მიილტვიან ნატოში. თუ დავფიქრდებით და გავაანალიზებთ, ჩვენი ყველაზე მწვავე და მტკივნეული პრობლემები სწორედ ნატოს კარზე კაკუნის შედეგად გაჩნდა. რა არის ნატო? — ეს კითხვა თავიდანვე რომ დაგვესვა, შეგვესწავლა და სათანადო დასკვნა გამოგვეტანა, ემოციებს აღარ ავყვებოდით და ბევრ პრობლემას ავიცილებდით. ნატო არის აგრესიული სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც ემსახურება იმპერიალისტთა ვიწრო წრის ინტერესებს და ამდენად, საქართველოს ამ გაერთიანებაში არაფერი ესაქმება.

*** რუსული აგრესია. დღეს ეს საკითხი მსოფლიო პოლიტიკურ ასპარეზზე ნომერ პირველი საკითხია. ათასობით კილომეტრიდან მოჰყავთ სამხედრო შენაერთები რუსეთის საზღვრებთან და ეს ვითომ არაფერი, ამასთანავე, რუსეთის მიერ საკუთარ ტერიტორიაზე ჯარების გადაადგილებას მუქარად და აგრესიად ასაღებენ. რუსეთმა ბევრჯერ იხსნა ევროპელი ერები (და არა მხოლოდ ევროპელი) განადგურება-გადაგვარებისგან. რუსეთი ერთადერთი სახელმწიფოა დედამიწაზე, რომელსაც კოლონია არ ჰქონია და თვითონაც არ ყოფილა არავის კოლონია. ვერც მის მიერ დაწყებულ აგრესიულ-დაპყრობით ომს დაასახელებს ვინმე. მოვლენების ანალიზისას ამ ფაქტების გათვალისწინება მეტად საგულისხმო და მნიშვნელოვანია.**

**რუსეთმა ბევრჯერ იხსნა ევროპელი ერები (და არა მხოლოდ ევროპელი) განადგურება-გადაგვარებისგან. რუსეთი ერთადერთი სახელმწიფოა დედამიწაზე, რომელსაც კოლონია არ ჰქონია და თვითონაც არ ყოფილა არავის კოლონია. ვერც მის მიერ დაწყებულ აგრესიულ-დაპყრობით ომს დაასახელებს ვინმე. მოვლენების ანალიზისას ამ ფაქტების გათვალისწინება მეტად საგულისხმო და მნიშვნელოვანია**

*** ევროპული ცხოვრების დონე და ე.წ. სოციალი.** ამ საკითხზე მსჯელობისას აუცილებლად გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ აფრიკის, აზიის, ავსტრალიისა და ამერიკის კონტინენტები საუკუნეების მანძილზე მათი კოლონიები იყო და ბევრი სხვადასხვა ფორმით დღესაც კოლონიად რჩება. ცხოვრების მაღალი დონე მეტწილად კოლონიების ძარცვისა და აბორიგენი მოსახლეობის ექსპლუატაციით არის მიღწეული.

*** დემოკრატია და ადამიანის უფლებები. ეს საკმაოდ ტრაგიკომიკური საკითხია იმის გათვალისწინებით, ვინ ასწავლის და ვის ასწავლის. მაინც თემის უკეთ გასაანალიზებლად აღვნიშნავ, რომ რუსეთის იმპერიაში მონის ცნება საერთოდ არ არსებობდა და მონა იქ არავის არასოდეს არ ჰყოლია. მეტიც: 1861 წელს რუსეთის იმპერატორმა ბატონყმობა გააუქმა და ამით მაქსიმალურად შეზღუდა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია. ამ მოვლენიდან ერთი საუკუნის შემდეგაც კი შეერთებულ შტატებში ზანგს ადამიანად არ თვლიდნენ და კანონით მას არანაირი უფლება არ გააჩნდა. ამაზეც ღირს დაფიქრება.**

*** რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა.** ეს მეტად მნიშვნელოვანი, სათუთი და ვრცელი თემაა. მოკლედ ვიტყვი, რომ ამ ურთიერთობას მსოფლიოში ანალოგი არ აქვს. ამ ურთიერთობაში ზღვა სიკეთეა დათესილი და მას გაფრთხილება სჭირდება. **საზოგადოებრივი აზრის გაჯანსაღებისა და კონსოლიდაციის მიზნით, ვფიქრობ, მნიშვნელოვანი იქნება ისეთ საკითხებზე მსჯელობა და პარალელის გავლება, როგორიცაა საბჭოთა კავშირი და ევროკავშირი, ფაშიზმი და კომუნიზმი; თერგდალეულები და ევროპა-ამერიკაში განსწავლულები და სხვ.**

დროა, ყველამ გავაცნობიეროთ, რომ ქვეყანაში პოლიტიკურ ასპარეზზე დომინანტი ლიბერალური პოლიტიკური ძალის საპირწონე, ეროვნულ-ტრადიციულ ღირებულებებზე დაფუძნებული მეორე ძალის გამოსვლის გარეშე პოლიტიკური დღის წესრიგის შეცვლა შეუძლებელია. ასეთი პოლიტიკური ძალის ჩამოყალიბება კი შეიძლება მხოლოდ საზოგადოებრივი აზრის ეროვნულ-ტრადიციული ღირებულებების ირგვლივ კონსოლიდაციის გზით.

**ტარიელ სუხიაშვილი**

გრიგოლ ოთიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



სტალინი, როგორც საბჭოთა ხელისუფლების მეთაური, მონაწილეობდა თეირანის, იალტისა და პოტსდამის კონფერენციების მუშაობაში. ის საკმაოდ მკაცრ პოზიციას იკავებდა მოკავშირეების მიმართ, როცა ამას საჭიროება მოითხოვდა, და მტკიცედ იცავდა საბჭოთა კავშირის ინტერესებს. ამასთანავე, თანამიმდევრულად და მტკიცედ მოითხოვდა, ფაშისტური ბლოკის წინააღმდეგ ბრძოლისთვის მოკავშირეთა ძალების ეფექტიანად გამოყენებას.

გაგრძელება.
დასაწყისი იხ. №40-44, 2021 წ. — №1, 2022 წ.

## სტალინი – მშვიდობის მედროშე მსოფლიოში

„პოლიტიკა კომპრომისების გარეშე არ არსებობს".
*სტალინი*

# სტალინი მეორე მსოფლიო ომში

**1935 წლის 25 ივლისს მოსკოვში ჩატარდა კომუნისტური ინტერნაციონალის VII კონგრესი. დამსწრე საზოგადოებამ მოისმინა ბულგარეთისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური წევრის, გიორგი დიმიტროვის, მოხსენება „ფაშიზმის შემოტევა და კომუნისტური ინტერნაციონალის ამოცანები მუშათა კლასის ერთიანობისთვის ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში".**

კონგრესმა დამსწრეებს გერმანულ ფაშიზმთან ბრძოლისაკენ მოუწოდა, რომელიც მოქმედებს, „როგორც საერთაშორისო კონტრრევოლუციის დამრტყმელი ძალა". კონგრესმა ჩამოაყალიბა ფართო სახალხო ფრონტის შექმნის ამოცანები. აქვე აღინიშნა, რომ სახალხო ფრონტის მთავრობა არის არა პროლეტარიატის დიქტატურის, არამედ ფაშიზმის წინააღმდეგ მიმართული მთავრობა. ასევე ითქვა, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში კომუნისტებმა უნდა იბრძოლონ დემოკრატიული თავისუფლებების შესანარჩუნებლად და ხაზგასმით აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ კონტრრევოლუციური ომის შემთხვევაში, კომუნისტებმა უნდა მოუწოდონ ყველა მშრომელ ხალხს, „ნებისმიერი საშუალებით დაეხმარონ წითელ არმიას იმპერიალისტთან ბრძოლაში გასამარჯვებლად". კომინტერნის VII კონგრესის გადაწყვეტილებით, კომუნისტებმა უნდა გააჩაღონ ბრძოლა რეაქციისა და ომის წინააღმდეგ, ბრძოლა მშვიდობისთვის. მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ საჭირო შეიქნა კომუნისტურ პარტიებს უფრო ფართო დამოუკიდებლობა ჰქონოდათ, მით უმეტეს, რომ ზოგიერთ ქვეყანაში კომუნისტური პარტიები აქტიურად მონაწილეობდნენ თავიანთი სახელმწიფოების პოლიტიკურ ცხოვრებაში...

1941 წლის 22 ივნისს, დილაადრიან, სტალინმა კრემლში გამოიძახა კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის გენერალური მდივანი **გიორგი დიმიტროვი** და აცნობა, რომ ნაცისტური გერმანია თავს დაესხა სსრ კავშირს. დიმიტროვმა თავის დღიურში ჩაწერა მითითებები, რომლებიც სტალინმა მისცა:

**„კომინტერნმა ჯერ ღიად არ უნდა იმოქმედოს. პარტიები ადგილზე აწარმოებენ სსრ კავშირის დასაცავ ქმედებებს. სოციალისტური რევოლუციის საკითხი დღის წესრიგში არ დგას. საბჭოთა ხალხი აწარმოებს სამამულო ომს ნაცისტური გერმანიის წინააღმდეგ. საქმე ეხება ფაშიზმის დამარცხებას, რომელმაც დაიმონა მრავალი ხალხი და ცდილობს სხვა ხალხების დამონებას".**

გიორგი დიმიტროვმა იმ დღესვე გამართა კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის სამდივნოს სხდომა და დამსწრეებს გააცნო სტალინისგან მიღებული მითითებები. შემდგომში სტალინმა გამართა შეხვედრების სერია დიმიტროვის, მოლოტოვის და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის სხვა გამოჩენილი მოღვაწეებთან. ამ შეხვედრებზე განიხილებოდა კომინტერნის ცენტრის დაშლის საკითხი. ამ გადაწყვეტილების მიზეზი იყო სტალინის სურვილი, დაერეგულირებინა ურთიერთობები აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის ლიდერებთან ანტიჰიტლერული კოალიციის ფარგლებში და მოეხსნა მათთვის და სხვა ქვეყნებისათვის „კომუნისტური ინტერნაციონალიზმისგან" მომდინარე საშიშროება. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე წითელი არმიის წარმატებების მატებასთან ერთად მატულობდა ხალხთა ბრძოლა ნაცისტების მიერ ოკუპირებულ ევროპის ქვეყნებში. წინააღმდეგობის ამ ძალებს აძლიერებდნენ კომუნისტური პარტიები. 1943 წლის მაისში შექმნილი საერთაშორისო ვითარებიდან გამომდინარე, პატრიოტებისა და ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა გაერთიანების მიზნით, კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება კომინტერნის დაშლის შესახებ. ეს იყო ისტორიული გადაწყვეტილება, რომელმაც საბოლოოდ გამოავლინა კაპიტალისტთა ცილისწამება, რომ კომუნისტური პარტიები თავიანთი ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე კი არ მოქმედებდნენ, არამედ იმართებოდნენ სტალინის ბრძანებებით. ამ საკითხზე ბრიტანელი კორესპონდენტის კითხვაზე სტალინმა უპასუხა:

**„კომუნისტური ინტერნაციონალის დაშლა მართებული და დროული გადაწყვეტეილებაა, რადგან ეს ამარტივებს ყველა თავისუფლებისმოყვარე ერის ერთობლივი შეტევის ორგანიზებას საერთო მტრის — ჰიტლერიზმის — წინააღმდეგ".**

კომუნისტური ინტერნაციონალის დაშლა სწორი გადაწყვეტილებაა, რადგან:

**ა)** ის ამხელს ნაცისტების ტყუილს, თითქოს მოსკოვი სხვა სახელმწიფოების ცხოვრებაში ჩარევას და მათ „ბოლშევიზაციას" აპირებს. ამ ტყუილს ახლა ბოლო მოეღო;

**ბ)** ის ამხელს მუშათა მოძრაობაში კომუნიზმის ოპონენტების ცილისწამებას, რომ სხვადასხვა ქვეყნის კომუნისტური პარტიები თითქოს იმართებიან არა თავიანთი ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ გარედან. ამ ცილისწამებასაც ბოლო მოეღო;

**გ)** ხელს უწყობს თავისუფლებისმოყვარე ქვეყნების პატრიოტთა მუშაობას, გააერთიანონ თავიანთი ქვეყნის პროგრესული ძალები, მიუხედავად მათი პარტიული კუთვნილებისა და რელიგიური მრწამსისა, ერთიან ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბანაკში, რათა განავითარონ ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ;

**დ)** ხელს უწყობს ყველა ქვეყნის პატრიოტთა ქმედებას, გააერთიანონ ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხი ერთიან საერთაშორისო ბანაკში ჰიტლერიზმის მსოფლიო ბატონობის საფრთხის წინააღმდეგ საბრძოლველად, რითაც გზა გაეხსნება ხალხთა თანამეგობრობის მომავალ ორგანიზაციას თანასწორუფლებიანობის პრინციპით" *(გაზეთი „პრავდა", 1943, 30 მაისი).*

**სტალინმა გამოთქვა რწმენა, რომ ყველა ეს გარემოება, ერთად აღებული, გამოიწვევდა მოკავშირეთა და სხვა გაერთიანებული ერების ერთიანი ფრონტის შემდგომ გაძლიერებას ჰიტლერის ტირანიაზე გამარჯვებისთვის ბრძოლაში. კომინტერნის დაშლა მოხდა იმ დროს (რაც ძალზე საყურადღებოა), როდესაც ნაცისტები იკრეფდნენ უკანასკნელ ძალებს და მხოლოდ საერთო შეტევით შეიძლებოდა ფაშიზმის დასრულება და ხალხთა გათავისუფლება მათი ჩაგვრისგან.** კომინტერნის ოფიციალურად დაშლის შემდეგ სტალინი განაგრძობდა შეხვედრებს სხვადასხვა ქვეყნის კომუნისტური პარტიების წარმომადგენლებთან. იგი შეხვდა იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივან **პალმირო ტოლიატს**, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივან **მორის ტორეზს** და სხვა კომუნისტური პარტიების ლიდერებს. შეხვედრებზე იგი უზიარებდა და აძლევდა რჩევებს. მაგალითად, იტალიელ კომუნისტებს სტალინმა შესთავაზა, შეერთებოდნენ მარშალ **პიეტრო ბადოლიოს** მონარქისტულ მთავრობას და არ მოეთხოვათ მეფის დაუყოვნებლივი გადაყენება; ფრანგ კომუნისტებს ურჩია, დაეშალათ შეიარაღებული რაზმები, ებრძოლათ ერთიანი მემარცხენე ბლოკის შესაქმნელად და ეთანამშრომლათ **შარლ დე გოლის** მთავრობასთან; პოლონელ კომუნისტებს ურჩევდა, ყოველი ნაბიჯი განესაზღვრათ, რათა მათი ქმედებები არ ყოფილიყო აღქმული, როგორც კურსი პოლონეთის გასაბჭოებისა; ჩინელ კომუნისტებს მოუწოდებდა ერთიან ეროვნულ ფრონტში გაერთიანებისკენ, რომელსაც აწარმოებდა **მაო ძედუნი**; იუგოსლავიელ კომუნისტებს კი არ ურჩევდა კომუნისტების კონტროლს დაქვემდებარებული ხელისუფლების შექმნას. **ომის ბოლო დღეებამდე ვითარება სტალინისთვის რთული და საფრთხილო იყო, რადგან არ გამორიცხავდა საბჭოთა კავშირის მოკავშირეების პოზიციის მკვეთრი ცვლილების შესაძლებლობას და მოვლენების ასეთი განვითარების შესაძლებლობაზე არაერთი ფაქტი მიუთითებდა. ლაპარაკია მოკავშირეების მხრიდან გერმანელებთან ფარულ მოლაპარაკებებზე სტალინის ზურგს უკან. ჯერ კიდევ 1941 წლის შემოდგომაზე, ისევე როგორც 1942 და 1943 წლებში, ლისაბონსა და შვეიცარიაში გაიმართა მოლაპარაკებები ინგლისისა და გერმანიის წარმომადგენლებს შორის; შემდეგ — აშშ-ისა და გერმანიის წარმომადგენლებს შორის, ამ შეხვედრებზე განიხილეს სამშვიდობო მოლაპარაკებების საკითხები.** საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის განსაზღვრის თუ სამხედრო გადაწყვეტილებების მიღებისას სტალინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა დაზვერვას და თვითონ ადგენდა ამ სამსახურის პრიორიტეტებს. მაგალითად, 1941 წლის ბოლოს აშშ-ში გამგზავრებამდე სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის რეზიდენტ **ვასილ ზარუბინს** სტალინმა პირადად დაუსახა ამერიკაში დაზვერვის პრიორიტეტები და ამოცანები: **„თვალი ადევნეთ, რომ ჩერჩილმა და ამერიკელებმა არ დადონ სეპარატული სამშვიდობო ხელშეკრულება ჰიტლერთან და ყველანი ერთად არ წამოვიდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ; მოიძიეთ მოკავშირეთა ხელთ არსებული ინფორმაცია ჰიტლერის საომარ გეგმებზე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და დაადგინეთ მოკავშირეთა ფარული მიზნები და გეგმები მიმდინარე ომში; ეცადეთ, გაარკვიოთ, რეალურად როდის აპირებენ დასავლელი მოკავშირეები მეორე ფრონტის გახსნას ევროპაში; მოიპოვეთ ინფორმაცია აშშ-ში, ინგლისსა და კანადაში შექმნილი უახლესი საიდუმლო ტექნოლოგიების შესახებ".** თვითონ სტალინი კი მთელი ომის განმავლობაში ერთგული რჩებოდა მოკავშირეთა მიმართ და ყველა ღონეს ხმარობდა ანტიჰიტლერული კოალიციის გასაძლიერებლად. მის პოლიტიკას ახასიათებდა ნაკისრი ვალდებულებების პატიოსნად შესრულება. ომის ბოლო პერიოდშიც კი აშშ-ისა და ბრიტანეთის გავლენიანი ძალების მცდელობები, სტალინის ზურგს უკან გერმანიასთან სეპარატული შეთანხმების დადების შესახებ არათუ ჩაცხრა, არამედ კიდევ უფრო საშიში შეიქნა, მაგრამ ასეთ ვითარებაშიც კი სტალინი ყველაფერს აკეთებდა ანტიჰიტლერული კოალიციის გასაძლიერებლად და ერთგული რჩებოდა მოკავშირეთა ვალდებულებების მიმართ. **1943 წელს დაიწყო ფაშისტური ბლოკის დაშლა. იტალიამ პირველმა დატოვა ბლოკი და სსრ კავშირის ორმა მოკავშირემ — დიდმა ბრიტანეთმა და შეერთებულმა შტატებმა — სტალინის გვერდის ავლით, დაიწყეს ფაშიზმის კაპიტულაციის საკითხების განხილვა. სტალინმა 1943 წლის 22 აგვისტოს მკაცრი წერილი მისწერა რუზველტსა და ჩერჩილს:** „აქამდე ვითარება იყო შემდეგი — შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი აწარმოებდნენ შეთქმულებას, ხოლო საბჭოთა კავშირი, როგორც პასიური დამკვირვებელი, იღებდა ცნობებს ამ ორი დიდი სახელმწიფოს შეთქმულებების შესახებ. ვალდებული ვარ, გაცნობოთ — მსგავსი რამის მოთმენა მომავალში გამორიცხულია". ამგვარად, სტალინის დიპლომატიამ გადამწყვეტი ნაბიჯები გადადგა, რათა ბოლო მოეღო მოკავშირეების საიდუმლო მოლაპარაკებებისთვის. 1944 წელს სტალინმა ომიდან გაიყვანა ფინეთი და სამშვიდობო შეთანხმებით მოსთხოვა გერმანიასთან ურთიერთობის გაწყვეტა, ომამდელი საზღვრების აღდგენა, საბჭოთა სამხედრო ტყვეების გათავისუფლება, ფინეთის ჯარის შემცირება, რეპარაციების გადახდა და პეტსამოს (პეჩენგა) რეგიონის გადაცემა. საბჭოთა კავშირმა, აგრეთვე, მიიღო უფლება, ჰელსინკის მახლობლად იჯარით აეღო პორკალა-უდის ტერიტორია სამხედრო ბაზის დაარსებლად; და ბოლოს, ალ-



**ბრიტანეთის დელეგაციის წევრების მოგონებების თანახმად, თეირანის კონფერენციაზე მარშლის ფორმაში სტალინის დანახვისას, ჩერჩილმა მაშინვე ჩაიცვა ბრიტანეთის სამეფოს საჰაერო ძალების უფროსი ოფიცრის ფორმა, თუმცა მანამდე, როგორც წესი, ლურჯი, ზოლიანი კოსტიუმი ეცვა**

▶

„ჩვენ მაშინვე მივხვდით, რომ საქმე გვქონდა საკმაოდ ჭკვიან ადამიანთან, რომელსაც შეეძლო კარგად ლაპარაკი და ზუსტად ჰქონდა განსაზღვრული ის, რისი მიღებაც სურდა რუსეთისთვის. საერთო პრობლემებისადმი მარშლის მიდგომა იყო ზუსტი, კეთილგანწყობილი და ითვალისწინებდა ორი კოლეგის თვალსაზრისს მანამ, სანამ რომელიმე მათგანი არ წამოაყენებდა წინადადებას, რომელიც, სტალინის აზრით, ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა კავშირის ინტერესებს. მაშინ ის ხდებოდა უცერემონიოდ პირდაპირი და თითქმის უხეში“.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## 1943 წლის 22 აგვისტოს მკაცრი წერილი მისწერა რუზველტსა და ჩერჩილს: «აქამდე ვითარება იყო შემდეგი — შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი აწარმოებდნენ შეთქმულებას, ხოლო საბჭოთა კავშირი, როგორც პასიური დამკვირვებელი, იღებდა ცნობებს ამ ორი დიდი სახელმწიფოს შეთქმულებების შესახებ. ვალდებული ვარ, გაცნობოთ — მსგავსი რამის მოთმენა მომავალში გამორიცხულია». ამგვარად, სტალინის დიპლომატიამ გადამწყვეტი ნაბიჯები გადადგა, რათა ბოლო მოეღო მოკავშირეების საიდუმლო მოლაპარაკებებისთვის

◀ დგა საბჭოთა კავშირ-ფინეთის 1940 წელს დადებული ხელშეკრულება. **1943 წელს მოსკოვში გამართულ კონფერენციაზე სსრკ-ის, აშშ-ისა და ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ერთხმად განაცხადეს, რომ გერმანიის სატელიტ სახელმწიფოებთან ზავის საკითხის განხილვისას „საბჭოთა მთავრობას ექნება გადამწყვეტი ხმის უფლება!“** 1944 წლის 13 მაისს გამოქვეყნდა სსრკ-ის, ინგლისისა და აშშ-ის მთავრობების ერთობლივი მოწოდება უნგრეთის, რუმინეთისა და ბულგარეთის მიმართ, რომ შეწყვიტონ თანამშრომლობა გერმანიასთან და წვლილი შეიტანონ მოკავშირეთა გამარჯვებაში, რითაც შეამცირებდნენ მსხვერპლს თავიანთ მოსახლეობაში. საბოლოოდ, **1944 წლის 12 სექტემბერს რუმინეთთან, 1944 წლის 28 ოქტომბერს ბულგარეთთან, ხოლო 1945 წლის 20 იანვარს უნგრეთთან გაფორმებული ზავის პირობების თანახმად, საბჭოთა ჯარები განლაგდნენ ამ ქვეყნების ტერიტორიებზე. ეს იყო სტალინური დიპლომატიის უმაღლესი მწვერვალი, რომელიც ერთ-ერთ საპატიო ადგილს იკავებს მეორე მსოფლიო ომის ისტორიაში.** სტალინი, როგორც საბჭოთა ხელისუფლების მეთაური, მონაწილეობდა თეირანის, იალტისა და პოტსდამის კონფერენციების მუშაობაში. ის საკმაოდ მკაცრ პოზიციას იკავებდა მოკავშირეების მიმართ, როცა ამას საჭიროება მოითხოვდა, და მტკიცედ იცავდა საბჭოთა კავშირის ინტერესებს. ამასთანავე, თანმიმდევრულად და მტკიცედ მოითხოვდა, ფაშისტური ბლოკის წინააღმდეგ ბრძოლისთვის მოკავშირეთა ძალების ეფექტიანად გამოყენებას. თეირანის კონფერენციაზე იყო აშშ-ის პრეზიდენტის სიცოცხლის ხელყოფის საფრთხე, ამიტომ **სტალინმა ფრანკლინ რუზველტს საბჭოთა საელჩოს ტერიტორიაზე ჩასახლება შესთავაზა. რუზველტის თანხმობა ჩერჩილისთვის კარგი არ იყო — ეშინოდა, რუზველტი სტალინის მომაჯადოებელი პიროვნული თვისებების გავლენის ქვეშ მოექცეოდა და რომ სტალინისა და რუზველტის საუბრები მისი მონაწილეობის გარეშე შეიძლება საზიანო ყოფილიყო ბრიტანეთის იმპერიისთვის.** სტალინსა და რუზველტს შორის მართლაც ჩამოყალიბდა კარგი ურთიერთობა და მათი პირველი შეხვედრა მეგობრულ ხასიათს ატარებდა. სტალინმა პრეზიდენტს მისთვის საყვარელი პაპიროსი „ჰერცეგოვინა-ფლორი“ შესთავაზა. რუზველტმა თავაზიანად განუცხადა: „საკუთარს ვარ შეჩვეული. მარშალო სტალინ, სად არის თქვენი ცნობილი ჩიბუხი? ის მილი, რომლითაც, როგორც ამბობენ, ისრუტავთ მტრებს?“

სტალინმა უპასუხა:

— მგონი, უკვე თითქმის ყველა შევისრუტე. სერიოზულად რომ ვთქვათ, ექიმები მირჩევენ, ჩიბუხით ნაკლებად მოვწიო. მიუხედავად ამისა, თეირანში წამოვიღე და, თქვენ რომ გასიამოვნოთ, შემდეგ ჯერზე მოვწევ.

რუზველტმა სერიოზულად უპასუხა:

— ექიმებს უნდა მოუსმინოთ. ამის გაკეთება მეც მიწევს...“

რაც შეეხება უშუალოდ კონფერენციის მსვლელობას, სტალინის წინადადებით, პირველ შეხვედრას თავმჯდომარეობდა პრეზიდენტი რუზველტი. თითოეული ქვეყნის ლიდერი მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა. სტალინმა თავის სიტყვაში თქვა:

**„მივესალმები კონფერენციას, რომელზეც სამი სახელმწიფოს წარმომადგენელი ვიმყოფებით და მსურს, რამდენიმე შენიშვნა გავაკეთო. ვფიქრობ, ისტორია გვანებივრებს, რადგან ხელთ მოგვცა საკმაოდ დიდი ძალა და შესაძლებლობები. ვიმედოვნებ, ამ შეხვედრებზე, სათანადო თანამშრომლობის პირობებში, ყველაფერს გავაკეთებთ, რათა გამოვიყენოთ ძალა და უფლებამოსილება, რომლებიც ჩვენმა ხალხებმა მოგვანიჭეს. ახლა კი საქმეს შევუდგეთ“.**

კონფერენციის მუშაობის პირველი და მთავარი საკითხი იყო მოკავშირეთა მიერ მეორე ფრონტის გახსნა. სტალინი, მოკავშირეთა წახალისების მიზნით, დამაჯერებლად მოქმედებდა, რათა მათ დასავლეთ ევროპაში მეორე ფრონტი გაეხსნათ არაუგვიანეს 1944 წლის მაისისა. აი, როგორ იხსენებს კონფერენციის მსვლელობას **ანდრია გრომიკო:** „...სტალინი რამდენიმეჯერ შეეცადა, პასუხი მიეღო ჩერჩილისგან, როდის დაიწყებოდა მოკავშირეთა დესანტის გადასხმა ევროპაში, ანუ როდის გაიხსნებოდა მეორე ფრონტი, მაგრამ მან ეს პასუხი ვერ მიიღო. ბოლოს სტალინმა თავი ძლივს შეიკავა და სკამიდან წამოდგა, ვოროშილოვსა და მოლოტოვს მიუახლოვდა და უთხრა:

— სახლში საკმოდ ბევრი საქმე გვაქვს, აქ დრო ტყუილუბრალოდ რომ არ ვხარჯოთ. როგორც ვხედავ, აქ სასიკეთო არაფერი ხდება...

ჩერჩილმა იმის შიშით, რომ კონფერენცია შეიძლება ჩაშლილიყო, დაბნეულად განაცხადა:

— მარშალმა არასწორად გამიგო. ასეთ თარიღად შეიძლება დასახელდეს 1944 წლის მაისი...

ატმოსფერო განიმუხტა.

კონფერენციის მონაწილეებმა მუშაობა განაგრძეს“.

**ბრიტანეთის დელეგაციის წევრების მოგონებების თანახმად, თეირანის კონფერენციაზე მარშლის ფორმაში სტალინის დანახვისას, ჩერჩილმა მაშინვე ჩაიცვა ბრიტანეთის სამეფოს საჰაერო ძალების უფროსი ოფიცრის ფორმა, თუმცა მანამდე, როგორც წესი, ლურჯი, ზოლიანი კოსტიუმი ეცვა.** სამი ხელისუფლების ლიდერის შეხვედრისას ჩერჩილს სამოცდაცხრა წელი შეუსრულდა. დაბადების დღის აღსანიშნავ ბანკეტზე საიმპერატორო გენერალური შტაბის უფროსმა **ალან ბრუკმა** თქვა, რომ ინგლისი გადამწყვეტ როლს თამაშობს ფაშისტური არმიის დამარცხებაში, რადგან უინსტონ ჩერჩილი, პრაქტიკულად, პირველი იყო, ვინც საომარი მოქმედებები დაიწყო ნაცისტური გერმანიის წინააღმდეგ. ბრუკის სიტყვებმა ერთგვარი დაბნეულობა შეიტანა დამსწრეთა შორის. სიტყვა ითხოვა სტალინმა: **„ვფიქრობ, თქვენ, ბრიტანეთს, და ჩვენ, საბჭოთა კავშირს, ამერიკის შეერთებული შტატები დიდ დახმარებას უწევს თავისი სამხედრო აღჭურვილობით, მანქანებითა და საკვებით, ამიტომ, ჩერჩილის პატივისცემასთან ერთად, მე ასევე პრეზიდენტ რუზველტის სადღეგრძელოსაც ვსვამ. პატივი და დიდება მას!“**

**ჰარიმანმა,** ამერიკის ელჩმა, სტალინის სადღეგრძელოს ჩანაწერი მყისვე გაგზავნა ამერიკაში და ამერიკულმა გაზეთებმა სტალინის სიტყვები ასეთი სათაურით გამოაქვეყნეს: „სტალინი აღიარებს, რომ ფაშისტური გერმანიის დამარცხების არქიტექტორი შეერთებული შტატებია“. როდესაც მოსკოვში დაბრუნებულ სტალინს ამერიკული გაზეთები გააცნეს, თვითმხილველების თქმით, მან თქვა: „როგორ დავუშვი ასეთი შეცდომა?!“ ჩერჩილმა კი თავის სადღეგრძელოში განაცხადა:

— მარშალი სტალინი რუსეთის ისტორიის უდიდეს ფიგურებს შორის მოიხსენიება და უდავოდ იმსახურებს დიდის წოდებას.

სტალინმა გააპროტესტა ჩერჩილის სიტყვები:

— არ არის საჭირო. ჩვენ ერთი „ველიკიც“ (იგულისხმა პეტრე I — გრ. ონიანი) გვეყოფა. წითელი არმია გმირულად იბრძვის და რუსი ხალხი არ დაუშვებს საკუთარი შეიარაღებული ძალების სხვაგვარ ქმედებებს. ის ადამიანებიც კი, რომლებიც არ გამოირჩევიან სიმამაცით და შეიძლება მხდლებიც კი არიან, გმირები ხდებიან რუსეთისთვის.

აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველმა, ადმირალმა **უილიამ ლეგიმ**, თეირანის კონფერენციაზე მოგონებებში დაწერა: „სხდომის დასრულების შემდეგ ერთმანეთში დავიწყეთ სტალინზე საუბარი. შეხვედრამდე სტალინს მივიჩნევდით ბანდიტ მეთაურად, რომელმაც ხელში ჩაიგდო ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობა. ჩვენი შთაბეჭდილებები მცდარი აღმოჩნდა. მაშინვე მივხვდით, რომ საქმე გვქონდა საკმაოდ ჭკვიან ადამიანთან, რომელსაც შეეძლო კარგად ლაპარაკი და ზუსტად ჰქონდა განსაზღვრული ის, რისი მიღებაც სურდა რუსეთისთვის. საერთო პრობლემებისადმი მარშლის მიდგომა იყო ზუსტი, კეთილგანწყობილი და ითვალისწინებდა ორი კოლეგის თვალსაზრისს მანამ, სანამ რომელიმე მათგანი არ წამოაყენებდა წინადადებას, რომელიც, სტალინის აზრით, ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა კავშირის ინტერესებს. მაშინ ის ხდებოდა უცერემონიოდ პირდაპირი და თითქმის უხეში“.

მკითხველი, ალბათ, რწმუნდება სტალინის ზეადამიანურ თვისებებში. მისი ყოველი ქმედება, სიტყვა თუ საქმე გაცილებით აღემატებოდა მოკავშირეთა სიტყვებსა და საქმეს.

**სტალინი ერთმნიშვნელოვნად ნაკლებია ღმერთზე და დიდია ადამიანზე — ეს, ადრე თუ გვიან, ყველასთვის სარწმუნო იქნება, ვინც ურწმუნო არ არის.**



რუზველტი, ჩერჩილი და სტალინი

1944 წლის 12 სექტემბერს რუმინეთთან, 1944 წლის 28 ოქტომბერს ბულგარეთთან, ხოლო 1945 წლის 20 იანვარს უნგრეთთან გაფორმებული ზავის პირობების თანახმად, საბჭოთა ჯარები განლაგდნენ ამ ქვეყნების ტერიტორიებზე. ეს იყო სტალინური დიპლომატიის უმაღლესი მწვერვალი, რომელიც ერთ-ერთ საპატიო ადგილს იკავებს მეორე მსოფლიო ომის ისტორიაში








ყურადღება!
დაიბეჭდა ბატონ გრიგოლ ონიანის წიგნ „სტალინის“ მე-7 და მე-8 ტომები. შეძენის მსურველებმა დარეკეთ ტელეფონის ნომერზე: 597100600.

ომი და მშვიდობა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

უკრაინა-რუსეთის შესაძლო კონფლიქტი იმას ნიშნავს, რომ ამ ომში მთელი მსოფლიო ჩაერთვება, ვინ რა დოზით, სხვა საკითხია. სურთ თუ არა, კონფლიქტში ჩართული იქნება ევროპის ყველა ქვეყანა, თავისთავად ამერიკა და, რაღა თქმა უნდა, ჩინეთი. ეჭვი გვაქვს, დარტყმა სწორედ რუსეთსა და ჩინეთზეა გათვლილი, რადგან გასული წლის მიწურულს ჩინეთი იყო ის სახელმწიფო, რომელმაც ეკონომიკის მიმართულებით ამერიკას ლიდერობა ჩამოართვა და მსოფლიოში ნომერი პირველი გახდა. სწორედ ამ სტატუსის დაკარგვას ვერ ეგუება შტატები და სურს, კვლავ პირველი ზესახელმწიფო იყოს. საამისოდ კი, რუსეთის მორიგ კონფლიქტში ჩართვა ძალიან ხელსაყრელია.

# საქართველო მოსალოდნელ კონფლიქტში უნდა იყოს ნეიტრალური და არა რომელიმე მხარე

## თუ ჩვენ დავეხმარებით დასავლეთს და იარაღს გავატარებთ უკრაინის მიმართულებით, რუსეთის წინააღმდეგ, რუსეთის ფედერაციას სამართლიანი უფლება ექნება, პასუხი მოგვთხოვოს

**მსოფლიოს თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებები არც ერთ კონტინენტზე აღარ მიმდინარეობს. მთავარი ცხელი წერტილი — ავღანეთი, უბრალოდ, აღარ არსებობს და ახლა იქ თალიბები ცდილობენ თავიანთი წესრიგის დამყარებას. უფრო მეტიც, თალიბებთან, რომლებსაც ლამის ნახევარი საუკუნე ტერორისტები უძახეს, მოლაპარაკებების მაგიდასთან დასაჯდომად ევროპის არაერთი ქვეყანაა მზად. საომარი მოქმედებები თითქმის შეწყვეტილია სირიაში, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, რაც ნიშნავს იმას, რომ ამერიკის შეერთებული შტატები იარაღს ვერ ყიდის ვერსად. რა არის ამისთვის საჭირო? სწორია — ახალი შეიარაღებული დაპირისპირება, რომლის შემდეგ იარაღი კვლავ საჭირო იქნება და იარაღთან ერთად ის ჰუმანიტარული დახმარება საკვები პროდუქტების სახით, რომელიც ამერიკას საწყობში უდევს და ვადა გასდის. ამიტომ, ევროპის ყველაზე დიდი სახელმწიფოს — უკრაინისა და მსოფლიოს ყველაზე დიდი სახელმწიფოს — რუსეთის შეიარაღებული დაპირისპირება ამ ყველაფრის გასასაღებლად საუკეთესო საშუალებაა. მეტიც, თუ ეს კონფლიქტი დაიწყება, ერთ და ორ კვირაში ნამდვილად არ დასრულდება და უკრაინას პრაქტიკულად ყოველდღიურად დასჭირდება როგორც იარაღის, ასევე საკვების ახალი პარტია. რუსეთი კი...**




**კონფლიქტის დაწყების შემთხვევაში, ამერიკაც და ევროპაც საქართველოს აუცილებლად მოსთხოვენ შავი ზღვის აკვატორიის გამოყენებას, რათა უკრაინაში არა მხოლოდ ჰუმანიტარული დახმარება, არამედ საბრძოლო მასალა და ტექნიკაც შევიდეს. საქართველოს თანხმობის შემთხვევაში, ეს იქნება პირდაპირი მინიშნება რუსეთისთვის, რომ საქართველო მხარეა და მას ექნება სრული უფლება, ჩვენს ქვეყანასაც თუ არ დაარტყამს, თუნდაც ეკონომიკურ ბლოკადას გამოუცხადებს და ასეთ შემთხვევაში, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, შიმშილი გვემუქრება**

რუსეთი თვითკმარი ქვეყანაა მას შემდეგ, რაც ხორბლის წარმოების მხრივ მსოფლიო ლიდერობა მოიპოვა და ევროპისა თუ ამერიკის სანქციები, პრაქტიკულად, აღარ ადარდებს, მართალია, **ჯოზეფ ბაიდენმა** განაცხადა, სანქციები იმასაც გულისხმობს, რომ რუსეთი დოლარსა და ევროს ვერ მიიღებსო, მაგრამ საინტერესოა, რომელი ვალუტით გადაუხდიან რუსეთის ფედერაციას ხორბლისა და ნავთობპროდუქტების მიღების შემდეგ დასავლელი პარტნიორები ფულს.

ისე, ბაიდენმა გასულ კვირას იმდენი რამ თქვა, შეუძლია, მშვიდად გავიდეს პენსიაზე, მეტ აღიარებას მაინც ველარ მოახერხებს.

**„ალბათობა იმისა, რომ ახლო მომავალში უკრაინა ნატოს წევრი გახდება, მცირეა იმის გათვალისწინებით, რომ მას ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო აქვს შესასრულებელი დემოკრატიისა და იქ არსებული სხვა ბევრი საკითხის კუთხით, ასევე იმის გათვალისწინებით, დაუჭერენ თუ არა მხარს დიდი დასავლელი მოკავშირეები ახლა უკრაინის ნატოში გაწევრებას“, — აღნიშნა ბაიდენმა და ამით ხაზი გაუსვა იმას, რომ ყველაფრის მიუხედავად, უკრაინას არ უნდა ჰქონდეს ნატოში ინტეგრაციის იმედი. რაც შეეხება საქართველოს... საქართველო ნახსენებიც არ არის. ჯერ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ გვახსენონ გრძელვადიანი პერსპექტივით ნატოში ინტეგრაციაში და შემდეგ ვიფიქროთ გაწევრიანებაზე, ოღონდ ეს ყველაფერი რამდენ ათეულ წელს გასტანს, არავინ იცის.**

ბაიდენის ამ განცხადებას ბევრი კრიტიკა მოჰყვა. ეგ კი არა, ვლადიმერ ზელენსკიმაც კი შეჰბედა „პატრონს“, — ეგ რამ გათქმევინა, მცირე და დიდი შეჭრა აქამდე არ გამიგიაო; ბაიდენმაც „თავი იმართლა“, მცირე შეჭრაში კიბერშეტევას ვგულისხმობდიო. ჰოდა, რატომღაც გვგონია, რომ **უკრაინაზე კიბერშეტევა, დიდი ალბათობით, განხორციელდება, არავინ იცის, ვისგან და როგორ, მაგრამ ბაიდენი აუცილებლად გაიშვერს ხელს რუსეთისკენ და იტყვის, როგორც ვივარაუდე, კიბერშეტევა განხორციელდაო.** როგორც წესი, კიბერშეტევებისას გამორიცხულია ზუსტად იმის თქმა, საიდან განხორციელდა ის, ამიტომ ამერიკა მშვიდად დაადებს ხელს რუსეთს და ეს, იმის მიუხედავად, რომ შესაძლოა, რუსეთი საქმის კურსში საერთოდ არ იყოს.

**უკრაინა-რუსეთის შესაძლო კონფლიქტი იმას ნიშნავს, რომ ამ ომში მთელი მსოფლიო ჩაერთვება, ვინ რა დოზით, სხვა საკითხია. სურთ თუ არა, კონფლიქტში ჩართული იქნება ევროპის ყველა ქვეყანა, თავისთავად ამერიკა და, რაღა თქმა უნდა, ჩინეთი. ეჭვი გვაქვს, დარტყმა სწორედ რუსეთსა და ჩინეთზეა გათვლილი, რადგან გასული წლის მიწურულს ჩინეთი იყო ის სახელმწიფო, რომელმაც ეკონომიკის მიმართულებით ამერიკას ლიდერობა ჩამოართვა და მსოფლიოში ნომერი პირველი გახდა. სწორედ ამ სტატუსის დაკარგვას ვერ ეგუება შტატები და სურს, კვლავ პირველი ზესახელმწიფო იყოს. საამისოდ კი, რუსეთის მორიგ კონფლიქტში ჩართვა ძალიან ხელსაყრელია, ხოლო ჩინეთი რომ განზე ვერ გადგება, ადვილი ასახსნელია.**

ჩინეთი თავს მოუვლის, რაც უნდა იყოს, მსოფლიოში ყველაზე მრავალრიცხოვანი არმია ჰყავს და, საჭიროების შემთხვევაში, ერთდროულად რამდენიმე ქვეყანაში მოახერხებს ძალების გადანაწილებას. მთავარია, ამ არეულობაში ჩვენ არ მოვყვეთ ისე, რომ გავისრისოთ და ყველაზე დიდი ლოდი მოგვხვდეს. აქედანვე შეიძლება იმის განსაზღვრა, რომ **კონფლიქტის დაწყების შემთხვევაში, ამერიკაც და ევროპაც საქართველოს აუცილებლად მოსთხოვენ შავი ზღვის აკვატორიის გამოყენებას, რათა უკრაინაში არა მხოლოდ ჰუმანიტარული დახმარება, არამედ საბრძოლო მასალა და ტექნიკაც შევიდეს. საქართველოს თანხმობის შემთხვევაში, ეს იქნება პირდაპირი მინიშნება რუსეთისთვის, რომ საქართველო მხარეა და მას ექნება სრული უფლება, ჩვენს ქვეყანასაც თუ არ დაარტყამს, თუნდაც ეკონომიკური ბლოკადა გამოუცხადოს და ასეთ შემთხვევაში, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, შიმშილი გვემუქრება.** გაცილებით მეტი საფრთხე გვემუქრება სამხედრო ინტერვენციის შემთხვევაში. თუ ჩვენ დავეხმარებით დასავლეთს და იარაღს გავატარებთ უკრაინის მიმართულებით, რუსეთის წინააღმდეგ, რუსეთის ფედერაციას სამართლიანი უფლება ექნება, პასუხი მოგვთხოვოს. ამიტომ საქართველოს ხელისუფლებამ ბოლომდე უნდა იბრძოლოს იმისთვის, რომ მოსალოდნელ კონფლიქტში იყოს მშვიდობისმყოფელი, ნეიტრალური და არა რომელიმე მხარე. მხარეს როცა ვამბობთ, ორივე ვარიანტს ვგულისხმობთ: როგორც რუსეთის მხარის დაჭერას, ისე უკრაინის. შეიარაღებულ კონფლიქტში არ შეიძლება, რომელიმეს მხარეს დადგე, პირიქით, უნდა შეეცადო, რომ კონფლიქტი მშვიდობიანად დასრულდეს, საომარი მოქმედებები შეწყდეს და შესაბამისად, შეწყდეს ადამიანების დაღუპვა. სამწუხაროდ, პანდემიის გამო, ადამიანთა გარდაცვალება მსოფლიოში ისედაც ყოველდღიურ ამბად იქცა და ტრაგედიის ნაცვლად, მაჩვენებლების ასახვა მხოლოდ ციფრებში ხდება. აგერ, საქართველოში ლამის 15 ათასი გარდაცვლილი გვყავს, მაგრამ გლოვის დღე გამოაცხადა ვინმემ? არა, იმიტომ, რომ, სამწუხაროდ, ეს რიცხვი ბოლო არ არის და ექიმები მის გაორმაგებას ვარაუდობენ.

ისევ მოსალოდნელ კონფლიქტს დავუბრუნდეთ. ვითარება ისეთია, თითქოს მთელი მსოფლიო რუსეთის წინააღმდეგ დაირაზმა. არადა, **ჯერჯერობით, პრაქტიკულად, არაფერი უთქვამთ ჩინეთს, ირანს, აზიის დანარჩენ ქვეყნებს. არადა, მოსალოდნელი ომი ნამდვილად არ იქნება მხოლოდ ამერიკა-ევროპის გასარჩევი და თავში საცემი. ძალიან დიდია ალბათობა იმისა, რომ ის გადაიქცეს მესამე მსოფლიო ომად, ანუ კონფლიქტად, რომელმაც, შესაძლოა, პლანეტა შეიწიროს.**

ვიყოთ რეალისტები და ვაღიაროთ — რუსეთს უკრაინაში შეჭრა რომ სურდეს, ამას დღესაც გააკეთებდა, გუშინაც და ერთი თვის წინათაც. თანაც ისე, რომ არც ამერიკას გაითვალისწინებდა, არც ევროპას და, საზოგადად, არც არაფერს. გარედან ისე ჩანს, თითქოს არაფერი ხდება და მხოლოდ დასავლეთი ტეხს განგაშს, — არიქა, რუსეთი შეჭრას აპირებს, ფრთხილად იყავითო, და ამით დამფრთხალი უკრაინა დახმარებას ითხოვს. ისიც ხომ ყველამ იცის, რომ უკრაინა-რუსეთის საზღვარზე ამერიკული უპილოტო თვითმფრინავები დაფრინავენ, რაც იმას ნიშნავს, რომ უკრაინულ მხარეს აქვს ის ინფორმაცია, რომელსაც ამერიკელები აწვდიან. 22 იანვარს გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რუსეთმა ბელარუსში სამხედრო ტექნიკით დატვირთული 200 ეშელონი შეიყვანა და თითო ეშელონზე 50 სამხედრო მანქანა იყო. **ამერიკამ და ევროპამ ეს ნაბიჯი დაგმო, მაგრამ არაფერი უთქვამთ იმაზე, რომ მხოლოდ ბრიტანეთიდან უკრაინაში იარაღით დატვირთული 8 სამხედრო ხომალდი შევიდა, არც იმაზე გაუმახვილებია ყურადღება ვინმეს, რომ ამერიკამ არაერთი ათეული მილიონის იარაღი მიაწოდა უკრაინელებს. სამაგიეროდ, ყველამ ერთხმად დაგმო გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის გადაწყვეტილება, რომელმაც ესტონეთს უკრაინისთვის გერმანული იარაღის მიყიდვა აუკრძალა, — იარაღის მიცემა კი არა, კონფლიქტის მოგვარება უნდა ვცადოთო.** ეს იყო ყველაზე ადეკვატური განცხადება, რომელიც ბოლო პერიოდში დასავლელმა პარტნიორებმა გააკეთეს და გერმანიის მთავრობა კინაღამ ჩაქოლეს, როგორ გაბედე და უკრაინას იარაღზე უარი უთხარიო?! არადა, სწორედ გერმანია იყო პირველი, ვინც, იარაღის ჟღარუნის ნაცვლად, მოლაპარაკებათა მაგიდასთან დასხდომის პერსპექტივა განიხილა. ნამდვილად ვერ გეტყვით, რა იქნება ხვალ, მაგრამ ყველასთვის ცხადია, რომ დასრულებული კონფლიქტების პირობებში, ახალი **კონფლიქტი დიდი სახელმწიფოებისთვის შველაა, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ეს კონფლიქტი უშუალოდ მათ არ ეხება.** ასეთი მანამდეც ბევრი გვინახავს და, საბოლოო ჯამში, ხელში ალშფოთებები და შეშფოთებები შეგვრჩენია; ჰო, კიდევ — იმ დიდი სახელმწიფოების მიერ დაცლილი ხელი, ის ხელი, რომელსაც გასაყიდად გამოტანილი იარაღი უჭირავს და ფიზიკურად ვერ ასაღებს, იმიტომ, რომ ერებმა ომს მშვიდობა არჩიეს და **იმედია, უკრაინაც მალე მიხვდება, რომ ომს მშვიდობა სჯობია.**

**ბესო ბარბაქაძე**

**უკრაინის უსაფრთხოების სამსახური 2016-2017 წლებში არაერთხელ შეეცადა განგაშის ატეხვას, რაც მიუთითებდა, რა შეიძლება გამოეწვია ამ ბიოლაბორატორიებს. კერძოდ, ხერსონის ოლქის უსაფრთხოების სამსახური, რომლის ტერიტორიაზეც არის განლაგებული რამდენიმე ასეთი ლაბორატორია, მოხსენებაში მიუთითებდა, რომ ამერიკელი სპეციალისტების საქმიანობა შეიცავს ბიოლოგიურ-გენეტიკური, ანუ გენურ-შერჩევითი ტიპის იარაღის შექმნის ყველა ნიშანს.**

ბიოლოგიური საფრთხე

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის ყოფილი თანამშრომელი პოსტსაბჭოთა სივრცეში ამერიკულ ბიოლაბორატორიებზე ალაპარაკდა

**ყაზახეთში, ჟამბილის ოლქში, კიდევ ერთი ამერიკული სამხედრო ბიოლოგიური ლაბორატორიის მშენებლობის თემამ სერიოზულად ააფორიაქა პოსტსაბჭოთა სივრცის მოსახლეობა. ყაზახეთი არ არის ერთადერთი ქვეყანა, რომელიც მსგავს პრობლემას შეეჯახა. ასეთი განსაკუთრებით საეჭვო ობიექტების ქსელის შექმნა ამერიკელებმა უკრაინიდან დაიწყეს. იმის შესახებ, რა საფრთხეს ქმნიან ეს ობიექტები, სპეციალურ კონფერენციაზე ილაპარაკა უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის ყოფილმა თანამშრომელმა ვასილ პროზოროვმა.**



ვასილ პროზოროვი

## „კეთილი“ განზრახვა

პროზოროვის თქმით, 2005 წელს უკრაინაში ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა იმხანად ჯერ კიდევ სენატორი აშშ-ის დემოკრატიული პარტიიდან — **ბარაკ ობამა.** ის აქტიურად იყო დაინტერესებული იმ ობიექტების მდგომარეობით, რომლებშიც ინახებოდა საბჭოთა მეცნიერების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგები. იმავე წელს აშშ-ის თავდაცვისა და უკრაინის ჯანდაცვის სამინისტროებს შორის გაფორმდა თანამშრომლობაზე შეთანხმება „იმ ტექნოლოგიების, პათოგენებისა და ცოდნის გავრცელების დაუშვებლობის შესახებ, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნას ბიოლოგიური იარაღის დასამზადებლად. ამერიკის მხარეს ამ შეთანხმებაში წარმოადგენდა საფრთხეების შემცირების სააგენტო (DTRA, Detense Threat Resuction Agency), რომელიც ანგარიშვალდებულია პენტაგონის წინაშე.

„ამერიკელი სამხედროები იმხანად საფუძვლიანად დამკვიდრდნენ უკრაინის ტერიტორიაზე, — განაცხადა ვასილ პროზოროვმა ყირგიზეთის დედაქალაქ ბიშკეკში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნა დსთ-ის (დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობის) სივრცის ბიოლოგიურ უსაფრთხოებას. — ბიოლოგიური ლაბორატორიების მოდერნიზაციის საბაბით მათ შეაღწიეს ისეთ დაწესებულებებში, როგორიც არის ჯანდაცვის სამინისტრო, რესპუბლიკური სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამსახური, აგრარული მეცნიერებების ეროვნული აკადემია და 2007 წლიდან დაიწყეს ცენტრალური რეფერენს ლაბორატორიისა და განსაკუთრებით საშიში პათოგენების საცავის შექმნა“.

**უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის ყოფილმა პოდპოლკოვნიკმა განაცხადა, რომ 2013 წელს უკრაინაში არსებული და 2 მილიარდ დოლარად შეფასებული პათოგენების კოლექცია სასწრაფოდ გადავიდა ამერიკელების განკარგულებაში. ამის შემდეგ ამერიკელმა სპეციალისტებმა ქვეყანაში დანერგეს ეპიდემიოლოგიური დაავადების კონტროლის ელექტრონული სისტემა. შეგროვებული ინფორმაცია ინახებოდა და დღესაც ინახება მკაცრად საიდუმლოდ. მასზე ხელი უკრაინის ხელისუფლებასაც კი არ მიუწვდება.**

„2010 წელს ხელისუფლების სათავეში მოვიდა **ვიქტორ იანუკოვიჩი.** მან უკრაინის უსაფრთხოების სამსახურს დაავალა, გარკვეულიყო ქვეყნის ტერიტორიაზე ამერიკელი სამხედროების საქმიანობის საკითხში და 2013 წელს უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის, ჯანდაცვის სამინისტროსა და უკრაინის ხელისუფლების სხვა ცენტრალური ორგანოების ერთობლივმა კომისიამ რიგი კვლევების ჩატარების შემდეგ დაასკვნა, რომ აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს სპეციალისტების მოღვაწეობა აზიანებს უკრაინის ეროვნულ ინტერესებს. უფრო მეტიც, კომისიამ დაადგინა, რომ უკრაინის ლაბორატორიებში ამერიკელი მიკრობიოლოგებისა და ვირუსოლოგების მოქმედებაში არის ახალი ტიპის ბიოლოგიური იარაღის შექმნის ნიშნები“.

ამის შემდეგ ეს თანამშრომლობა შეჩერდა, შეთანხმება კი გაიყინა“, — თქვა პროზოროვმა.

**«2010 წელს ხელისუფლების სათავეში მოვიდა ვიქტორ იანუკოვიჩი. მან უკრაინის უსაფრთხოების სამსახურს დაავალა, გარკვეულიყო ქვეყნის ტერიტორიაზე ამერიკელი სამხედროების საქმიანობის საკითხში და 2013 წელს უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის, ჯანდაცვის სამინისტროსა და უკრაინის ხელისუფლების სხვა ცენტრალური ორგანოების ერთობლივმა კომისიამ რიგი კვლევების ჩატარების შემდეგ დაასკვნა, რომ აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს სპეციალისტების მოღვაწეობა აზიანებს უკრაინის ეროვნულ ინტერესებს. უფრო მეტიც, კომისიამ დაადგინა, რომ უკრაინის ლაბორატორიებში ამერიკელი მიკრობიოლოგებისა და ვირუსოლოგების მოქმედებაში არის ახალი ტიპის ბიოლოგიური იარაღის შექმნის ნიშნები»**



## უკრაინული პროექტი

2014 წელს, უკრაინაში განვითარებული ცნობილი მოვლენების შემდეგ, DTRA-ს სპეციალისტები კვლავ გამოჩნდნენ რესპუბლიკაში. მათმა საქმიანობამ კი კოლოსალური მასშტაბი შეიძინა.

**„ეს მოხდა უკრაინის ჯანდაცვის ახალი მინისტრის, აშშ-ის მოქალაქე ულიანა სუპრუნის წყალობით, რომელიც ამერიკული ფარმაცევტული გიგანტების მიერ იყო ხელდასმული, — თქვა ყოფილმა პოდპოლკოვნიკმა. — სახელდობრ, მისი მინისტრობის პერიოდში შექმნეს ამერიკელებმა უკრაინაში ცენტრალური რეფერენს-ლაბორატორია განსაკუთრებით საშიში პათოგენების საცავით. თანაც, ეს ლაბორატორია აშენდა უშუალოდ კიევში, ქალაქის ერთ-ერთ მჭიდროდ დასახლებულ რაიონში.** იმ პერიოდში ამერიკელებმა ჩაატარეს რამდენიმე სპეციალური კვლევა, რომლებიც დაშიფრული იყო აბრევიატურით UP (Ukrainian Project — „უკრაინული პროექტი“). ამ პროექტის არსი მდგომარეობდა უკრაინის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები მოქალაქეების სინჯების შეგროვებასა და მათ ორგანიზმზე განსაკუთრებით სახიფათო ვირუსების ზემოქმედების განსაზღვრაში“.

ამერიკელების მიერ ჩატარებულ კვლევებში უკრაინის შეიარაღებული ძალების 4 ათასი მოსამსახურე მონაწილეობდა ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან.

ამრიგად, **ამერიკელებმა მიიღეს უკრაინის სხვადასხვა ოლქში მცხოვრებთა სისხლის 4 ათასი ნიმუში. შეგროვებულ ბიომასალაზე ჩატარებულმა შემდეგმა ცდებმა კი შესაძლებლობა მისცა, რეალურად შეეფასებინათ ამა თუ იმ რეგიონში ინფექციის გავრცელების საფრთხე და მასშტაბი, აგრეთვე, ამის საფუძველზე შერჩევითი მოქმედების ბიოლოგიური იარაღის შექმნის საშუალება ადამიანების დასასნებოვნებლად.**

„ამ ლაბორატორიების მუშაობის შესახებ დროდადრო წარმოქმნილ ვითარებაზე ამერიკელები ყოველთვის ამბობდნენ, რომ ყველა კვლევას ატარებდნენ უკრაინელი სპეციალისტები, — განაგრძო პროზოროვმა, — მაგრამ დოკუმენტები, რომლებიც ხელში ჩამივარდა, ერთმნიშვნელოვნად ამტკიცებს, რომ ყველაფერს აკეთებენ ამერიკელი მიკრობიოლოგები და ვირუსოლოგები. კონკრეტულად აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს ვირუსოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტისა და ლუისვილის უნივერსიტეტის მეცნიერები, უკრაინელებს კი იქ იყენებენ მომსახურე პერსონალად, მათ კვლევებზე ხელი არ მიუწვდებათ“.

## პირდაპირი ღალატი

როგორც პროზოროვმა განაცხადა, უკრაინის უსაფრთხოების სამსახური 2016-2017 წლებში არაერთხელ შეეცადა განგაშის ატეხვას, რაც მიუთითებდა, რა შეიძლება გამოეწვია ამ ბიოლაბორატორიებს. კერძოდ, ხერსონის ოლქის უსაფრთხოების სამსახური, რომლის ტერიტორიაზეც არის განლაგებული რამდენიმე ასეთი ლაბორატორია, მოხსენებაში მიუთითებდა, რომ ამერიკელი სპეციალისტების საქმიანობა შეიცავს ბიოლოგიურ-გენეტიკური, ანუ გენურ-შერჩევითი ტიპის იარაღის შექმნის ყველა ნიშანს.

მოხსენებები მტკიცებულებების დოკუმენტებთან ერთად იგზავნებოდა კიევში კონტრდაზვერვის დეპარტამენტის უფროსსა და უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელთან.

ერთ-ერთ მოხსენებაში ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ადგილობრივი ლაბორატორიებიდან აშშ-ში გაიგზავნა ოლქის მცხოვრებთა ათასობით ბიოლოგიური ნიმუში, ოფიციალური ვერსიის თანახმად, ადგილობრივი კლიმატური პირობების მიმართ მაქსიმალურად ადაპტირებული ვაქცინის დასამზადებლად. ყველაფრის მიუხედავად, ცენტრალურმა ხელისუფლებამ ამ მოხსენებებს ყურადღება არ მიაქცია — არანაირი ღონისძიება არ გატარებულა, რადგან, როგორც პროზოროვმა თქვა, უკრაინის ხელმძღვანელობა უკვე დამოკიდებული იყო და დღესაც დამოკიდებულია ვაშინგტონზე.

**„ბიოლოგიური ლაბორატორიები უკრაინაში, სხვადასხვა შეფასებით, 16-დან 18-მდეა. მათ მიერ ჩატარებულ კვლევებში ყოველწლიურად უკრაინის სულ უფრო მეტ მოქალაქეს იზიდავენ, რომლებიც სინამდვილეში საცდელ ბოცვრებს წარმოადგენენ. დღეს შეიძლება ითქვას, რომ ამერიკელი სპეციალისტები ახალი ტიპის ბიოლოგიური იარაღის შექმნის ბოლო ეტაპზე იმყოფებიან და მისი გამოყენებისგან ჩვენ დაზღვეულნი არ ვართ.** მინდა, თქვენი ყურადღება მივაპყრო იმას, რომ უკრაინის ხელისუფლება არ რეაგირებს ამერიკული სამხედრო ლაბორატორიების საქმიანობაზე. ამ ლაბორატორიებში ისეთი მკაცრი რეჟიმია, იქ ვერც უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები შედიან და ვერც ხელისუფლების წარმომადგენლები. წარმოგიდგენთ დოკუმენტებს, რომლებიც ადასტურებს, რომ საშვების მოქმედების ვადა ამ ობიექტებზე DTRA-ს თანამშრომლებისთვისაც კი მხოლოდ 1 წელია, საჭიროა მათი ყოველწლიურად განახლება, შესაბამისად, იქ უკრაინის სამეცნიერო წრეების წარმომადგენელთა შეშვებაზე ლაპარაკიც არ არის.

შემიძლია ერთმნიშვნელოვნად ვთქვა, რომ ამერიკელებმა უკვე მოიპოვეს კონკრეტული ეთნო-ეროვნული ჯგუფების მონაცემები ამა თუ იმ განსაკუთრებით საშიშ დაავადებაზე. ახლა მათ ზუსტად იციან, როგორი რეაქცია ექნებათ, მაგალითად, დასავლეთ უკრაინის მცხოვრებლებს და რას გამოიწვევს ესა თუ ის ვირუსი აღმოსავლეთ უკრაინის, მაგალითად, ხარკოვის მოსახლეობაზე, რომელთა გენოტიპი, ფაქტობრივად, რუსეთის მოსახლეობის იდენტურია. ამრიგად, შერჩევითი მოქმედების ვირუსის შესაქმნელად მათ ერთი ნაბიჯიღა რჩებათ“, — განაცხადა უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის ყოფილმა თანამშრომელმა ვასილ პროზოროვმა.

**eadaily.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთელმა**

ფოსტა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ქალბატონმა კელი დეგნანმა 2022 წლის 3 იანვარს იმგვარი ფეხების ბაკუნით დაუცაცხანა საქართველოს დღევანდელ „ნამესტნიკურ“ ადმინისტრაციას, იმგვარი გაანჩხლებით უწოდა ამ კანონს სახელმწიფოს გამანადგურებელი და დემოკრატიის დამსამარებელი, მეტიც — ლიბერასტული „თავისუფლების“ შემფერხებელი, რომ გეგონებოდა, საქართველოს ცისქვეშეთში თემურ-ლენგის ურდოებმა მიზნობრივად გადაიგრიგალეს შობა-ახალი წლის ჩასაშხამებლად.**

# როდესაც სახალხო ხუმრობებში ერის წინგასახედი მინიშნებაა, ანუ ეროვნულ-სახალხო ამოგმინვა: «ნუ წახვალ, შვილო, ამერიკაში!»

დიდი მოიდა მტრის ჯარი,
გარს შემოგვერტყა ღობედა...
*ვაჟა-ფშაველა*

**2021 წლის 28 დეკემბერს აშშ-ის ელჩი საქართველოში და იმავე დროს, როგორც ჩანს, ლიბერასტული გადამთარეშებლობის რეგიონული ინსტრუქტორი, ქალბატონი კელი დეგნანი საქართველოს პარლამენტში ინსპექტირების წესითა და თითის ქნევითი დილაუთენია მიიჭრა, რათა მისივე სახელმწიფოს მიერ აქ, სახელისუფლებო ბერკეტებთან მედღეურად დაყენებული დესანტისთვის მორიგი ინსტრუქტაჟი ჩაეტარებინა. მისთვის შემაშფოთებელი და საგანგაშო აღმოჩნდა ის, რომ ამ უკანასკნელებმა მისდა დაუკითხავად მოისურვილეს სახელმწიფოს ერთი ჩვეულებრივი უწყების რეფორმა. საუბარია სახელმწიფო ინსპექციის გარდაქმნა-გაძლიერებაზე, რაც მისი იმჟამინდელი მესვეურის, ქალბატონ ლონდა თოლორაიასთვის პოლიტიკური დემარშის საფუძველი შეიქნა, ამის გასწვრივ იგი ჩვენს ქვეყანაში დისლოცირებული ე.წ. არასამთავრობოებისა თუ მათი მსგავსი ლეგალური აგენტურისთვის ძირგამომთხრელობის მორიგ საქუდზეკაცო დარაზმულობის მიზეზად იქცა.**

წინა დღით მან, ღრმად პატივცემულმა ელჩმა, საჯაროდ გაკიცხა ხელისუფლება ძალისხმევისთვის, ის კი არადა, **„პა სტოიკე სმირნა“** ასმენინა თავისი მითითებები სრულიად საქართველოს და დაუფარავად დაუჭირა მხარი ქვეყნის დამანგრეველ, ქართველ ერს დაპირისპირებულ საეჭვო დაჯგუფებებს.

ეს კიდევ არაფერი, როგორც იცით, **„საქართველოს ხელისუფლებამ უკან არ დაიხია“** და მიიღო შესაბამისი კანონი. აქედან გამომდინარე, **ქალბატონმა კელი დეგნანმა 2022 წლის 3 იანვარს იმგვარი ფეხების ბაკუნით დაუცაცხანა საქართველოს დღევანდელ „ნამესტნიკურ“ ადმინისტრაციას, იმგვარი გაანჩხლებით უწოდა ამ კანონს სახელმწიფოს გამანადგურებელი და დემოკრატიის დამსამარებელი, მეტიც — ლიბერასტული „თავისუფლების“ შემფერხებელი, რომ გეგონებოდა, საქართველოს ცისქვეშეთში თემურ-ლენგის ურდოებმა მიზნობრივად გადაიგრიგალეს შობა-ახალი წლის ჩასაშხამებლად.**

მეტიც, აშშ-ის ელჩის ნიღაბს ამოფარებული ამ თვითმხილებული ოკუპანტის „შეშფოთებამ“ გამახსენა თავის დროზე კრემლიდან სკკპ ცკ-ის 1956 წლის 10 ივნისის მრისხანე დადგენილება **„Об ощибках в работе ЦК КП Грузии“,** რომელიც იმასაც კი ითვალისწინებდა, რომ ქართველი ერი ციმბირში გადაესახლებინათ.

ცხადია, ისიც გემახსოვრებათ, რომ იმავე სკკპ ცკ-მა ცოტა ხანში ისევ გადაგვაჩექმა 1972 წლის 6 მარტის დადგენილება **„სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“.**

გასაგებია, რომ კრემლიდანური დადგენილებები საქართველოსადმი ველიკოდერჟავნიკობის უმრისხანესი თითის ქნევები გახლდათ, მაგრამ კრემლს ეყო თავშეკავება, იგი საბჭოთა კავშირის მართვის უმაღლეს ორგანოში მიელო და ფარისევლურ „კეთილმოსურნეობაში“ შეენილბა.

ქალბატონ კელი დეგნანის მიერ გახმოვანებულმა ახალმა ოკუპანტმა ეს საჭიროდ არ ჩათვალა: მან თავის ცუდად გამოძინებულ ელჩს საქართველოსთვის დილაუთენია გამოაცხადებინა ანათემა და გადაშენება. არადა, დიდი მიხვედრა არ უნდა სჭირდებოდეს იმის გასიგრძეგანებას, რომ ქალბატონ კელის ტონში გაჟღერებულია დამპყრობის უბოდიშო მითითებები, რომლებმაც, დამკვეთის სურვილის შესაბამისად, ღვთისმშობლის წილხვედრილობაში აშშ-ის ნალამოჭედილი ბათინკებით უნდა გაიგამზირონ. ხმამაღლა უნდა ვთქვათ: კი ბატონო, **კელი დეგნანს აქვს ე.წ. შეშფოთებები და მოითხოვს, ქართველმა ერმა სიტყვის შეუბრუნებლად დაუგდოს ყური მის მითითებებსა და თავხედურ თითის ქნევას, მაგრამ, აქედან გამომდინარე, გაცილებით გასაგები და, რაც მთავარია, სამართლიანი აღშფოთებები უჩნდება საქართველოს მოსახლეობას, რომელსაც ღრმად პატივცემულმა კელი დეგნანმა, თუ ის მართლაა ჩვენი სტრატეგიული მოკავშირე, გულდადებით, ჩაუსაფრებლად და პატივისცემით უნდა დაუგდოს ყური. სხვა შემთხვევაში, პოლიტიკური და საორგანიზაციო დასკვნები, რომლებსაც იგი განახორციელებს საქართველოში, შეიძლება იყოს კი არა, დიახაც არის და უნდა განიხილებოდეს ტერორისტულ აქტად ქართველი ერის წინააღმდეგ.**

ახლა შეადარეთ, როდის უფრო ვიყავით დაპყრობილი და ამჟამად ვისი აღვირით მივშლიგინებთ უეჭველი აღგვისაკენ. ცხადია, გესაუბრებით იმ ადამიანზე, რომელმაც 2021 წლის 5 ივლისის შემგინებლური მოძრაობის არდამშვებებს მოძალადე უწოდა, ღიად დაუდგა გვერდით ლიბერასტელ გამრყვნელებს და მისი მითითებით დაპატიმრებული საქართველოს ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენელთა „სასამართლოც“ მისი „უხილავი“ მესაჭეობით იმართება.

მიზნობრივად გამოინკუბატორებულ საზოგადოებაში, რომელშიც სამშობლოსა თუ სარწმუნოებისადმი ან კიდევ მოყვასისადმი თავგანწირვა განიხილება „ადამიანის უფლებათა შელახვად“, ამასთანავე, დივერსიული ეთნოფაბრიკაციების აღმგველობა იფუთება ისეთ პოლიტიკურ პაროლებში, როგორიცაა „ევროკავშირი“, „სტრატეგიული მოკავშირე“, „ვენეციის კომისია“, „სახალხო დამცველი“, „დემოკრატია“ და ა.შ., ეს ყველაფერი მიზანმიმართული გადამთარეშობლობაა სვლაგეზით „დემოკრატიული“ გადაგვარებით „ცივილური გადაშენებისაკენ“...

ასეთი „საადამიანო“ ტერმინებით თავსმოხვეული და შენიღბული თავზარი ძალიან ჰგავს იმ მოსამართლის მიერ კორექტულობისკენ მოწოდებას, ყმაწვილკაცობისას ერთ ხუმრობაში რომ მომისმენია თელავის რვაასწლოვანი ჭადრის ქვეშ: მიხო ჩვენებას აძლევს სასამართლოს, — ეგრე იყო, ბატონო მოსამართლე. შილდიდანა მოვდიოდი, გავიხედე, წყაროი თავზე, დიდყურაანთ თედუასა წამაექცია ჩემი ცოლი და ტ....და!..


სერგი (გიორგი) საჯაია

მოსამართლემ შეაწყვეტინა, კულტურულად თქვი, სქესობრივად უკავშირდებოდაო... სიმწრის ოფლში გახვითქულმა მიხომ ამოიგმინა: შორიდანა მეც კულტურულად და სქესობრივად მეგონა, მაგრამ ახლოი რომ მივედი, მართლა ტ....დაო!

მსოფლიოს გამნჩინებელი ჩვენც ასე გვექცევა: ის, რაც ჩვენთან დემოკრატიად, ადამიანის უფლების დაცვად, პროგრესად და თავისუფლებად იწოდება, თან ასე დაძალებით გვაჩეჩებენ, სხვა არაფერია, თუ არა გამწარებული მიხოს ნათქვამი თავისი ღირსების გაბახებაზე.

ამგვარ განუკითხაობაში ქალბატონ კელი დეგნანის უბოდიშო გამოხდომათა საპირწონე ისევ მიხოს სიბრძნესა და წინგახედულებაშია დასაძებნი: ზის მიხო კუნძთან და ალესილი ცულით სარებს აწვეტიანებს. ამ დროს გამოიარა ორმა ახალგაზრდამ, ვივარაუდოთ, რომ მეოცე საუკუნის გიგა მაქარაშვილებმა, და ერთ-ერთი ეუბნება პაპისტოლა კაცს: — ძია, გაღმა უბანში ქორწილში მივდივართ და ეგ ულვაშები მათხოვეო...

— შენ ვერა, შვილო, მაგრამ, აი, შენს მეგობარს ვათხოვებო.

— მე რატომ არაო? — აღშფოთდა მეოცე საუკუნის გიგა მაქარაშვილი.

— იმიტომ, რომ დედაშენისას მიირთმევ და ულვაშები დამესვრებაო...

**ეეე, ჩემო ქართველებო, მიზნობრივი მილევადობისგან თავის დასაღწევად როგორ გვჭირდება ახლა ძიამიხოსოდენი გამჭრიახობა და თადარიგი, რათა ამ არამკითხეთა „კეთილმოსურნეობითა“ თუ „სტრატეგიული მოკავშირეობით“ გადაჩეჩქმილ საქართველოში ნეხვად არ მივყარ-მოვყაროთ ერის ღირსება.**

## სამშობლოსათვის ნაღვაწი კაცი ვეკითხები საკუთარ ცხვირს იქით ვერგამხედავ თაობას: ნუთუ ასე შეუძლებელია, დაინახოთ ჭაობური «დემოკრატიის» პოლიტიკური აზრის ქვეშ დასაწყობებული, შინაარსისგან დაცლილი ქართველი ერი საეთნოდივერსიო ნედლეულად რომ განიხილება?



კელი დეგნანი

აქვე მახსენდება მეოცე საუკუნის ცნობილი მწერალი **ნინო ნაკაშიძე,** დღეს საეჭვო ხელგამოღებით მივიწყებული. მას აქვს მაღალმხატვრული პიესა **„ვინ არის დამნაშავე?!“,** რომელიც მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს არაერთ თეატრში წარმატებით დაიდგა. ამ პიესის მიხედვით რეჟისორმა **ალექსანდრე წუწუნავამ** კინოფილმიც კი გადაიღო (1966 წელს იგი სოხუმის მასწავლებელთა სახლის დრამატულ კოლექტივში წარმოადგინა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა **ლეო ჭედიამ.** მე და ქალბატონ **ლამარა კვარაცხელიას,** იმხანად სტუდენტებს, მთავარი როლების განსახიერების პატივი გვხვდა). **თითქოს დღევანდელ საქართველოს ასურათხატებს ეს ნაწარმოები: ორიოდე კაპიკისთვის სამშობლოდან უნდა გადაიხვეწო წლობით, აიყარო, ცოლ-შვილს მოსწყდე, ფეხზე რომ დადგე, ამერიკაში უნდა გადაცხრამთასიქითდე ქართველი კაცი...**

ხედავს რა ამ უნებურ და დამღუპველ, დამანგრეველ ხვედრს, ამ ჭერქვეშეთში მთავარი გმირის ბაბუა, მახვშისდარი კაცი, განწირულის ხავსჩაჭიდებით ეხვეწება შვილიშვილს: **„ნუ წახვალო, შვილო, ამერიკაში!“**

ამ როლს შემაძრწუნებელი ტრაგიზმით თამაშობდა აფხაზეთის ასსრ სახალხო არტისტი, 1903 წელს ქალაქ სოხუმში წმინდა ილია მართლის ერთ-ერთი მასპინძელთაგანის შვილიშვილი, დიდებული ხელოვანი და ქალაქის სახე **პროკლე თურქია.** დღემდე გულგამსერავად დამივლის სულში მისი საწინათგრძნობო ამობღავლება: **„ნუ წახვალ, შვილო, ამერიკაში!“**

აქ რომელიმე ლიბერასტი და ძიქვაჩახდილი გიგა მაქარაშვილი შეჩერდება და ახალმისირლინებული კატასავით ამოიკნავლებს: — შე, რუსეთუმეო...

წადი შენი ...! **როდესაც მე რუსისტულ ველიკოდერჟავნიკობას (და არა რუსულ სახალხო სულიერებას) „კოლხური კოშკის“ სწავლებათა შესაბამისად ვეპირწონებოდი, მაშინ მამაშენი ღამის ქოთნამდე დედამისის ხელჩაჭიდების გარეშე ვერ მიდიოდა. აი, ესაა მოცემულობა და მკაფიო სიცხადე.**

**მინაწერი:** მე, სამშობლოსთვის ნაღვაწი კაცი, ვეკითხები საკუთარ ცხვირს იქით ვერგამხედავ თაობას: ნუთუ ასე შეუძლებელია, დაინახოთ ჭაობური „დემოკრატიის“ პოლიტიკური აზრის ქვეშ დასაწყობებული, შინაარსისგან დაცლილი ქართველი ერი საეთნოდივერსიო ნედლეულად რომ განიხილება?

...და მე, დროის სიავისაგან ნაცემი, მაგრამ ვერგალახული, დაუზავებლად ვუჭექაქუხილებ თავსმოხვეულ წინგაუხედაობას: **ნუ წახვალ, შვილო, ამერიკაში!..**

**სერგი (გიორგი) საჯაია,**
**გიორგი შარვაშიძის, ნიკო ნიკოლაძისა და ზვიად გამსახურდიას პრემიების ლაურეატი, უმაღლესი კატეგორიის პედაგოგი, 1992-93 წლების სამამულო ომის ვეტერანი**

მიმართვა

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ქალბატონო სალომე, ამ პრობლემების შესახებ მე 2021 წლის მარტშიც მოგმართეთ (N1/1939) და თან დავურთე თქვენი წინამორბედი პრეზიდენტის, გიორგი მარგველაშვილისადმი პრესაში გამოქვეყნებული ჩემი წერილიც — „მოქალაქეობას ანიჭებთ თუ პარტიაში იღებთ, ბ-ნო პრეზიდენტო?!“ P.S.-ში კი გწერდით, რომ „მთავარია წერილში წამოჭრილი საკითხების მოგვარება და არა — ჩემთვის პასუხის გამოგზავნა“. ვინაიდან ამ პრობლემის გადაჭრისკენ გადადგმული თქვენი ნაბიჯები ვერ ვიხილე და ვერც პასუხი მივიღე, ამიტომ 10 თვის ლოდინის შემდეგ გადავწყვიტე, ხელმეორედ მოგმართოთ.**

# საქართველოს პრეზიდენტს, ქ-ნ სალომე ზურაბიშვილს!

## მე არ მინდა, ვიყო აფრიკელი, არც ინდოელი, თურქი...

**მე ქართველად დარჩენა მსურს! დიახ, ისე, როგორც გავჩნდი ამქვეყნად, როგორც ბედმა მარგუნა! და არავის არ აქვს უფლება, წამართვას ჩემი ქართველობა, წამართვას ან შემიზღუდოს ის უფლებები, რომლებიც მე მემკვიდრეობით და საქართველოში დაბადებით მერგო!**



მე მშურს მსოფლიოში გაბნეული ებრაელების, რომლებსაც მამულიც დაკარგული ჰქონდათ, ენაც, ნაწილს — სარწმუნოებაც და რომლებმაც 2000 (!) წლის შემდეგ — 1948 წელს მოახერხეს საკუთარი სახელმწიფოს — ისრაელის შექმნა. უფრო ზუსტად, მე ამ სახელმწიფოს ხელისუფლების მშურს, რომელსაც აღრიცხული ჰყავს სხვა ქვეყნებში მცხოვრები თითოეული ებრაელი და ხმალამოღებული (ბრჭყალების გარეშე, პირდაპირი გაგებითაც!) იცავს მათ მთელ მსოფლიოში.

ნებისმიერ სახელმწიფოში მცხოვრებ ებრაელს, სურვილის შემთხვევაში, უპრობლემოდ და უპირობოდ ენიჭება ისრაელის მოქალაქეობა. მათთვის საჭირო არ არის არც ივრითის ცოდნა (არც იდიშის) და არც რაიმე დამსახურება ისრაელის წინაშე, ერთადერთი პირობა მხოლოდ ებრაელობაა! 15-მილიონიანი ერი (ოფიციალური მონაცემებით, ფაქტობრივად კი, — ჯერადობით მეტი!) თავისი ჯიშის, თავისი გენის მატარებელს ერთ ადამიანსაც არ კარგავს, თვალისჩინივით უფრთხილდება, განსხვავებით ჩვენი ბედოვლათი ხელისუფლებისგან — დამნაშავე ნაცების იქნება ეს თუ უფხო, უხერხემლო ქოცების. ეს დამამცირებელი კნინობითი სახელები ორივემ დაიმსახურა, თანაც მალევე — ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე. ამის დამადასტურებელი მაგალითების მოყვანას არ შევუდგები, იმდენი და იმდენჯერ არის დაწერილ-თქმული ამ წლების მანძილზე, რომ ყველასთვის ყველაფერი კარგად არის ცნობილი.

მე მხოლოდ ერთ ძალიან მნიშვნელოვან, მაგრამ **ფართო საზოგადოებისთვის უცნობ პრობლემაზე** მოგახსენებთ, იმ უსამართლო წეს-კანონზე, რომელიც ქართველი კაცის ღირსებას ლახავს და, აგრეთვე, მისგან გამომდინარე მეორე უსამართლობაზეც, რომელიც, ამავე დროს, ამორალურიც არის.

ქალბატონო სალომე, ამ პრობლემების შესახებ მე 2021 წლის მარტშიც მოგმართეთ (N1/1939) და თან დავურთე თქვენი წინამორბედი პრეზიდენტის, **გიორგი მარგველაშვილისადმი** პრესაში გამოქვეყნებული ჩემი წერილიც — **„მოქალაქეობას ანიჭებთ თუ პარტიაში იღებთ, ბ-ნო პრეზიდენტო?!“** („საქართველო და მსოფლიო“ და „საქართველოს რესპუბლიკა“, 2015 წლის ოქტომბერი). P.S.-ში კი გწერდით, რომ **„მთავარია წერილში წამოჭრილი საკითხების მოგვარება და არა – ჩემთვის პასუხის გამოგზავნა“**. ვინაიდან ამ პრობლემის გადაჭრისკენ გადადგმული თქვენი ნაბიჯები ვერ ვიხილე და ვერც პასუხი მივიღე, ამიტომ 10 თვის ლოდინის შემდეგ გადავწყვიტე, ხელმეორედ მოგმართოთ იმ იმედით, რომ ეგებ თქვენგან დამოუკიდებელი მიზეზით არც კი გაცნობიხართ ჩემს პირველ წერილს თავისი დანართით. არა მგონია, ასე მომხდარიყოს, მაგრამ მაინც ვცდი — როგორც იტყვიან: „ცდა ბედის მონახევრეა“. და, ამავე დროს, არც თქვენზე მინდა საბოლოოდ აზრი შემეცვალოს!

**მე, 85 წელს მიღწეულ კაცს, არ მინდა, თურქ-აფრიკელთან გათანაბრებულ, უფლებებშეზღუდულ და ღირსებაშელახულ ქართველად წავიდე იმქვეყნად მხოლოდ იმიტომ, რომ უცხოეთში 10-წლიანი შრომით იქაური პენსია გამოვიმუშავე, რის გამოც სამშობლოში დამსაჯეს და 33-წლიანი შრომით დამსახურებული პენსია ყოვლად უკანონოდ, კონსტიტუციის დარღვევით, ჯანდაცვის მინისტრის მიერ განსაზღვრული ნორმატიული აქტის (!)) საფუძველზე მომიხსნეს.** დიახ, „...პენსიის დანიშვნის წესი და პირობები განისაზღვრება მინისტრის ნორმატიული აქტით“ („სახელმწიფო პენსიების შესახებ“ კანონი, მუხლი 13, პუნქტი 3), რომლის საფუძველზეც მოქმედებს **კანონქვემდებარე (!) ნორმატიული აქტი, დამტკიცებული სააკაშვილისდროინდელი ჯანდაცვის ვაიმინისტრ ლადო ჭიპაშვილის 2006 წლის 10 თებერვლის ბრძანებით** (46/6)! და, ეს მახინჯი წესი, ისევე, როგორც ბევრი სხვა, დღემდე ვერ შეცვალა „ქართული ოცნების“ მთავრობამ.

თავიდათავი მიზეზი ამისა კი ყოფილა ის, რომ მე, საქართველოში სამუდამოდ დაბრუნებულ ქართველ კაცს, **ჩემს უკითხავად, ავტომატურ რეჟიმში ჩამორთმეული საქართველოს მოქალაქეობა კი არ აღმიდგა, არამედ საგამონაკლისო წესით ხელახლა მომენიჭა,** ოღონდ, თურმე, უკვე არა პირვანდელი უფლებებით, როგორიც უცხოეთში წასვლამდე გამაჩნდა, არამედ ზუსტად ისეთივე, როგორსაც ზემოხსენებულ აფრიკელს თუ სხვა უცხოტომელს ანიჭებენ! „ორმაგი მოქალაქისა და ჩვეულებრივი საქართველოს მოქალაქის უფლებრივი მდგომარეობა ერთმანეთს არ უტოლდება“, — ასეთი „გამართული“ იყო **ვახტანგ ხმალაძისდროინდელი** პარლამენტის იურიდიული კომიტეტის პასუხი. და მეც, ასეთი ვაიიურისტების წყალობით ჩვეულებრივიდან **„არაჩვეულებრივი“** მოქალაქე გავხდი! მართალია, ასეთი მოქალაქეობა მე პრეზიდენტმა მარგველაშვილმა მომანიჭა, მაგრამ თქვენც იმავეს აგრძელებთ, სამწუხაროდ!

**მე, 85 წელს მიღწეულ კაცს, არ მინდა თურქ-აფრიკელთან გათანაბრებულ, უფლებებშეზღუდულ და ღირსებაშელახულ ქართველად წავიდე იმქვეყნად მხოლოდ იმიტომ, რომ უცხოეთში 10-წლიანი შრომით იქაური პენსია გამოვიმუშავე, რის გამოც სამშობლოში დამსაჯეს და 33-წლიანი შრომით დამსახურებული პენსია ყოვლად უკანონოდ, კონსტიტუციის დარღვევით, ჯანდაცვის მინისტრის მიერ განსაზღვრული ნორმატიული აქტის (!)) საფუძველზე მომიხსნეს. დიახ, «...პენსიის დანიშვნის წესი და პირობები განისაზღვრება მინისტრის ნორმატიული აქტით» («სახელმწიფო პენსიების შესახებ» კანონი, მუხლი 13, პუნქტი 3), რომლის საფუძველზეც მოქმედებს კანონქვემდებარე (!) ნორმატიული აქტი, დამტკიცებული სააკაშვილისდროინდელი ჯანდაცვის ვაიმინისტრ ლადო ჭიპაშვილის 2006 წლის 10 თებერვლის ბრძანებით (46/6)! და, ეს მახინჯი წესი, ისევე, როგორც ბევრი სხვა, დღემდე ვერ შეცვალა «ქართული ოცნების» მთავრობამ**

**ბატონო პრეზიდენტო, ქალბატონო სალომე, თქვენც თვლით, რომ ეს სამართლიანია და უნდა გავჩერდე, დავკმაყოფილდე „საგამონაკლისო წესით მონიჭებული“ ასეთი მოქალაქეობით?!**

მაგრამ, რა ვუყოთ ჩემთვის მოხსნილ პენსიას? **ნუთუ, სახელმწიფოს მიერ ჩემი ხელფასიდან ყოველთვიურად დაქვითული და პენსიისთვის გამიზნული ფულის მითვისებაც სამართლიანია?!** როდესაც სახელმწიფო სხვა ფორმითაც (ერთჯერადად და შესაბამისი ინდექსაციით) არ მიბრუნებს ჩემს ფულს უკან, მაშინ ეს ხომ სახელმწიფოს მხრიდან ჩადენილ აშკარა დანაშაულზე, სხვისი კუთვნილის მითვისებაზე მეტყველებს, რომელსაც ჩვენში „უთოფო ყაჩაღობას“ უწოდებენ?! თქვენთვის, ალბათ, წარმოსადგენადაც კი ძნელი იქნება, ერთ მშვენიერ დღეს საფრანგეთის მთავრობამ რომ გამოგიცხადოთ: ვინაიდან საქართველოში პენსია დაგენიშნათ, აქაური 30-წლიანი შრომით დამსახურებული პენსია მოგეხსნათ და, თუ გნებავთ, საკონსტიტუციო სასამართლოში იჩივლეთო. სწორედ ჩემი და ჩემისთანების, ორი მილიონი ემიგრირებულის, მიერ ყოველწლიურად გადმოგზავნილ–შემოტანილი სამი მილიარდი(!) დოლარის წყალობით უდგას პირში სული საქართველოს დღეს და არა პოლიტიკოსების არჩეული (თუ მათთვის თავსმოხვეული) საგარეო ან საშინაო პოლიტიკის წყალობით. **ამორალურია, როდესაც ჩვენ უცხოტომელებთან გვათანაბრებენ უფლებებში და მრავალწლიანი შრომით დამსახურებულ პენსიას გვიხსნიან.**

ქალბატონო სალომე, წლების წინათ მე თქვენ პრეზიდენტობა გიწინასწარმეტყველეთ და გისურვეთ კიდეც, რადგანაც, უპირველესად, თქვენი ოჯახიშვილობის, სიმტკიცისა და გამბედაობის მეიმედებოდა!

**პატივისცემით,**

**იაკობ ლეჟავა**

**17 იანვარი, 2022 წელი**

**593 55 04 00**

**ნუთუ სახელმწიფოს მიერ ჩემი ხელფასიდან ყოველთვიურად დაქვითული და პენსიისთვის გამიზნული ფულის მითვისებაც სამართლიანია?! როდესაც სახელმწიფო სხვა ფორმითაც (ერთჯერადად და შესაბამისი ინდექსაციით) არ მიბრუნებს ჩემს ფულს უკანვე, მაშინ ეს ხომ სახელმწიფოს მხრიდან ჩადენილ აშკარა დანაშაულზე, სხვისი კუთვნილის მითვისებაზე მეტყველებს, რასაც ჩვენში «უთოფო ყაჩაღობას» უწოდებენ. თქვენთვის, ალბათ, წარმოსადგენადაც კი ძნელი იქნება, ერთ მშვენიერ დღეს საფრანგეთის მთავრობამ რომ გამოგიცხადოთ: ვინაიდან საქართველოში პენსია დაგენიშნათ, აქაური 30-წლიანი შრომით დამსახურებული პენსია მოგეხსნათ და, თუ გნებავთ, საკონსტიტუციო სასამართლოში იჩივლეთო**



მწარე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როგორც პატრიარქი ამბობს, უმადურობა ამპარტავანთა, ანუ ყველაზე დიდი და საშინელი ცოდვის მქონეთა ერთ-ერთი თვისებაა; მაშინ, როდესაც გულწრფელი მადლიერება თავმდაბლობის გამოხატულებაა და მხოლოდ თავმდაბალ ადამიანებს ახასიათებთ. ასე რომ, ილია მართალს ამპარტავანთა უმადურობამ ვერც მის ეპოქაში დააკლო რამე და ვერც XXI საუკუნეში დააკლებს, სულ ტყუილად ირჯებიან.**

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

# ნოდარ დუმბაძე: ილია იქ დგას, მომავალ საუკუნეებში, და ყოველი წელი არათუ განშორებაა მასთან, არამედ მიახლოება

**„მე ილია ვარ...“**
**ეტლში კლდესავით**
**წამოდგა სახით უუკვდავესით**
**და გაწყდა სიტყვა:**
**– „რას მოვესწარი,**
**როგორ დავკნინდით,**
**როგორ დავეცით...“**
*ირაკლი აბაშიძე*

**„უმადურობა ამპარტავანთა, ანუ ყველაზე დიდი და საშინელი ცოდვის მქონეთა ერთ-ერთი თვისებაა“, — ბრძანებს უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე საშობაო ეპისტოლეში და უფლის მიმართ მადლიერებაზე ვრცლად საუბრობს, რომ ღვთისადმი მადლიერების გამოხატვა საჭიროა როგორც მთელი ერისთვის, ისე ცალკეული პიროვნებისთვის, რადგან ასეთი დამოკიდებულება მადლის მოპოვების უმარტივესი და ერთ-ერთი უმთავრესი საშუალებააო.**

**შინაური ცხოველები და მხეცებიც კი ავლენენ სიყვარულს კეთილისმყოფელთადმი და რაოდენ გვმართებს ადამიანებს, ეს განცდა გამოვხატოთ უპირველესად უფლის და შემდგომ იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც თავიანთი განვლილი ცხოვრებითა და მამულისთვის ფასდაუდებელი სამსახურისთვის ამას იმსახურებენ.**



**«ნუთუ იქამდის დავკნინდით, დავკარგეთ ადამიანობა, ნამუსი, დავიბრმავეთ გონება, რომ ამისთანა აზრები ღორძინდება საქართველოში? ნუთუ ვისმე ფანატიკოსებს ჰგონიათ, რომ ილიების ხოცვით მოჰკლავენ თვით იდეას, რომელიც უკვდავია და რომელსაც მხოლოდ ილიასთანა ადამიანებს შეუძლიანთ ემსახურონ და არა უძლურთ, უნიჭოთ, უვიცთ და საზოგადოების ნაძირლებს! ილიასთანა ადამიანებს სიცოცხლეშივე ძეგლებს უდგამენ უცხოეთში, ხოლო ჩვენ კოცონზე ვწვავთ, ვკლავთ, როგორც ავაზაკებს... საბრალო ჩვენო თავო, საწყალო საქართველოვ!»**

მართალია, არც დღეს და არც წარსულში მავანთა უმადურობა არავის აკვირვებდა და დიდ კონსტანტინე გამსახურდიას ასეთი მწარე დასკვნის გაკეთებისკენაც კი უბიძგა:

**„ოდითგანვე ასე მოგვდგამს ქართველებს: მუდამ ჩვენს სიმცირეს მივსტიროდით, რადგან მტერი აურაცხელი გვყავდა მუდამ, მაგრამ, დიდი კაცი თუ გამოგვერია, მას ისე დავკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები“.**

ჩვენი უბედურება ამჟამადაც ეგაა: ჩვენში მოღალატენი სჭარბობენ ერთგულებს, განა სხვისი, საკუთარი თავის, საკუთარი ხალხის მოღალატენი... მაგრამ მაინც გული გტკივა და ბრაზი გერევა, როდესაც ვილაც უბედურ ვარსკვლავზე დაბადებული, ღვთისპირიდან გადავარდნილი ერისთვის წმინდას და სათაყვანებელს ტალახს ესვრის, იმ ტალახს, რომელშიც თავად ყელამდეა ჩაფლული. დღეს ხომ „სიტყვის თავისუფლებაა“, ვისაც რა უნდა, იმას ამბობს და კაცი არ არის მისი განმკითხავი, საკუთარი ნამუსის გარდა, მაგრამ, თუ ნამუსთანაც მწყრალად არის, მაშინ საამურია მისთვის ცხოვრება.

ჰეროსტრატემ, ეფესოს ახალგაზრდა მკვიდრმა, რომელმაც ცეცხლი წაუკიდა არტემიდას ტაძარს, მსოფლიოს რვა საოცრებიდან ერთ-ერთს, აღიარა, ეს იმითვის გააკეთა, რომ მისი სახელი თაობიდან თაობას გადასცემოდა და დარჩენილიყო შთამომავალთა მახსოვრობაში. „ჰეროსტრატეს დიდება“ გახდა ფრთიანი ფრაზა, რომელიც ადამიანის მარადიული სირცხვილის ტოლ დიდებას ნიშნავს.

თქვენც მსგავსი დიდების წყურვილმა გაცდუნათ XXI საუკუნის გიგლა ბერბიჭაშვილებო?!

თუნდაც წამით მაინც თუ გაგივლიათ გულში, თავად რას წარმოადგენთ, რა შექმენით, რა გააკეთეთ ქვეყნისთვის ისეთი, რომ ერის მამად წოდებულ, მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილ მამულიშვილს ლანძღავთ, საქციელს უწუნებთ?!

**როგორც პატრიარქი ამბობს, უმადურობა ამპარტავანთა, ანუ ყველაზე დიდი და საშინელი ცოდვის მქონეთა ერთ-ერთი თვისებაა; მაშინ, როდესაც გულწრფელი მადლიერება თავმდაბლობის გამოხატულებაა და მხოლოდ თავმდაბალ ადამიანებს ახასიათებთ.**

**ასე რომ, ილია მართალს ამპარტავანთა უმადურობამ ვერც მის ეპოქაში დააკლო რამე და ვერც XXI საუკუნეში დააკლებს, სულ ტყუილად ირჯებიან.** ილიას მაგინებელნი კი, ისევე როგორც მის მკვლელებზე ამბობდა ვაჟა-ფშაველა, **„შესაბრალისნი, ყოვლად საწყალნი, ყოვლად გამოთაყვანებულნი, უვიცნი, ზნეობით გათახსირებულნი და ბრმანი უნდა იყვნენ, სატირელნი და სავალალონი ჩვენ ქართველებისგან. სხვა რა ვთქვათ?“**

„საგურამოში, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში, შავ ხავერდზე პატარა, ფრჩხილისოდენა ტყვია დევს, ბერდანის ტყვია, რომელმაც 1907 წლის 30 აგვისტოს ჯერ ილია ჭავჭავაძის და მერე მთელი საქართველოს გულში გაიარა. და ახლა დევს ეს ტყვია მუზეუმში, როგორც შემზარავი სახსოვარი ერის ტკივილისა, განცვიფრებისა, სასოწარკვეთისა, აღშფოთებისა და მრისხანებისა.

ახლა ყველაფერი ეს ისტორიაა, — იტყვის ვინმე, მაგრამ შეიძლება ერისათვის ისტორიად იქცეს ენა მისი, ანბანი მისი, აზრი მისი, გონება მისი და დროშა მისი?! განა შეიძლება წარსულად იქცნენ ჰომეროსი, დანტე, სერვანტესი, რუსთაველი, პუშკინი, ილია — ადამიანები, რომლებიც დროშასავით უძღვიან წინ თავიანთ ერებს დღიდან დაბადებისა და საუკუნიდან საუკუნეში უნათებენ გზას? ცხადია, არა.

**ილია იქ დგას, მომავალ საუკუნეებში, და ყოველი წელი არათუ განშორებაა მასთან, არამედ მიახლოება.**

**ადამიანებს ბავშვობაში ვარსკვლავები ისეთი პატარები და ახლობელი გვეჩვენება, როგორადაც კიაფობენ და ჩანან ისინი ცის კაბადონზე. მხოლოდ შემდეგ, ბუნების კარს რომ შევაღებთ, ვხვდებით, თუ რაოდენ დიდია ყოველი მათგანი, რამხელა ენერგიას ინახავს, რა ვეებერთელა მაგნიტური ველი და რაოდენ დიდი მიზიდულობა გააჩნია თითოეულ მათგანს.**

**სწორედ ასეთი ვარსკვლავია ქართველი ერისთვის უკვდავი სახელი ილია ჭავჭავაძისა და მარადიულია სხივი გამომდინარე მისგან** *(ნოდარ დუმბაძე, „დიდი ილია“).*

„ილია რო მოჰკლეს! — მითხრა ერთმა ჩემმა ნაცნობმა მწუხარე და თან გაკვირვების კილოთი. თავზარი დამცა ამ ამბის გაგონებამ და ათასი კითხვა აღმიძრა: ვინ მოჰკლავდა, ნეტავ, ილიას? განა შეიძლება ამისთანა ადამიანის მოკვლა? **ნუთუ ქართველებმა შეახეს ხელი თავის მამას, ქართველთათვის თავდადებულს, თავის ერისთვის მოჭირნახულე ადამიანს? იქნებ უცხოელებს შეჰშურდათ ჩვენთვის ეს მართლაც ერთადერთი ბურჯი ჩვენის ქვეყნისა, ბურჯი ჭკუით, ნიჭით და გამოცდილებით?** ათასი ამისთანა კითხვა დამებადა თავში და დღესაც კი, დღეს, როცა ეს სტრიქონები იწერება, არ ვიცი მიზეზი ილიას სიკვდილისა. ვიცით მე და თქვენ, მკითხველო, მხოლოდ ფაქტი, რომ მოგვიკლეს საუკეთესო, პირველი ადამიანი, ჩვენის მწერლობის სულის ჩამდგმელი, მოღვაწე, დიდი მოამაგე ქართველ ერისა. რომელი ერთი ჩამოვთვალო ილიას ღვაწლთაგანი? ეს ყველამ კარგად უწყის. საშინელი, მეტისმეტად ბარბაროსული მკვლელობაა, რომლის მსგავსი არსად, არა ქვეყანაში არ მომხდარა და არც მოხდება! მხოლოდ საწყალს, უბადრუკს, უბადრუკის შვილების პატრონს საქართველოში შეიძლება ამისთანა მკვლელობა... საზარელი ფაქტია, საზარელი მოქმედებაა, საშინელი აზრის პატრონნი უნდა იყვნენ ამ მკვლელობის ჩამდენნი. აშკარაა და აშკარად ვიტყვი: **ილიას მკვლელებს რომ შეეძლოთ, საქართველოსაც მოჰკლავენ.**

**აბა კარგად ჩაუკვირდით საქმეს, თუ ასე არ არის, დიაღ, ასეა და ეს არის კიდეც უბედურება, დიდი უბედურება, ჩვენს თავზე მოვლენილი. უგუნურთ ნუთუ არ იციან, რომ საუკეთესო ადამიანების ხოცვა, კვლა, მოკვლაა მთელის ქვეყნისა.**

სოფელი ვინ და ერთი კაციო. **ნუთუ იქამდის დავკნინდით, დავკარგეთ ადამიანობა, ნამუსი, დავიბრმავეთ გონება, რომ ამისთანა აზრები ღორძინდება საქართველოში? ნუთუ ვისმე ფანატიკოსებს ჰგონიათ, რომ ილიების ხოცვით მოჰკლავენ თვით იდეას, რომელიც უკვდავია და რომელსაც მხოლოდ ილიასთანა ადამიანებს შეუძლიანთ ემსახურონ და არა უძლურთ, უნიჭოთ, უვიცთ და საზოგადოების ნაძირლებს! ილიასთანა ადამიანებს სიცოცხლეშივე ძეგლებს უდგამენ უცხოეთში, ხოლო ჩვენ კოცონზე ვწვავთ, ვკლავთ, როგორც ავაზაკებს... საბრალო ჩვენო თავო, საწყალო საქართველოვ!**

რა ვთქვათ მკვლელებზე, ამ საცოდავს მეოცე საუკუნის ჰეროსტრატებზე? რა ადამიანები უნდა იყვნენ ილიას მკვლელები? როგორ მოვიხსენიოთ ისინი? როგორ მოვექცნეთ ამ უბადრუკებს? ნუთუ ისე, როგორც გვირჩევს ამ დღეებში დაბეჭდილი მოწოდება ქართველთადმი — ცეცხლი და მახვილი მკვლელებსაო. ესღა გვაკლია, რომ ბარბაროსობას კიდევ სხვა ბარბაროსობა დავურთოთ ზედ, დავერივნეთ ერთმანეთს, ვხოცოთ, ვჟლიტოთ ერთმა მეორენი და გავახაროთ ისედაც ჩვენის უბადრუკობით გალაღებული მტერი? ღმერთმა დაგვიფაროს, ღმერთმა გვაშოროს ამისთანა საქციელი... ნაღვლით და ბოღმით აღსავსე მე ასე ვსჯი, რომ **ილიას მკვლელნი შესაბრალისნი, ყოვლად საწყალნი, ყოვლად გამოთაყვანებულნი, უვიცნი, ზნეობით გათახსირებულნი და ბრმანი უნდა იყვნენ, სატირელნი და სავალალონი ჩვენ ქართველებისგან**. სხვა რა ვთქვათ? სხვა რა ვიფიქროთ? სისხლი სისხლისთვის? ცოდვა მივუმატოთ ცოდვას? სირცხვილს-სირცხვილი? განა იმათ ადამიანების ერთი ბეწო ნიშანწყალი რომ ჰქონდეთ, იზამდნენ ამას? მოჰკლავდნენ ამისთანა ადამიანს, რაც უნდა მისგან ნაწყენნიც იყვნენ? არა. არ არიან ისინი ადამიანები, უნდა შევრაცხოთ მხეცებად, პირუტყვებად, და პირუტყვებზე როგორ ვიძიოთ შური, ისე, როგორც ადამიანზე, ეს ხომ ჩვენივე სირცხვილია, ჩვენის ადამიანობის დამცირებაა? მოჰკლეს ილია!.. მაგრამ ვერ მოჰკლეს, ვერა! მისი ხსოვნა უკვდავია, ვიდრე საქართველო იქნება. დიაღ, ვერ მოჰკლეს, რადგან **თუ რამდენიმე, თითებზე დასათვლელი ადამიანი ხარობს ილიას სიკვდილით, ასი ათასი მისტირის ამ ჩვენს სასიქადულო მამულიშვილს და რამდენიც ხანი გაივლის, მით უფრო, დაკლების მაგივრად, გრძნობა სიბრალულისა და სიყვარულისა მოიმატებს ერის გულში.** „საწყალი ილია, საწყალი ილია!“ — მესმის გულსაკლავად წარმოთქმული აქეთ-იქიდან სიტყვები მამათა და დედათა მიერ.

საწყალი ილია? არ არის ილია საწყალი, ვინაიდან მან აასრულა თავისი მოვალეობა წინაშე თავისი ქვეყნისა. იბრძოლა, იღვაწა ჩვენს სასარგებლოდ და დაღლილ-დაქანცული მიებარა ცივს სამარეს, ჩაიყოლა თან ისევ ჩვენი დარდი, დარდი თავისი ქვეყნისა... გაიყოლა თან ის ტყვიები, რომლითაც ჩვენ იმას გაუმასპინძლდით, წყლულები ჩვენ მიერ დაჩნეული. ჩაიყოლა თან ყველა ეს ჩვენ მიერ მიძღვნილი, სასიქადულო ძღვენი, მაგრამ ილია იმდენად ჭკვიანია, იმდენად უყვარს ქართველები და საქართველო, რომ მამა-პაპათა წინაშე დაჰმალავს ტყვიებსაც, წყლულებსაც, რომ ჩვენზე ცუდი არ ათქმევინოს და არ აფიქრებინოს, არ გააჯავროს ჩვენზე ისინი. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, ჩვენო იმედო, ჩვენო საყვარელო, ილიავ!“ *(ვაჟა-ფშაველა).*

თუ დიდი ვაჟა-ფშაველა ამბობს, რომ ილია ჩვენი მწერლობის სულის ჩამდგმელი, მოღვაწე და მოამაგე იყო ქართველ ერისაო, რომელი ერთი ჩამოვთვალო ილიას ღვაწლთაგანიო, ამ ბუმბერაზ ადამიანთა ჩრდილქვეშ ვინ ოხერია სამსონ ბალახაშვილი, ყველაზე სანდო წყაროდ რომ მიუჩნევია „თბილისური ამბების“ ავტორს?! **მისგან ნასროლი ტალახი, დიდ ერისკაცს არ მოხვედრია, აი თვითონ კი ყელამდე ჩაეფლო მასში, ილია კი „იქ დგას, მომავალ საუკუნეებში, და ყოველი წელი არათუ განშორებაა მასთან, არამედ მიახლოება“.**

**ვისაც ილიას საპროგრამო სიტყვა წაუკითხავს, რომელიც მან წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე წარმოთქვა, თუ გონებადაბინდული ან მტრობით აღვსილი არ არის, როგორ უნდა თქვას, ილიას საქმიანი კაცები არ უყვარდა და ლაზღანდარებთან მეგობრობდაო. შე „კაი კაცო“, ისე რამ გადაგრია, რომ ქართველთა განათლებაზე გადაგებული მოღვაწე „ლაზღანდარების“ მეგობრად გამოაცხადე?!**

ქრიტიკა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გამიზნული «ბოროტი უვიცობა»

## რატომ, ძმებო, შვილებო და შვილიშვილებო, რატომ? რამ შეგაძულათ ქართველებს საქართველო? — ამას ტიროდა დიდი ვაჟა და ეს გაგვიხდა ჩვენც სატირლად

**ამ რამდენიმე დღის წინათ მეგობარი მეწვია, ცნობილი ქართველი პატრიოტი, ეროვნული იდეის ერთგული და თავდადებული კაცი. წიგნის დიდი მოყვარულიც არის, თვითონ არ წერს, მაგრამ სხვათა ნაწერების კარგი გამგები და შემფასებელია. მის ვინაობას ნებართვის გარეშე ვერ გავამხელ, ასეთი ნებართვა კი მას ჩემთვის არ მოუცია... მოვიდა და ერთი პატარა წიგნი დამიდო წინ. „თბილისური ამბავი“ აწერია ყდაზე, ცოტა ზემოთ — ავტორის სახელი და გვარი. არ მეცნო, არც ავტორის სახელი და გვარი მეუბნებოდა რამეს, თუმცა გვარი ერთობ ცნობილია საქართველოში.**




გაკვირვებულმა შევხედე.

ეს წიგნი ერთი ჩემი ნათესავის სახლში ვნახე, დავინტერესდი და წავიკითხე, ნეტავი არ წამეკითხაო, — მითხრა მეგობარმა, — ამაზე მეტი მკრეხელობა არც წამიკითხავს და არც გამიგონიაო. რა წერია ასეთი-მეთქი. რაღა რა, ილია ჭავჭავაძეა გალანძღულიო.

გამიკვირდა. გადავშალე და 2012 წელს გამოუცია ეს წიგნი ბაკურ სულაკაურის გამომცემლობას. ჩემი გაკვირვება გაოცებად იქცა. ნუთუ?

რამდენიმე ცნობილ ლიტერატორს მივაკითხე, ჩემი აღშფოთება გამოვხატე და ვთხოვე, წაეკითხათ და აზრი საჯაროდ გამოეთქვათ, მაგრამ, არც წაიკითხესო! გვარებიც დამისახელა, მაგრამ არვამხელ, დიდ პატივს ვცემ თითოეულ მათგანს და იმიტომ.

არ ვიცი, თავი არ გაუყადრეს წიგნის ავტორს თუ უმნიშვნელოდ მიიჩნიეს მავანის მკრეხელური მოსაზრება უდიდეს ქართველ ერისკაცსა და წმინდანზე! — გულისტკივილით შემომჩივლა მეგობარმა.

დამიტოვე-მეთქი, ვუთხარი, შეძლებისდაგვარად გამოვეხმაურები, თუმცა ნამეტნავად დაგვიანებული კი არის ცხრა წლის წინათ გამოცემულ წიგნზე აღშფოთების გამოხატვა-მეთქი.

დამიტოვა და წავიკითხე. მართლა ძალიან დამწყდა გული. ვერ დავიჯერებ, რომ ავტორმა არ იცის ილია ჭავჭავაძე, ერის მამა და მოძღვარი, რომელმაც მოწამეობრივი სიკვდილით დაასრულა ამქვეყნიური ყოფა და არსებობა განაგრძო, როგორც ქართველმა წმინდანმა. „ილიას მკვლელებს რომ შეეძლოთ, საქართველოსაც მოკლავდნენ“ (ვაჟა-ფშაველა); „ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველო“ (აკაკი); „წიწამურში რომ მოჰკლეს ილია, მაშინ ეპოქა გათავდა დიდი“ (გალაკტიონი). ასე გამოეხმაურნენ თანამედროვეები უდიდესი ქართველი მოღვაწისა და ჭეშმარიტი ეროვნული მოძრაობის მედროშის, ერთიანი ეროვნული ცნობიერების საფუძვლის ჩამყრელის მკვლელობას.

ილიას მკვლელი **გიგლა ბერბიჭაშვილი** უსწავლელი კაცი იყო, რომელიც ადვილად გააბრიყვეს ერის მტრებმა. მან საკუთარი თავი თვითონ გასცა, როდესაც უცხოეთიდან დაბრუნებულმა პენსია მოითხოვა „დიდი დამსახურებისათვის“ — ილია ჭავჭავაძეს მე ვესროლეო. დაიჭირეს და ვერც კი გაიგო, რისთვის მიუსაჯეს დახვრეტა. უსწავლელი იყო, ბნელი...

ამ წიგნის ავტორი ლაშა იმედაშვილი, არა მგონია, უსწავლელი კაცი იყოს და მისი პუბლიცისტობა თუ ბელეტრისტობა მხოლოდ ბოროტი უვიცობის გამოვლინებად უნდა მივიჩნიო.

წიგნში მეცხრამეტე საუკუნის თბილისური ამბავი (თუ ამბებია) გადმოცემული, რომელიც იმდროინდელ ჟურნალისტს (?) ვიღაც **სამსონ ბალახაშვილს** „შემოუნახავს“ ლაშა იმედაშვილისთვის.

კარგი, დავუშვათ ილიას თანამედროვე ბალახაშვილმა შემოინახა ის სისულელეები, რომლებსაც თითქოს იგი შეესწრო, მაგრამ რა საბუთი აქვს განათლებულ ლაშა იმედაშვილს, რომ ის ვიღაც სამსონ ბალახაშვილი ქართველია და არა გაქართველებული მტერი, რომელიც მზაკვრულად ცდილობს ქართველთა სათაყვანებელი ეროვნული ლიდერის სახელის გატეხვას? მან კარგად იცის, რომ ქართველები თავიანთ გამორჩეულ ადამიანებს არასოდეს აფასებენ, სიცოცხლეში მაინც და შურით ივსებიან, — კარგები რატომ გამოგვრევიან ხოლმე ერში, ჩვენზე უკეთესებიო! რა, ერთი და ორი მაგალითი ვიცით ამისა? განა ამას არ ჩიოდა **ვაჟა-ფშაველა** ლექსში „გიორგი სააკაძის სურათზედ“: „კარგის დაღუპვა რატო გვენატრება, ჩემო სამშობლოვ, ჩემო სიცოცხლევ, არ გეკადრება, არ გეკადრება!“

განათლებულმა კაცმა, თუ ის ქართველია და ბოღმითა და შურით არ არის აღვსილი ქართველთა მიმართ, როგორ უნდა დაიჯეროს, რომ „ილიას არც სტუმრად უყვარდა სიარული და არც თეატრში მისვლა-მოსვლით იკლავდა თავს. ეს იმის ბრალი იყო, რომ მუსიკა არ ესმოდა, უფრო სწორად, სმენა არ ჰქონდა. ცოტა მეტს რომ დალევდა, აეშლებოდა სიმღერის საღერღელი, მაგრამ ვერაფერს ახერხებდა“ („თბილისური ამბები“, გვ. 86).

რა ჭკუა უნდა მოსთხოვო ამის დამწერსა და მის გადმომწერს?!

ილია ჭავჭავაძის სტუმრობა მოვლენა იყო საქართველოს იმ სოფლის, ქალაქისა თუ რეგიონისთვის, რომელშიც ის ჩავიდოდა. მასაც სტუმრობდნენ იმ დროის ღირსეული კაცები. კაცი თუ სრულ ჭკუაზეა და განათლებაც ხელს უწყობს, რაღა ვიღაც გათახსირებული კაცის სულელურ ჩანაწერებს გამოამზეურებს; **იაკობ მანსვეტაშვილის** მოგონებებს გამოიყენებს, რომელიც ილიას თანამედროვე და მასთან საქმით დაკავშირებული ახლობელი ადამიანი იყო. **მანსვეტაშვილს ილიას ლხინიც აქვს აღწერილი და ისიც აღნიშნული, რომ მას ნამდვილად ჰქონდა მუსიკალური სმენის დეფიციტი, ამიტომ სუფრასთან მომღერლებს კარგ პარტნიორობას ვერ უწევდა, მაგრამ ეს გვიშლის ხელს სტუმრად სიარულსა თუ მასპინძლობაში?** მეტსაც ვიტყვი: **აკაკი წერეთლის ვაჟს, ალექსისაც არ შეეძლო სიმღერა, შინაგანი სმენა აკლდა, მაგრამ სხვათა სასიმღერო ტალანტის უბადლო შემფასებელი იყო. სწორედ მასთან მიჰყავდათ რუს და ევროპელ არისტოკრატებს შესაფასებლად თავიანთი შვილები.**

არც თეატრში მისვლა-მოსვლით იკლავდა თავსო, — ეს იმ ვიგინდარა ე.წ. ბალახაშვილმა თუ დაწერა, დღევანდელმა მწერალმა უნდა გაიმეოროს? **„თეატრში მისვლა-მოსვლა“ რა უბედურებაა, მაცოდინა ნეტავი! იმის თქმა გინდა, ლაშა, ბიძია, რომ ილიამ თეატრის ყადრი და მნიშვნელობა არ იცოდა? ის მაინც არ გაგიგია, რომ მან ივანე მაჩაბელთან ერთად შექსპირის დიდებული პიესა თარგმნა? არც ის იცი, როგორ გულშემატკივრობდა ქართულ თეატრს? აბა, მარტო სამსონას ბოროტი ნაბჟუტურევი იცი? არა მგონია!**

„ერთხელ მაინც დაითანხმეს ოპერაში წასვლაზე. ეს მოახერხა ვინმე **სოსიკო ბაქრაძემ“** (გვ. 86).

ახლა არ იკითხავთ ვინ იყო სოსიკო ბაქრაძე? — ერთი ქარაფშუტა კაცი, რომელსაც მუდმივი საქმე არასოდეს ჰქონია: ერთ დღეს ბანკში მუშაობდა, შემდეგ ცირკში გადაინაცვლებდა ჯამბაზად, მერე კარუსელს გამართავდა. მოკლედ, ერთი ლაზღანდარა, თითქმის უსაქმური კაცი იყო. **„ილიას უყვარდა ასეთი ტიპები, რაც სოსიკოს შელაზღანდარების საშუალებას აძლევდა“, — იგონებდა, ალბათ, ბალახაშვილი და თავის წიგნში აღნიშნავს ლაშა იმედაშვილი.**

დიდ ილიას უსაქმური და ლაზღანდარა კაცები უყვარდა, თურმე, და მათთან მეგობრობდა! ახლა, რაც ენაზე მომადგა, იმას ვიტყვი: ვაი, თქვენს პატრონს, სამსონ და ლაშა!

**ილია ჭავჭავაძე დღენიადაგ იმას უქადაგებდა ერს, რომ „კეთების ცოდნა“ (ილიას ტერმინია) შეიძინეთ, რადგან წინათ თუ ხმლით მოდიოდა მტერი, ქართველიც ხმალს ახვედრებდა და თავს იცავდა; ახლა მტერი ხმლით აღარ მოდის, ცოდნითა და სახელოსნო იარაღებით მოდის და, თუ ჩვენ ასეთივე იარაღით არ დავხვდით, გადაგვთელავენო. ვისაც ილიას საპროგრამო სიტყვა წაუკითხავს, რომელიც მან წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე წარმოთქვა, თუ გონებადაბინდული ან მტრობით აღვსილი არ არის, როგორ უნდა თქვას, ილიას საქმიანი კაცები არ უყვარდა და ლაზღანდარებთან მეგობრობდაო?! შე „კაი კაცო“, ისე რამ გადაგრია, რომ ქართველთა განათლებაზე გადაგებული მოღვაწე „ლაზღანდარების“ მეგობრად გამოაცხადე?!**

ლაზღანდარების მეგობარი კი არა, ილია ჭავჭავაძეს თავისი ეროვნული კუთვნილებაც კი არ სცოდნია, თურმე!

„ილიამ უცხო ენები არ იცოდა. მართალია, ამაზე სწუხდა, მაგრამ გამოსასწორებლად არაფერს ცდილობდაო“, — წერს ამ ე.წ. წიგნის უბედური ავტორი.

„— ერთხელ სოსიკომ, ნარდის თამაშის დროს ასეთი რამ უთხრა:

— ილია, ეს სომხური მაინც შეისწავლე, ნახევარი გვერდი ხომ მაინც სომხისა მოგდევს.

— მერე, რომელ ფილოსოფიურ ტრაქტატებს წავიკითხავ მაგ ენაზე? ბაზარში კი მე არ დავდივარ, — მოჭრა ილიამ და კამათლის გაგორება განაგრძო“ (გვ. 87).

ხედავთ, დასთანხმებია ილია იმ სულელ სოსიკოს. იმ უტვინო სოსიკოს ვეღარაფერს გავაგონებ, მაგრამ ამ „პატივცემულ“ ლაშას ვეტყვი: ბიჭო, ილიას დედა თავადი ბებურიშვილის ქალი იყო. მამამისმა გრიგორიანული სარწმუნოება თუ მიიღო, ეს იმიტომ, რომ პირველი გილდიის ვაჭრების წინამძღოლი გახლდათ, სომხური ქრისტიანობა მიიღო, თორემ სომეხი კი არ გამხდარა, ისე, როგორც ქართველი კათოლიკეები არ გამხდარან ფრანგები თუ იტალიელები. ეს არ იცოდა ილიამ, ხომ? ამიტომ დაეთანხმა იმ სულელ სოსიკოს, არა?

რა უნდა გითხრა: ან ჭკვიანი მტერი ხარ, ან სულელი მოყვარე! სხვას ამჯერად ვერაფერს გეტყვი.

ახლა ერთ „ამბავსაც“ გაგაცნობთ ამ ე.წ. წიგნიდან და საბოლოო შეფასებასაც გავაკეთებ.

მკითხველს ვთხოვ, მოთმინება მოიკრიბოს და ყურადღებით წაიკითხოს ის, რაც ახლა ლ. იმედაშვილის წიგნიდან უნდა ამოვწერო.

„ამ აბეზარმა სოსიკომ დაპატიჟა (?!) ილია ოპერაში. იმხანად სოსიკო თეატრის დასში ირიცხებოდა მებარაბნედ და ამიტომ ზედმეტსახელად ბარაბანჩიკს ეძახდნენ.

— ილია, დღეს საღამოს ოპერაში მობრძანდით, „ტრავიატას“ თამაშობენ, გამოჩენილ იტალიელ მომღერლებს მოისმენო.

— კარგი, სოსიკო, წამოვალ, მხოლოდ ერთი პირობით, სიტყვა მომეცი, ამისრულო, რაც დაგავალო.

— ბატონი ბრძანდებით, თქვენი ყურმოჭრილი ყმა ვიყო.

— მაშ, აბა, როდესაც ორკესტრი მიწყნარდება და მომღერალი ქალი სიმღერის ეშხში შევა, რაც ძალი და ღონე გქონდეს, ბარაბანს დაჰკა მაგრად.

— ბატონი ბრძანდებით, მაგაზე ადვილი რა არის“ (გვ.87)

მეტს ველარ გავაგრძელებ, მხოლოდ გეტყვით, რომ **ილია თურმე პარტერის პირველ რიგში იჯდა, მარტოდმარტო! ოპერაში მარტო ვინ დადიოდა, ვინმე ბოგანოს გარდა, ბოგანოები კი პარტერის პირველ რიგში არ ისხდნენ. ეს ისე, გადავუხვიე, უნებურად. მოკლედ, სოსიკომ დავალება უნაკლოდ შეასრულა, ატყდა და რა ატყდა სკანდალი და საოპერო სპექტაკლი ჩაიშალა.**

გესმით, რას კადრულობს ეგ იმედაშვილი?

რა არის ეს — შიზოფრენიკის ნაბოდვარი, უკიდეგანო სიბრიყვე თუ... არა, არა! არც ერთი. **ეს არის გამიზნული ბოროტი საქციელი, რომელიც ყბადაღებული ნეოლიბერალიზმის ადეპტების დაკვეთით სრულდება. ერს არ უნდა ჰყავდეს სათაყვანებელი ისტორიული პიროვნებები, მან არ უნდა იცოდეს საკუთარი წარსული და არად უნდა აგდებდეს ეროვნულ ღირებულებებსა და წეს-ჩვეულებებს, რათა ადვილად გადააქციონ იგი უსახურ ბრბოდ და საძოვარზე მიშვებულ ნახირად.**

ხალხს შეუცვალეთ ჭეშმარიტი ღირებულებები ყალბი ღირებულებებით, თუ გსურთ, თქვენს ჭკუაზე ატაროთ იგი, — მოძღვრავდა **ალენ დალესი** თავის ემისრებს. ამგვარი ემისრები ბევრია ჩვენში, ზოგჯერ წარმატებასაც აღწევენ.

ბრიყვებში ინტელექტუალად შერაცხილმა, ავად ცნობილმა **ლევან ბერძენიშვილმა** არ თქვა ამ რამდენიმე წლის წინათ, — მე ილია ჭავჭავაძეს, როგორც მწერალს, არ ვიცნობ! აბა, რა ბაბასილს იცნობს, ნეტავი?! მაგრამ საქმე ის კი არ არის, ის იცნობს თუ არა ილია ჭავჭავაძეს, როგორც მწერალს, არა! ეჭვის ბოროტი თესლი ხომ ჩააგდო, იმ იმედით, რომ სადღაც მაინც გაღვივდება იგი. ასევე ინტელექტუალურად მიჩნეული **როსტომ ჩხეიძე** განა გულდაგულ არ იბრძოდა გიორგი სააკაძის ძეგლების დასანგრევად? სხვათა დასახელებაც შეიძლება. ამ ჩათლახ „მოღვაწეებს“ ქართველთა გულუბრყვილობისა და მეხსიერების დეფიციტის იმედი აქვთ? ამაოდ! მაგრამ ეროვნული ნიჰილიზმი ნამეტნავად გალაღდა ჩვენში და, თუ არ გავმეცადინდით, მალე ქართველობა სამარცხვინო გახდება ჩვენი შთამომავლობისთვის. ამის სიმპტომები აშკარაა!

რატომ, ძმებო, შვილებო და შვილიშვილებო, რატომ? რამ შეგაძულათ ქართველებს საქართველო? — ამას ტიროდა დიდი ვაჟა და ეს გაგვიხდა ჩვენც სატირლად.

როგორც ჩანს, მხოლოდ ტირილი და გულის ფხანა საქმეს არ შველის, როგორც დიდი ილია გვეუბნებოდა, ფხანა ქეცმა იცის, ნუ გავიქეციანებთ გულს, ბასრი მახვილით მოვიკვეთოთ ქეცის კერები!

**ზურაბ ცუცქირიძე**,
პედაგოგიკის დოქტორი,
საქართველოს
განათლების მეცნიერებათა
აკადემიის წევრი,
იაკობ გოგებაშვილის
პრემიის ლაურეატი

**P.S. წერილი ჯერ „ლიტერატურულ საქართველოში“ მივიტანე, მაგრამ მისმა რედაქტორმა, თავისთავად, ალბათ, კარგმა კაცმა, უარი თქვა მის დაბეჭვაზე იმ მიზეზით, რომ ლაშა იმედაშვილი ჩემი დიდი ხნის მეგობარია და ძალიან მეუხერხულება მასზე აუგის თქმაო. მწერალთა გაზეთის რედაქტორმა თქვა ეს. ვაი, ჩვენს პატრონს, თუ ჩვენს „მეგობარს“ წმინდანის, ბრძენისა და დიდი ქართველისთვის ტალახის სროლას მივუტევებთ და იმას ვერ ვხვდებით, რომ ის ტალახი, დიდ ერისკაცს კი არა, ჩვენ გვხვდება ცხვირ-პირში!**

**ზ.ც.**

პოზიცია

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშშ-დასავლეთისკენ დაჟინებული ლტოლვის შედეგად ბედშავი საქართველო აშშ-ის ნეოკოლონიად ჩამოყალიბდა. არავითარი დამოუკიდებელი, მით უმეტეს სუვერენული ის არ გახლავთ, ბატონებო. განა ვერ ხედავთ, როგორ თავხედურად ერევა აშშ-ის ქალბატონი ელჩი საქართველოს საგარეო თუ საშინაო საქმეებში?!**

# ხელისუფალნო, ოპოზიციის ძალებო, გონს მოდით, თქვენ საქართველოს ღუპავთ!

## გეოპოლიტიკური სიბრმავე და დანაშაულია ნატოში გაწევრების სურვილის კონსტიტუციით დაკანონება

**ბატონებო! ბევრჯერ მითქვამს და კვლავაც მოგაგონებთ: ქართული გეოგრაფიული სივრცის ობიექტურად ჩამოყალიბებული კანონზომიერება, მისი 700-კილომეტრიანი საერთო საზღვარი რუსეთთან დანაშაულად თვლის საქართველოს ნატოში ინტეგრაციას; ეს ვინმეს ახირება კი არა, თვით ქართული მიწის ძახილია; ეს ძახილი მე შევიცანი და თქვენ გასაგონად კიდევ ერთხელ ვამბობ, ბატონებო — ღარიბაშვილებო, ზალკანიანებო, სააკაშვილებო, ბოკერიებო, ხაზარაძეებო, გახარიებო და ა.შ.**

ასე როგორ დაგაბრმავათ, დაგაჩმორათ, დაგარეტიანათ თუ გამოგათაყვანათ ძია სემმა და წაგართვათ საღად აზროვნების, თვით აქსიომური ჭეშმარიტების შემეცნების უნარი?

თქვენ, ბატონებო, მხოლოდ იმისთვის იღვწით, რომ რაც შეიძლება მყარად და საბოლოოდ დავკარგოთ აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი და მათ ჯავახეთი და მარნეულიც ზედ მივაყოლოთ. წლების წინათ ჯავახეთის სომხების თავკაცმა აღასი არაბიანმა განაცხადა კიდეც: „თუ საქართველო ნატოში გაერთიანდება, ჩვენ, ჯავახელი სომხები, დავიწყებთ მოქმედებას გამოყოფისათვის“. წაიკითხეთ, ბატონებო, 2012 წლის №13 „საქართველო და მსოფლიო“ (გვ. 11).

თუ აზერბაიჯანელებმა, სომხებმა, აფხაზებმა და ოსებმა ჯეროვნად შეიმეცნეს ობიექტური კანონზომიერება — სამხრეთკავკასიური მიწის ძახილი და ნატო-ევროსტრუქტურებზე უარი თქვეს, თქვენ რა უბედურება დაგემართათ? ხარაბუზამ ასე როგორ დაგიბრიყვათ? გამოფხიზლდით!

ბატონებო, კარგად დააკვირდით, წაიკითხეთ რუსი მხატვრის, ანდრეი დოროფეევის, აქ წარმოდგენილი კოლაჟი. ყველაფერი ნათელია — დასკვნის გამოტანა არ გაგიჭირდებათ.

**ბატონებო პოზიციიდან და ოპოზიციიდან, ერთხელ კიდევ შეგახსენებთ ჩვენი სულიერი მოძღვრის — ილია მეორის მიერ ჯერ კიდევ 20 წლის წინათ, 2001 წლის სააღდგომო ეპისტოლეში ასახულ ბრძნულ რჩევას: „ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, ყველაზე მისაღები ნეიტრალიტეტის პოზიციაა“.**

ბატონებო, ასე როგორ დაყრუვდით, რომ ეს სასიცოცხლოდ აუცილებელი რჩევა ვერ შეისმინეთ? ჩვენს სულიერ წინამძღოლს რელიგიურ დღესასწაულებზე რომ ეახლებით და მის მიმართ ვითომ სიყვარულს გამოხატავთ, სინამდვილეში ყალბები, ცრუები და ფარისევლები ბრძანდებით.

მოგაგონებთ, რომ 2006 წლის ბოლოს და 2007 წლის დასაწყისში რუსეთის მაშინდელმა ელჩმა საქართველოში **ვ. კოვალენკომ** ორგზის განაცხადა: „საქართველოს სახით ჩვენ გვინდა მეზობლად გვყავდეს აყვავებული, დამოუკიდებელი და ნეიტრალური ქვეყანა; რუსეთი გამოხატავს ნებას, იყოს მისი ნეიტრალობის გარანტი“.

ბატონებო, ყოველივე ეს თავიდანვე ყურად რომ გვეღო, ტერიტორიებს აღარ დავკარგავდით და ვერც ბატონი **ერდოღანი** გვეტყოდა: როგორც რიზე, ისე ბათუმიც ჩვენიაო.

**ხელისუფალნო, ოპოზიციის ძალებო, საქართველოს უაღრესად მნიშვნელოვან, სტრატეგიულად მრავალმხრივ მომგებიან გეოგრაფიულ სივრცეს თქვენ ქვეყნისათვის სასარგებლოდ კი არა, მხოლოდ უაღრესად საზიანოდ და დამღუპველად იყენებთ; აქსიომაა ეს, მტკიცება არ სჭირდება.**

დასკვნა ერთია: **აშშ-დასავლეთისკენ დაჟინებული ლტოლვის შედეგად ბედშავი საქართველო აშშ-ის ნეოკოლონიად ჩამოყალიბდა. არავითარი დამოუკიდებელი, მით უმეტეს სუვერენული ის არ გახლავთ, ბატონებო. განა ვერ ხედავთ, როგორ თავხედურად ერევა აშშ-ის ქალბატონი ელჩი საქართველოს საგარეო თუ საშინაო საქმეებში?!**



„3+3“ ფორმატის ქვეყნების მოსკოვის 10 დეკემბრის ღონისძიებაში საქართველომ მონაწილეობა რომ არ მიიღო, შეცდომა კი არა, დანაშაულია! იმის დასტურია, რომ აშშ-ის მონა და კოლონია ვართ. ვაი, ჩვენს თავს, უბედურს!

ბატონებო, **თქვენ საქართველოს აშკარა მტრები ხართ: სამშობლოს გამყიდველებად იქეცით, როგორც გადატანითი, ისე პირდაპირი გაგებითაც, რადგან ათიათასობით ჰექტარი თვალმარგალიტი ქართული მიწა გადამთიელ უცხოტომელებზე გაყიდეთ. აბა, მითხარით, საბჭოეთის წლებში თუნდაც ერთი გოჯი ქართული მიწა უცხოტომელებზე თუ გაყიდულა? — ამის დასახელებას თქვენ ვერ შეძლებთ. მაშ, ვინ ყოფილან ქვეყნის პატრიოტები: თქვენ თუ ისინი, რომლებსაც ყოვლად უსინდისოდ და უსირცხვილოდ ავადმოსაგონებლებს რომ უწოდებთ, თუ თქვენ? ეს, დაე, მკითხველმა განსაჯოს.**

ბატონებო, თქვენი გაჯანსაღების მსურველი ვარ, გაგიმხელთ მკურნალს, რომელიც სრული ასი პროცენტით გამოგაჯანმრთელებთ; ეს არის გაზეთი „საქართველო და მსოფლიოს“ სიმართლით გაჯერებული დიდებული პუბლიკაციები; ყოველთვის იკითხეთ ისინი და ყველაზე დიდი უბედურებისგან — გეოპოლიტიკური სიბრმავისგან თავს დააღწევთ.

**ასეთ დროს, როცა თქვენ დამსახურებულ ბრალდებებს გიყენებთ, ჰორიზონტზე საქართველოს გადარჩენის იმედი გაჩნდა — ეს არის ახალი კონსერვატიული მოძრაობა. მე, 92 წლის ბერიკაცი, ამ მოძრაობას მხარს ვუჭერ, იმიტომ, რომ ის ქართული მიწის გეოპოლიტიკურ კანონზომიერებას, მის ძახილს ეხმიანება და შესატყვის სამოქმედო პროგრამას გვთავაზობს. კერძოდ, საქართველომ უარი უნდა თქვას წყეულ ნატოში გაერთიანებაზე, აირჩიოს ნეიტრალიტეტი, აღადგინოს დიპლომატიური ურთიერთობა და კეთილმეზობლური თანამშრომლობა მეზობელ რუსეთთან. ამით შეიქმნება საქართველოსთვის სასარგებლო გარემო და ტერიტორიული გამთლიანების პერსპექტივა.**

გაბედულად იმოქმედეთ, ახალო კონსერვატორებო! იცოდეთ, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი, მეტადრე შუა ხნისა და ზემოთ, თქვენ მხარეს დაიჭერს. ახალგაზრდობაც გამოფხიზლდება. არ შეგაშინოთ ქვეყნის მოღალატეების მიერ კონსტიტუციაში ჩადებულმა ნაღმმა — ნატოში შეძრომის სურვილმა.

ახალო კონსერვატორებო! იცოდეთ, ისტორია თქვენ მხარეზეა. ასეთია თვით მისი კანონზომიერი განაჩენი. მაშ, იმოქმედეთ!

თქვენი გამარჯვებისა იყოს, ახალო კონსერვატორებო! დარწმუნებული ვარ, აღმოჩნდებიან ისეთი ძალები, პოლიტიკური პარტიები, რომლებიც გვერდით დაგიდგებიან.

ჩემო ქართველებო, დავდგეთ ახალი კონსერვატიული მოძრაობის მხარეზე და ყველა ერთად გავიმარჯვებთ!

თქვენდამი კეთილი სურვილებით,

**გივი გურეშიძე,**
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი,
პოლიტოლოგი ქუთაისიდან

# გარდაიცვალა ოლიმპიური ჩემპიონი, მშვილდოსანი ქეთევან ლოსაბერიძე



**ლეგენდარული ქართველი მშვილდოსანი ქეთევან ლოსაბერიძე, რომელიც 72 წლისა გარდაიცვალა, იყო მშვილდოსნობაში 1980 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში (1973, 81), ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი (1972) და ორგზის ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში (1972,78).**

ქეთევან ლოსაბერიძე პირველი და ერთადერთი ოლიმპიური ჩემპიონი ქალია მშვილდოსნობაში ევროპის კონტინენტიდან.

2002-2005 წლებში იყო საქართველოს მშვილდოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით, ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენითა (2018) და ხალხთა მეგობრობის ორდენით.

მსოფლიო

# გერმანიაში მხარი დაუჭირეს ადმირალს, რომელმაც განაცხადა, რომ ყირიმი რუსეთისაა

**გერმანიაში მიიჩნევენ, რომ ევროკავშირში უკრაინის ადგილი არ არის, ხოლო ყირიმი რუსეთს სამართლიანად ეკუთვნის. ამას წერენ კომენტატორები, რომლებმაც წაიკითხეს პოპულარულ გამოცემა Der Spiegel-ში გამოქვეყნებული სტატია, რომ უკრაინა ბრალს სდებს გერმანიას პუტინის „წაქეზებაში“.**

**Der Spiegel**-ის სტატიაში მოყვანილია თვალსაზრისი გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდალ **კაი-ახიმ შენბახისა**, რომელმაც განაცხადა, რომ ყირიმის დაბრუნება უკრაინის შემადგენლობაში შეუძლებელია. ამ განცხადების შემდეგ კი პოსტიდან გადადგა.

**„უკრაინის მთავრობა თვალს არ დაახამხამებს, ისე გახვევს ევროპას ომის ქარ-ცეცხლში. ასეთი მეგობრებისგან უბედურების მეტს არაფერს უნდა ველოდოთ“**, — ასე ფიქრობს გერმანიის ზოგიერთი მოქალაქე.

**„უკრაინამ უნდა მოთოკოს თავისი მოთხოვნები. ადმირალი მართალია, ყირიმი რუსეთისაა. ადმირალმა შენბახმა თქვა ის, რაც ყველამ იცის“**, — ასეთია სხვა მოქალაქეების თვალსაზრისი.

ყირიმი რუსეთს შეუერთდა 2014 წელს ჩატარებული რეფერენდუმის შედეგების მიხედვით. ადგილობრივმა მოსახლეობამ ერთხმად გამოთქვა აზრი უკრაინიდან გასვლისა და რუსეთთან მიერთების შესახებ, მაგრამ უკრაინა უარს ამბობს ყირიმის ნახევარკუნძულის რუსეთის ტერიტორიად აღიარებაზე.

rambler.ru-ზე გამოქვეყნებული
მასალის მიხედვით მოამზადა
**ლუკა მაისურაძე**



**უფალმა მას უთხრა: შენ ხარ კლდე და ამ კლდეზე აღვაშენებ ჩემს ეკლესიას და „ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას“.**

სულიერება

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 29 იანვარი წმინდა პეტრე მოციქულის ჯაჭვთა თაყვანისცემის დღესასწაულია



წმ. პეტრე

**ერთხელ, მოციქული პეტრე ჰეროდეს ბრძანებით საპყრობილეში ჩასვეს და რკინის ორი ჯაჭვით შებოჭეს.**

**ღამით როდესაც პეტრეს ეძინა, გამოეცხადა ანგელოზი უფლისა, გააღვიძა იგი და უთხრა: „აღდეგ ადრე“ და იმავე წუთს ხელბორკილები ძირს დაცვივდა. ანგელოზმა დახშულ კარში გაატარა და სამშვიდობოს გაიყვანა მოციქული. პეტრეს ეს ყველაფერი სიზმარი ეგონა, მაგრამ, როდესაც გათენდა და საკუთარი თავი ციხის მიღმა იხილა, მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ ეს ყველაფერი ცხადად ხდებოდა.**

**ცნობა პეტრეს უცნაური განთავისუფლების შესახებ მთელ იერუსალიმს მოედო.**

**ჯაჭვებმა, რომლითაც შებოჭილი იყო წმინდა პეტრეს სხეული, სამკურნალო ძალა მიიღო. ცნობილია, რომ წმინდა მოციქულ პეტრეს ოფლით გაჟღენთილი თავზე შემოსაკრავი და თავშალი ავადმყოფებს კურნავდა.**

**დღესაც ამ ჯაჭვებთან რწმენით მიახლოებული სნეულები იკურნებიან სხვადასხვა სნეულებებისგან.**

**ეს სიწმინდე ამჟამად არის რომში.**

**შეგვეწიოს ყველას წმიდა პეტრე მოციქულის მადლი.**

**განსაკუთრებით სნეულთ, უმწეოთ და განსაცდელსა შინა მყოფთ.**

დაახლოებით 42 წელს, ჰეროდე აგრიპას ბრძანებით, პეტრე მოციქული მაცხოვრის სიტყვის ქადაგებისთვის შეიპყრეს და ჯაჭვით შეკრული საკანში გამოკეტეს. „ლოცვაი გულს-მოდგინედ იყოფოდა ეკლესიათა მიერ ღმრთისა მიმართ მისთვის“. და აი, მოხდა სასწაული: „ანგელოზი უფლისაი ზედა მოადგა და ნათელი გამობრწყინდა სახლსა მას შინა, და სცა გუერდსა პეტრესა, და განაღვიძა იგი და ჰრქუა მას: „აღდეგ ადრე და დასცუეს ჯაჭუნი იგი ხელთაგან მისთა“. ანგელოზმა დახშულ კარში გაატარა და სამშვიდობოს გამოიყვანა მოციქული.

ქრისტიანებმა შეძლეს მოეპოვებინათ ეს ჯაჭვები და შეინახეს, როგორც სიწმიდე. მათთან რწმენით მიახლოებული სნეულები იკურნებოდნენ სხვადასხვა სალმობათაგან. ჯაჭვები იერუსალიმის ტაძარში ინახებოდა პატრიარქ **იუბენალის** დრომდე. ამ უკანასკნელმა კი იგი თეოდოსი უმცროსის მეუღლეს, **ევდოკიას**, აჩუქა. ევდოკიამ სიწმინდე კონსტანტინეპოლში ჩაიტანა, შემდეგ კი ერთი ჯაჭვი თავის ასულს, **ევდუქსიას**, გაუგზავნა. ევდუქსიამ რომში ტაძარი ააგო პეტრე მოციქულის სახელზე და სიწმინდე იქ დაასვენა. რომში ინახებოდა სხვა ჯაჭვებიც, რომლითაც ნეტარი აღსასრულის წინ იყო შეკრული. ყოველი წლის 16 იანვარს (ახალი სტილით 29 იანვარს) ამ სიწმინდეებს გამოაბრძანებდნენ ხოლმე თაყვანსაცემად.

* * *

პეტრე მოციქულის ჯაჭვთა თაყვანისცემის სახელობის ტაძარი მსოფლიოში მხოლოდ სამია: ერთი — რომში, მეორე — ესპანეთში და მესამე — საქართველოში. ასევე, ღვთის წყალობით, წმიდა პეტრე მოციქულის თავის ქალა და მარჯვენა ფეხის წმიდა ნაწილი ჩვენთან, წმიდა ქეთევან წამებულის ტაძარში ინახება. იქვეა დასვენებული პავლე მოციქულის მარჯვენა ფეხის წმინდა ნაწილიც.

პეტრე მოციქულის ჩრდილიც კი კურნავდა სნეულთ, ამიტომ დედაქალაქის შემოსასვლელთან, ავჭალის მთაზე, მცირე ზომის ტაძარი აუშენებიათ ჩვენს წინაპრებს.

ეს მადლიანი სალოცავი თითქოს მფარველობას არ აკლებს თითოეულ ჩვენგანს და გზასაც ულოცავს მგზავრებს.

წმინდა პეტრე მოციქულის ჯაჭვთა თაყვანისცემის სახელობის ეკლესიის წარსულზე მცირე ცნობები მოგვეპოვება. ვიცით, რომ იგი 1742 წელს აუგია გაბრიელ ბერს და თავადაც იქვე განისვენებს. ტაძრის შორიახლოს სასწაულმოქმედი სამკურნალო ჯაჭვის წყაროა.

წმინდა პეტრე მოციქულის ტაძრის მაშენებელ ბერ გაბრიელს გუმბათის ნავში ჰქონია საცხოვრებელი სენაკი. **თურმე, როგორც კი აშენდა ეს ტაძარი, მაშინვე სასწაულებრივად აღმოცენებულა მკურნალი წყალი, რომელსაც ჯაჭვის წყარო დარქმევია. აქ ძველად ჯაჭვის სახელით ცნობილი სოფელი ყოფილა. ჩანს, ეს მთიანი ადგილი დასახლებული იყო და აქ საქარავნო გზაც გადიოდა.**

ყველა ავჭალელისთვის სანუკვარია წმინდა პეტრეს ტაძარი და მას ავჭალის განსაკუთრებულ მფარველად მიიჩნევენ. ყოველი წლის 29 იანვარს აქ იმართება დიდი საეკლესიო დღესასწაული. ამ დღეს ყველა ავჭალელი თავის სტუმრებთან ერთად მიემართება მაღლა მთაზე წმიდა პეტრე მოციქულის ტაძრისკენ.

იქ მოილოცავენ, შემდეგ უკან ბრუნდებიან და იმართება საერო ზეიმიც.

**პეტრე და პავლე საოცარი მოშურნეობის და ღვაწლის გამო უფალმა მოციქულთა თავად დაადგინა. პავლე მოციქულის ცხოვრების მიხედვით, ის თავიდან ქრისტიანთა მდევნელი გახლდათ. უფალმა მას უდიდესი სასწაული დაანახვა — როცა ქრისტიანების დევნა გადაწყვიტა, თვალისჩინი წაერთვა. მოძღვრის ლოცვით თვალი აეხილა და მას შემდეგ შეუდგა ქრისტეს სჯულს.** ყოფილი სავლე გახდა პავლე, ქრისტეს სარწმუნოების უდიდესმა მქადაგებელმა მთელი რომი მოაქცია ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე.

იგივე შეიძლება ითქვას პეტრე მოციქულზეც, რომელიც, ფაქტობრივად, გახდა კლდე. უფალმა მას უთხრა: **შენ ხარ კლდე და ამ კლდეზე აღვაშენებ ჩემს ეკლესიას და „ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას“.** პეტრე მოციქული უფალს ყოველთვის უდასტურებდა, რომ მზად იყო, მასთან ერთად აღსრულებულიყო. ადამიანური ბუნებიდან გამომდინარე, მასზე უფალმა დაუშვა და დაანახვა, რომ, თუ ადამიანის სარწმუნოება თავის ძალებზე იქნება დამყარებული და არა ღმერთზე, შეიძლება კაცი ადვილად განუდგეს ჭეშმარიტებას. **პეტრემ სამგზის უარყო მაცხოვარი. შემდეგ იმხელა სინანულში ჩავარდა, რომ სახეზე ტირილით ღარები გაუჩნდა. თვალები მუდამ სისხლიანი და ცრემლიანი ჰქონდა. როცა ყოველ დილით მამალი იყივლებდა, გამუდმებით ცრემლი სდიოდა.** მართლაც, **სინანულია უმთავრესი გზა, რომლის საშუალებითაც ადამიანი უფალს უახლოვდება. სინანულის გარეშე შეუძლებელია ადამიანის გადარჩენა.** პეტრე და პავლე მოციქულებს სინანული, სწორი სარწმუნოება და საოცარი მოშურნეობა რომ არ ჰქონოდათ, რის გამოც ისინი უფალმა გამოარჩია, ნამდვილად ვერ შეძლებდნენ წარმართებში ქრისტეს სარწმუნოების ქადაგებას.

პეტრე მოციქულმა სიცოცხლე, მისივე თხოვნით, ჯვარზე თავდაყირა გაკრულმა დაასრულა, რადგან უღირსად თვლიდა თავს, მაცხოვრის მსგავსად გაეკრათ ჯვარზე.


წმიდა პეტრე მოციქულის ბორკილები (რომი, იტალია) დღესაც ამ ჯაჭვებთან რწმენით მიახლოებული სნეულები იკურნებიან სხვადასხვა სნეულებებისგან. ეს სიწმინდე ამჟამად არის რომში.


ავჭალის წმინდა პეტრე მოციქულის ჯაჭვთა თაყვანისცემის მამათა მონასტერი. პეტრე მოციქულის ჩრდილიც კი კურნავდა სნეულთ, ამიტომ დედაქალაქის შემოსასვლელთან, ავჭალის მთაზე, მცირე ზომის ტაძარი აუშენებიათ ჩვენს წინაპრებს.

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დედამიწაზე ყველაზე ძველი ობიექტი არის ცირკონის კრისტალი, რომელიც 4,4 მლრდ წლისაა. ეს კრისტალი დასავლეთ ავსტრალიაში, ჯეკ-ჰილზსში იპოვეს.**

# 10 საოცარი ფაქტი დროს შესახებ

**დრო — ეს არის განგრძობა არსებობისა და მოვლენებისა, რომლებიც შეუქცევადი თანმიმდევრობით ხდება წარსულიდან, აწმყოს გავლით, მომავალში. ეს არის სხვადასხვა განზომილების კომპონენტი, რომელიც გამოყენებულია მოვლენების თანმიმდევრობის აღსაწერად, რათა ერთმანეთს შევადაროთ მოვლენების ხანგრძლივობა ან მათ შორის ინტერვალი. აი რამდენიმე ფაქტი, რომლებიც შეიძლება, თქვენ არც კი იცოდით.**



## 1. დრო თქვენი სახისთვის უფრო სწრაფად გადის, ვიდრე ფეხებისთვის

აინშტაინის ფარდობითობის თეორიის მიხედვით, რაც უფრო ახლოს ხართ დედამიწის ცენტრთან, მით ნელა გადის დრო — და ეს მეცნიერებმა გაზომეს. მაგალითად, ჯომოლუნგმას მწვერვალზე წელიწადი დაახლოებით 15 მიკროწამით ნაკლები იქნება, ვიდრე ზღვის დონეზე.



## 2. დღე-ღამის რეალური ხანგრძლივობა 24 საათი არ არის

დღე-ღამის ხანგრძლივობა 23 საათი 56 წუთი და 4,2 წმ-ია. მიზეზი, რომლის გამოც მზის ამოსვლიდან მის ჩასვლამდე 24 საათია, არის ის, რომ დედამიწა ყოველდღე მოძრაობს თავის ორბიტაზე მზის მიმართ, მისი მდგომარეობის ცვლილება კი დღეს ცოტა ახანგრძლივებს.



## 3. როდესაც დედამიწაზე დინოზავრები ცხოვრობდნენ (დაახლოებით 230 მლნ წლის წინათ), წელიწადში 370 დღე იყო

დედამიწის ბრუნვა ნელდება, რადგან მთვარის გრავიტაცია მოქმედებს, როგორც წინააღმდეგობა, ამიტომ დღეები უფრო ხანგრძლივია დაახლოებით 1,7 მილიწამით საუკუნეში.



## 4. ფიზიკისთვის არ არსებობს ისეთი რამ, რაც არის «ახლა»

სივრცე და დრო მიმდინარეა. მათზე გავლენა აქვს გრავიტაციასა და თქვენს სიჩქარეს. აინშტაინმა ამის შესახებ თქვა: „ჩვენთვის, ფიზიკოსებისთვის, განსხვავება წარსულს, აწმყოსა და მომავალს შორის მხოლოდ ილუზიაა“.



## 5. რასაც ვხედავთ, არსობრივად, ეს წარსულია

რადგან სინათლეს ჩვენამდე მოსაღწევად დრო სჭირდება, ყველაფერი, რასაც ვხედავთ, წარსულშია. ის მზე, რომლის დანახვაც სარკმლიდან შეგვიძლია, 8 წუთისა და 20 წამისაა, სწორედ ამდენი დრო სჭირდება სინათლეს მზიდან დედამიწამდე მოსაღწევად. დედამიწიდან ყველაზე ახლო ვარსკვლავი პროქსიმა კენტავრიდან სინათლეებს ჩვენამდე მოღწევას 4 წელიწადი სჭირდება.



## 6. რაც უფრო სწრაფად მოძრაობთ, მით ნელა გადის დრო

ფიზიკის კანონების თანახმად, თქვენ უფრო ნელა დაბერდებით, თუ სწრაფად იმოგზაურებთ. მაგალითად, თუ თქვენ დედამიწიდან ვარსკვლავ სირუსისკენ სინათლის სიჩქარის 99%-ით გაფრინდებით, შემდეგ კი კვლავ დედამიწაზე დაბრუნდებით, ჩამოსვლის მომენტში 2 წლით უფროსი იქნებით, ის ადამიანები კი, რომლებიც დედამიწაზე დარჩნენ, 17 წლით დაბერდებიან.



## 7. ყველაზე ზუსტი საათი სტრონციუმის ბატარეებზე მომუშავე საათია

ამ საათს შეუძლია, ზუსტად განსაზღვროს დრო 15 მლრდ წლის განმავლობაში. შესადარებლად: ატომურ საათს შეუძლია, ზუსტად იმუშაოს 300 მლნ წლის განმავლობაში.



## 8. სამყაროში ყველაზე ძველი ცნობილი ობიექტი არის გალაქტიკა Z8-GND-S296

ეს გალაქტიკა 13,1 მლრდ წლისაა და, სულ რაღაც, 700 მლნ წლით ახალგაზრდაა სამყაროზე.

## 9. ყველაზე ძველი ობიექტი დედამიწაზე



დედამიწაზე ყველაზე ძველი ობიექტი არის ცირკონის კრისტალი, რომელიც 4,4 მლრდ წლისაა. ეს კრისტალი დასავლეთ ავსტრალიაში, ჯეკ-ჰილზსში იპოვეს.



## 10. დრო შეიძლება გაჩერდეს

შორეული გალაქტიკები უფრო სწრაფად მოძრაობენ, ვიდრე ახლომყოფები. ასტროფიზიკოსების აზრით, სამყაროს გამუდმებით გაფართოება მის აჩქარებას იწვევს. არსებობს თეორია, რომელიც ხსნის ამ გამოუცნობ ძალას, რომელსაც „ბნელ ენერგიას“ უწოდებენ. თუმცა ერთმა ესპანელმა ფიზიკოსმა წამოაყენა ალტერნატიული თეორია. მისი აზრით, შორეული ძველი გალაქტიკები უფრო სწრაფად მოძრაობენ, ვიდრე ახლომყოფები, იმიტომ, რომ წარსულში დრო უფრო სწრაფად გადიოდა. თუ ეს ესპანელი ფიზიკოსი მართალია, მაშინ რამდენიმე მილიარდი წლის შემდეგ „ყველაფერი გაიყინება, როგორც წამიერი სურათი, სამუდამოდ“.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თბილისის „დინამო“ ყოველთვის გამოირჩეოდა იმპროვიზაციის უნარითა და ტექნიკური მომზადებით, ნოდარ ახალკაცმა კი გუნდში დისციპლინა და საქმისადმი მიდგომა შეცვალა და ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე წარმატებული 5-წლიანი ეპოქის შემოქმედად იქცა.**

# ქართული ფეხბურთის ოქროს ეპოქის შემოქმედი

**ქართული ფეხბურთის სიამაყეს — თბილისის „დინამოს“, რომელიც 1925 წლის შემოდგომაზე დაარსდა, წვრთნიდნენ როგორც მოწვეული, ისე ადგილობრივი სპეციალისტები. მათ შორის გამოირჩეოდნენ გაბრიელ კაჩალინი, რომლის ხელმძღვანელობითაც გუნდმა 1964 წელს პირველად მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა; ანდრო ჟორდანია; აგრეთვე, მიხეილ იაკუშინი, რომელიც თბილისელ ფეხბურთელებს 1976 წლამდე ხელმძღვანელობდა; შემდეგ კი გუნდის მთავარ მწვრთნელად დანიშნეს ნოდარ ახალკაცი და დაიწყო ქართული ფეხბურთის „ოქროს ეპოქა“.**

**ნოდარ ახალკაცი** დაიბადა 1938 წლის 2 იანვარს თბილისში. სწავლობდა თბილისის მე-9 საშუალო სკოლაში, რომელიც 1955 წელს წარმატებით დაამთავრა და სწავლა იმხანად პლეხანოვის (ამჟამად დავით აღმაშენებლის) პროსპექტზე არსებულ რკინიგზის ინსტიტუტში განაგრძო. ფეხბურთის თამაში დაიწყო 1955 წელს თბილისის „ნორჩ დინამოელთა“ სკოლაში, 1957 წელს კი თბილისის ოფიცერთა სახლის (ოდო) ღირსებას იცავდა. 1960-1966 წლებში თამაშობდა თბილისის „ლოკომოტივში“. 28 წლისამ დაასრულა ფეხბურთელის კარიერა. 1967 წელს დაიწყო სამწვრთნელო საქმიანობა თბილისის „ლოკომოტივში“, რომელსაც 1970 წლამდე წვრთნიდა. 1974-1975 წლებში იყო თბილისის „დინამოს“ გუნდის უფროსი, ხოლო 1976-1983 და 1985-1986 წლებში — მთავარი მწვრთნელი, მისი ხელმძღვანელობით ჩატარებული 383 მატჩიდან თბილისის „დინამომ“ 179 მოიგო, 102 ფრედ დაასრულა და 102 წააგო.

## 1976 წელი. „არარატის“ განადგურება და საბჭოთა კავშირის თასი პირველად

ნოდარ ახალკაცს — ინტელექტუალს, ქართული და რუსული პოეზიის თაყვანისმცემელს, კარგა ხნის განმავლობაში აღიქვამდნენ, როგორც სპორტის ფუნქციონერს. მხოლოდ 1976 წელს ჩააბარეს მას საქართველოს უძლიერესი კლუბი. იმავე წელს თბილისის „დინამომ“ პირველად მოიგო საბჭოთა კავშირის თასი — მოსკოვში გამართულ ფინალურ მატჩში 3:0 გაანადგურა ერევნის „არარატი“ (ბურთები გაიტანეს დავით ყიფიანმა, ფირუზ კანთელაძემ და რევაზ ჩელებაძემ). ამას მოჰყვა ბრინჯაოს მედალი სსრკ-ის ჩემპიონატში.

1977 წელს თბილისის „დინამომ“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში ვერცხლის მედლები მოიპოვა. კარგად ითამაშა საერთაშორისო არენაზეც — უეფას თასის 1/32 ფინალში მილანის „ინტერნაციონალე“ დაამარცხა.

## 1978 წელი. სსრკ-ის ჩემპიონობა

1978 წელს „დინამო“ უკვე მზად იყო ახალი სიმაღლეების დასაპყრობად. ნოდარ ახალკაცმა გუნდში მოიწვია ახალი ფეხბურთელები. სწრაფმა და მოქნილმა **ოთარ გაბელიამ** კარში შეცვალა **დავით გოგია.** დაცვაში გამოჩნდნენ **თამაზ კოსტავა, გიორგი თავაძე, დავით მუჯირი** და **თენგიზ სულაქველიძე,** ნახევარდაცვაში — **ვიტალი დარასელია** და **ალექსანდრე ჩივაძე,** თავდასხმაში — **რამაზ შენგელია.** „დინამოს“ ძირითად ბირთვს კი შეადგენდნენ **შოთა ხინჩაგაშვილი, ნოდარ ხიზანიშვილი, ფირუზ კანთელაძე, გოჩა და მანუჩარ მაჩაიძეები, ვახტანგ ქორიძე, ვლადიმერ გუცაევი** და საბჭოთა კავშირის 1977 წლის საუკეთესო ფეხბურთელი **დავით ყიფიანი,** რომელსაც თვითონაც ხშირად გაჰქონდა ბურთი მეტოქის კარში და საგოლე პასებითაც ამარაგებდა პარტნიორებს. 1978 წელს ნოდარ ახალკაცის მიერ გაწვრთნილმა თბილისის „დინამომ“ მეორედ მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა, რამაზ შენგელია კი საბჭოთა კავშირის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა. უეფას თასის გათამაშებაში ახალკაცის შეგირდებმა იტალიის „ნაპოლი“ გამოთიშეს, მაგრამ დამარცხდნენ ბერლინის „პერტასთან“.

## 1979 წელი. საბჭოთა კავშირის თასი მეორედ და „ლივერპულისთვის“ სკალპის ახდა

1979 წელს ჩივაძე, დარასელია, სულაქველიძე და რამაზ შენგელია თბილისის „დინამოს“ წამყვან ფიგურებად იქცნენ. გუნდის საჭესთან კვლავ რჩებოდა ნოდარ ახალკაცი, რომელსაც საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტულმა სახელი გაუთქვა. ახალკაცმა „დინამოს“ შემადგენლობაში უმნიშვნელო ცვლილებები შეიტანა. გუნდს დაემატნენ ახალგაზრდები: გიორგი თავაძე, გოჩა ჯოხაძე, გრიგოლ ცაავა და ნუკრი კიკალიშვილი. გუნდმა ჩემპიონატში მეოთხე ადგილი დაიკავა, მაგრამ მეორედ მოიგო საბჭოთა კავშირის თასი — ფინალში მოსკოვის „დინამო“ პენალტების სერიაში დაამარცხა.

1979 წლის 3 ოქტომბერი კი ოქროს ასოებით ჩაიწერა თბილისის „დინამოს“ ისტორიაში. უეფას ჩემპიონთა თასის მეთექვსმეტედფინალის განმეორებით მატჩში (პირველი მატჩი ლივერპულში ინგლისელებმა მოიგეს — 2:1) ქართველმა ფეხბურთელებმა „ლივერპული“ გამანადგურებელი ანგარიშით — 3:0 დაამარცხეს და, ასე ვთქვათ, სკალპი ახადეს ინგლისის მრავალგზის ჩემპიონსა და იმხანად ჩემპიონთა თასის მფლობელს.

მერვედფინალში „დინამო“ ძლიერ გერმანულ კლუბ „ჰამბურგს“ ორჯერ შეხვდა და ორივეჯერ დამარცხდა.

## 1981 წელი. ტრიუმფი დიუსელდორფში

უეფას თასების მფლობელთა თასის 1980-1981 წლების გათამაშების მეთექვსმეტეფინალში თბილისელებმა საბერძნეთის „კასტორიას“ სძლიეს, მერვედფინალში — ირლანდიურ „უოტერფორდს“.

მეოთხედფინალში „დინამო“ „ვესტ ჰემ იუნაიტედს“ შეხვდა და 1981 წლის 4 მარტს თავის ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული მატჩი ჩაატარა, როცა ეს კლუბი ლონდონში გაანადგურა — 4:1.

ახალკაცის გუნდი მეოთხედფინალში როტერდამის „ფეიენორდს“ — უეფას ჩემპიონთა თასის, უეფას თასისა და საკონტინენტთაშორისო თასის ყოფილ მფლობელს თბილისში შეხვდა და გაანადგურა — 3:0. როტერდამში კი, მიუხედავად ძალიან მიკერძოებული მსაჯობისა (დინამოელებს რეფერიმ სამი (!) გოლი არ ჩაუთვალა და გამოგონილი პენალტი დაუდო), მაინც შეძლო ფინალში გასვლა.

1981 წლის ფინალური მატჩი ნოდარ ახალკაცის შეგირდებმა გერმანიის „კარლ ცაისთან“ შესანიშნავად ითამაშეს, გერჰარდ ჰოპეს მიერ 63-ე წუთზე გატანილ ბურთს გუცაევისა და დარასელიას გოლებით უპასუხეს და უეფას თასების მფლობელთა თასს დაეუფლნენ.

აღსანიშნავია, რომ 1982 წელს ესპანეთში გამართულ მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატზე ნოდარ ახალკაცი საბჭოთა კავშირის მწვრთნელი იყო **კონსტანტინე ბესკოვსა** (მოსკოვის „სპარტაკი“) და **ვალერი ლობანოვსკისთან** (კიევის „დინამო“) ერთად.

თბილისის „დინამო“ ყოველთვის გამოირჩეოდა იმპროვიზაციის უნარითა და ტექნიკური მომზადებით, ნოდარ ახალკაცმა კი გუნდში დისციპლინა და საქმისადმი მიდგომა შეცვალა და ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე წარმატებული 5-წლიანი ეპოქის შემოქმედად იქცა.

1990-1998 წლებში ნოდარ ახალკაცი იყო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი: არჩეული გახლდათ უეფას ტექნიკური კომიტეტის წევრად; დაჯილდოებული იყო ფიფას ორდენით ფეხბურთის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის; იყო ღირსების ორდენის კავალერი; 1998 წელს გაზეთ „სარბიელის“ გამოკითხვის შედეგების მიხედვით, საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო მწვრთნელად დასახელდა; 2008 წელს რეჟისორმა გოგი თორაძემ ნოდარ ახალკაცის ცხოვრებასა და მოღვაწეობას მიუძღვნა დოკუმენტური ფილმი „ქართული ფეხბურთის მაესტრო“. ნოდარ ახალკაცი გარდაიცვალა 1998 წლის 24 იანვარს.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**


ნოდარ ახალკაცი


რამაზ შენგელია, ნოდარ ახალკაცი და დავით ყიფიანი





ვიტალი დარასელია, თენგიზ სულაქველიძე, ნოდარ ახალკაცი, მსახიობი ევგენი ლეონოვი, რამაზ შენგელია და ალექსანდრე ჩივაძე


ლობანოვსკი, ბესკოვი და ახალკაცი

**ნოდარ ახალკაცის მიღწევები:**

* საბჭოთა კავშირის ჩემპიონი — 1978 წ.
* საბჭოთა კავშირის ვიცე-ჩემპიონი — 1977 წ.
* საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი — 1876, 1981 წწ.
* უეფას თასების მფლობელთა თასის მფლობელი — 1981 წ.
* საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ვიცე-ჩემპიონი — 1979 წ.

# «ნატოს მიერ რუსეთის მოთხოვნების იგნორირება მძიმე შედეგებს გამოიწვევს»


ენტონი ბლინკენი და სერგეი ლავროვი

**„რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ჟენევაში გამართულ მოლაპარაკებაზე აშშ-ის სახელმწიფო მდივან ენტონი ბლინკენს განუცხადა, რომ უსაფრთხოების გარანტიებზე მოსკოვის მოთხოვნების იგნორირება სერიოზულ შედეგებს გამოიღებს“, — წერია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე.**

ორი ქვეყნის დიპლომატიური უწყებების ხელმძღვანელები ერთმანეთს 21 იანვარს ჟენევაში შეხვდნენ. ლავროვმა მოლაპარაკებებს სასარგებლო და გულახდილი უწოდა. აშშ-ის სახელმწიფო მდივანი **ენტონი ბლინკენი** სერგეი ლავროვს დაჰპირდა, რომ რამდენიმე დღეში წარუდგენს წერილობით პასუხს უსაფრთხოების გარანტიებზე.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში ხაზგასმულია მოსკოვის შეშფოთება, რომელიც გამოწვეულია აშშ-ისა და მისი ნატოელი მოკავშირეების მიერ უკრაინის ტერიტორიის ათვისებისა და რუსეთის საზღვრებთან ალიანსის სამხედრო ძალებისა და შეიარაღების განლაგების გამო. აღნიშნულია, რომ ამის თავიდან აცილება შეიძლება, თუ ვაშინგტონის რეაქცია დადებითი იქნება უსაფრთხოების გარანტიების პროექტზე.

2021 წლის ბოლოს რუსეთმა გამოაქვეყნა აშშ-სა და ნატოსთან შეთანხმების პროექტები უსაფრთხოების გარანტიების შესახებ. მოსკოვი, დასავლელი პარტნიორებისგან მოითხოვს იურიდიულ გარანტიებს, რომ ნატო უარს იტყვის აღმოსავლეთით გაფართოებაზე, ალიანსში უკრაინის შეყვანასა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში სამხედრო ბაზების შექმნაზე.

ამ თემაზე პირველი მოლაპარაკება 10 იანვარს გაიმართა ჟენევაში. ამას მოჰყვა რუსეთი-ნატოს საბჭოს სხდომა ბრიუსელში, 13 იანვარს კი ვენაში კონსულტაციები გაიმართა რუსეთსა და ეუთოს შორის.

**ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

## რუსეთსა და აშშ-ს შორის უსაფრთხოების გარანტიების შესახებ შეთანხმების პროექტი

### ბირთვული იარაღი

რუსეთი აშშ

- არ განალაგებენ ბირთვულ იარაღს
- განლაგებულს აბრუნებენ თავიანთ ტერიტორიაზე
- მოახდენენ საზღვარგარეთ ბირთვული ინფრასტრუქტურის ლიკვიდაციას
- არ მოამზადებენ არაბირთვული ქვეყნების სპეციალისტებს
- არ ჩაატარებენ სამხედრო სწავლებებსა და ვარჯიშებს

### ნებისმიერი შეიარაღება და ჯარი

რაიონებში, საიდანაც შეიძლება მეორე მხარის დაზიანება რუსეთი აშშ

- არ განალაგებენ საშუალო და მცირე სიშორის სახმელეთო ბაზირების რაკეტებს
- არ განალაგებენ სამხედრო თვითმფრინავებსა და წყალზედა ხომალდებს
- შეათანხმებენ მათი დაახლოების ზღვრულ დისტანციას

### სსრკ-ის ყოფილი რესპუბლიკები

აშშ

- გამორიცხავს ნატოს გაფართოებას აღმოსავლეთით და ალიანსში ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მიღებას.
- არ გამოიყენებენ მათ ინფრასტრუქტურას, არ ქმნიან იქ ახალ ბაზებს
- არ განავითარებენ სამხედრო თანამშრომლობას

წყარო: MID.RU



# ვლადიმერ პუტინმა ვენესუელის პრეზიდენტი რუსეთში მიიწვია

## რუსეთი ვენესუელაში ბირთვული რაკეტების განლაგებას აპირებს?

**რუსეთისა და ვენესუელის პრეზიდენტებმა — ვლადიმერ პუტინმა და ნიკოლას მადურომ სატელეფონო საუბარში დაადასტურეს თავიანთი განწყობა მჭიდრო კოორდინაციისა და თანამშრომლობის შესახებ საერთაშორისო საკითხებში. ამას გარდა, როგორც ვენესუელის საგარეო საქმეთა სამინისტრო იუწყება, მადურომ პუტინისგან რუსეთში ჩასვლის მიწვევა მიიღო.**

„პრეზიდენტმა მადურომ რუსი კოლეგისა და მისი ქვეყნისადმი სოლიდარობა გამოხატა და დაგმო რუსეთის წინააღმდეგ პროვოკაციებისა და მანიპულაციების დაწყების მცდელობა. ამასთანავე, მადურომ მადლობა გადაუხადა რუსეთის მთავრობას ვაქცინებისა და მედიკამენტების მიწოდებით კოვიდ-19-ით გამოწვეული პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში მხარდაჭერისთვის“, — ნათქვამია ვენესუელის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **სერგეი რიაბკოვმა** აშშ-თან უსაფრთხოების საკითხებზე მოლაპარაკების უშედეგოდ დასრულების შემთხვევაში არ გამორიცხა რუსეთის სამხედრო ინფრასტრუქტურის განლაგება კუბასა და ვენესუელაში. ამასთანავე, რუსეთმა აშშ გააფრთხილა, ნატოს მხრიდან წამოსულ საფრთხეებზე საჭიროების შემთხვევაში სამხედრო ზომებით უპასუხებს.

The New York Times-ი წყაროებზე დაყრდნობით წერდა, რომ რუსეთის დელეგაციამ ჟენევაში აშშ-თან გამართულ მოლაპარაკებებზე აშშ-ის მის საზღვრებთან ახლოს, ანუ სამხრეთ ამერიკაში ბირთვული რაკეტების განლაგებაზე მიანიშნა. იმ ქვეყნების ჩამონათვალში, რომელთა ტერიტორიაზეც რუსეთს შეუძლია რაკეტების განლაგება, არის კუბა, ვენესუელა და ნიკარაგუა (სხვათა შორის, 18 იანვარს პუტინი ტელეფონით ესაუბრა ნიკარაგუის პრეზიდენტ **დანიელ ორტეგას**).

**strana.best-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**

# გერმანიამ უკრაინას მინსკის შეთანხმება შეახსენა

**მინსკის შეთანხმების რეალიზაცია უკრაინის კრიზისიდან გამოსვლას მოაახლოებს. კიევმა არ უნდა მიიღოს ისეთი კანონები, რომლებიც შეეწინააღმდეგება მინსკის შეთანხმებას, — განაცხადა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანალენა ბერბოკმა.**

„დიახ, კიევმა მინსკის შეთანხმების რეალიზაციისას უნდა შეასრულოს თავისი საშინაო დავალება“, — განაცხადა გერმანიის თავდაცვის მინისტრმა გაზეთ Suddeutsche Zeitung-ისთვის მიცემულ ინტერვიუში. პოლიტიკოსმა, აგრეთვე, განაცხადა, რომ სურს, ჩაატაროს მოსამზადებელი სამუშაოები თითოეულ წინადადებაზე, რომლებიც ასახულია მინსკის შეთანხმებაში.

„ეს რთული საქმეა. ჩვენ ვიბრძოლებთ თითოეული მილიმეტრისთვის, რომელიც მიგვაახლოებს უსაფრთხო ვითარებას. ეს უკეთესია, ვიდრე უძრავ მდგომარეობაში დარჩენა“, — განაცხადა **ანალენა ბერბოკმა.**

მინსკის შეთანხმება გაფორმდა დონბასში კონფლიქტის მოსაგვარებლად. ამ შეთანხმების მიხედვით, გათვალისწინებულია ცეცხლის შეწყვეტა, შეიარაღების გატანა კონფლიქტის ზონიდან, ამნისტია, ეკონომიკური კავშირების აღდგენა, აგრეთვე, უკრაინაში ღრმა საკონსტიტუციო რეფორმების ჩატარება, რომელთა შედეგად მოხდება ხელისუფლების დეცენტრალიზაცია და დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკებისთვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭება.

**vz.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ კომპანიას
„ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74

www.geworld.ge
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894